

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

ISSN 1512-3537

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა

№1 (50) 2021

სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი
ნაშრომების კრებული

ჟურნალი რეფერირდება ტექნიკური უნივერსიტეტის
„ქართულ რეფერატულ ჟურნალში“



გამომცემლობა „ტრანსპორტი & მანქანათმშენებლობა“

თბილისი 2021

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა
TRANSPORT AND MACHINEBUILDING
ТРАНСПОРТ И МАШИНОСТРОЕНИЕ

სარედაქციო კოლეგია

პროფ. ოთარ გელაშვილი (მთავარი რედაქტორი); პროფ. არჩილ ფრანგიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე); პროფ. თეა ბარამაშვილი (ტექნიკური რედაქტორი); პროფ. დავით თავხელიძე; პროფ. მანანა თალაკვაძე; პროფ. ნათია ბუთხუზი; პროფ. გივი გოლეტიანი; პროფ. თამაზ ნატრიაშვილი; პროფ. თამაზ მორჩაძე; პროფ. ალექსანდერ სლადკოვსკი (პოლონეთი); პროფ. გეორგი ტოხტარი (უკრაინა); პროფ. თამაზ მჭედლიშვილი; პროფ. რაულ თურმანიძე; პროფ. ნია ნათბილაძე; პროფ. იოსებ ბაციკაძე; პროფ. თამაზ მეგრელიძე; პროფ. ზაურ ჩიტაძე; პროფ. გიორგი დობორჯგინიძე; პროფ. გოდერძი ტყეშელაშვილი; პროფ. ჯუმბერ იოსებძე; პროფ. ავთანდილ შარვაშიძე; პროფ. ნუგზარ რურუა; პროფ. ზურაბ ბოგველიშვილი; პროფ. დავით ძოწენიძე.

EDITORIAL BOARD

Prof. OTAR GELASHVILI (editor-in-chief); Prof. ARCHIL PRANGISHVILI (deputy editor-in-chief); Prof. Tea Baramashvili (Technical Editor); Prof. Davit Tavkhelidze; Prof. Manana Talakbadze; Prof. Natia Butkhuzi; Prof. Givi Goletiani; Prof. Tamaz Natriashvili; Prof. Tamaz Morchadze; Prof. Aleksander Sladkovski (Poland); Prof. George Tokhtar (Ukraine); Prof. Tamaz Mchedlishvili; Prof. Raul Turmanidze; Prof. Nia Natbiladze; Prof. Ioseb Bacikadze; Prof. Tamaz Megreliidze; Prof. Zaur Chitidze; Prof. Giorgi Doborjginidze; Prof. Goderdzy Tkeshelashvili; Prof. Jumber Iosebidge; Prof. Avtandil Sharvashidze; Prof. Nugzar Rurua; Prof. Zurab Bogvelishvili; Prof. David Dzotsenidze.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

проф. ОТАР ГЕЛАШВИЛИ (главный редактор); проф. АРЧИЛ ПРАНГИШВИЛИ (зам. главного редактора); проф. Теа Барамашвили (Технический редактор); проф. Давит Тавхелидзе; проф. Манана Талаквადзе; проф. Натиа Бутхузи; проф. Гиви Голетиани; проф. Тамаз Натриашвили; проф. Тамаз Морчадзе; проф. Александр Сладковски (Польша); проф. Георг Тохтар (Украина); проф. Тамаз Мчедлишвили; проф. Раул Турманидзе; проф. Ниа Натбиладзе; проф. Иосеб Басикадзе; проф. Тамаз Мегрелидзе; проф. Заур Читидзе; проф. Георги Доборджгинидзе; проф. Годердзи Ткешелашвили; проф. Джумбер Иосебидзе; проф. Автандил Шарвашидзе; проф. Нугзар Руруа; проф. Зураб Богвелишвили; проф. Давид Дзоценидзе.

ტექნიკური რედაქტორი: პროფ. თეა ბარამაშვილი
Technical editor: Prof. Tea Baramashvili
Технический редактор: проф. Теа Барамашвили

რედაქციის მისამართი: თბილისი, მ. კოსტავას ქ. №71, I კორპუსი, ოთახი №710
Adress of the editorial office: Tbilisi, M. Kostava Str. №71, I corpus, room №710
Адрес редакции: Тбилиси, М. Костава ул. №71, I корпус, комната №710
Tel: +995 551 611 611

ჟურნალი განთავსებულია ინტერნეტში შემდეგ მისამართებზე:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - ცენტრალური ბიბლიოთეკა
http://gtu.ge/Library/transp_jur/

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი
http://gtu.ge/Stmm/Faculties/jurnali_transporti_manqanatmshenebloba.php

ციფრული ბიბლიოთეკა "ივერიელი" (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)
<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/248720>

შინაარსი

I. ტრანსპორტი/Transport/Транспорт

1. საქალაქო ავტობუსების საშუალო სიჩქარის განმსაზღვრელი ფაქტორები გამოყოფილ ზოლებში ექსპლუატაციისას დავით ფრიდონაშვილი, ზურაბ ბოგველიშვილი, ნუგზარ დიასამიძე	5
2. მდგრადი განვითარების კონცეფცია და მწვანე ლოგისტიკა ვახტანგ ბოგველიშვილი, დავით ფრიდონაშვილი, ზურაბ ბოგველიშვილი	12
3. რაციონარული ავტოსატრანსპორტო საშუალების შერჩევის თეორიული საფუძვლები ვალერიან ხარიტონაშვილი, დავით აშოთია	17
4. ავტოსატრანსპორტო საშუალების დამუხრუჭების პროცესის კვლევის მეთოდების ანალიზი ვალერიან ხარიტონაშვილი, დავით შოთია	23
5. რკინიგზის საუბნო სადგურების მუშაობის ინტენსიფიკაცია გრიგოლ თელია, ავთანდილ შარვაშიძე, კახაბერ შარვაშიძე, ლევან სამხარაძე	31
6. ბოჭკოვან-ოპტიკური საინფორმაციო-გაშვომი სისტემების დამუშავება რკინიგზის ტრანსპორტის ობიექტებისათვის მერაბ გოცაძე, ნიკოლოზ მღებრიშვილი, თენგიზ ტაბიძე	39
7. ატმოსფერული და კომუტაციური გადაძაბვებისაგან დამცავი მოწყობილობა ამირან ნოდია, იგორ მარეხიშვილი	49
8. კონტაქტური სადენის ცვეთის გასაზომი ოპტიკური მეთოდი ამირან ნოდია, ზურაბ ურიათმყოფელი	59
9. პარალელურ რეჟიმში მომუშავე გემის გენერატორული აგრეგატების ავტომატური განტვირთვა მიხეილ ლეჟავა	69
10. გემის ასინქრონული ძრავების დაცვა ორ ფაზაზე მუშაობისაგან მიხეილ ლეჟავა	74

II. მექანიკის ინჟინერია/Mechanical Engineering/Механическая инженерия

11. მექანიკურ ნაწილში დრეკადკავშირებიანი ელექტროპნევმომექანიკური მოთვალთვალე ამძრავის პარამეტრული სინთეზის შესახებ ვალერიან ჩიტაიშვილი, ლერი კობახიძე, ანზორ დიასამიძე, სერგო ნინუა	78
12. ელექტროპნევმოძრავი მოთვალთვალე ამძრავის დინამიკის შესახებ თამაზ მჭედლიშვილი, დავით ბესტავაშვილი, რუსლან დიასამიძე, სერგო ნინუა	85
13. ასინქრონული შემსრულებელი ძრავიანი ელექტრომექანიკური ამძრავის დინამიკური მოდელირების საკითხისადმი თამაზ მჭედლიშვილი, გიორგი პარუნაშვილი, ერეკლე სამანიშვილი, ნინო ნიკვაშვილი	93
14. საფრენი აპარატის ელექტროპნევმოძრავი მოთვალთვალე ამძრავის დინამიკური მოდელირების საკითხის შესახებ თამაზ მჭედლიშვილი, დავით ბესტავაშვილი, სერგო ნინუა, რამინ ზუკაკიშვილი	100
15. ბაზალტის ბოჭკოს ნაქსოვი ქარის როტორის დამზადების ტექნოლოგიაში მერაბ შვანგირაძე, ვაჟა შილაკაძე, დავით ბუცხრიკიძე	107
16. პროექციული გეომეტრიის ანალიზური საფუძვლები რუსუდან ბიწაძე, სიმონ ბიწაძე	116

17. მაგნიტურჰიდრავლიკური საბიძგებელას ხანგამძლეობის გაზრდის შესახებ რუსუდან ბიწაძე, სიმონ ბიწაძე	121
18. მემბრანაიანი მაგნიტურჰიდრავლიკური საბიძგებელას ჭოკის აწევის დროის შემცირების შესახებ რუსუდან ბიწაძე, სიმონ ბიწაძე	127
19. სტირლინგის ძრავის ეფექტურობის შესახებ სხვა არსებული შიგაწვის ძრავებთან შედარებით ზურაბ მჭედლიშვილი, ივანე ჯიხვიძე	132
20. ნიკელის საფუძველზე მიღებული ახალი პერსპექტიული ლითონური შენადნობების სინთეზი და მათი გამოყენება მანქანათმშენებლობასა და ენერგეტიკაში ზურაბ მჭედლიშვილი, ივანე ჯიხვიძე	139

III. სამრეწველო ინჟინერია/Industrial Engineering/ Промышленная инженерия

21. ტყავის სამოსის ძირითადი დეტალების ფართობის გამოსათვლელი ახალი მეთოდის შემუშავების წინაპირობის კვლევა ლია ლურსმანაშვილი, თამილა კუდავა	143
22. პოსტპანდემიური სამყაროს ღონისძიების მოწყობის სირთულეები ნათია ბუთხუზი, თამარ ბუთხუზი	153
23. კავკასიური როდოდენდრონის შრობა აირადი აზოტის გამოყენებით სოფიკო ბუჩუკური-სოლოღაშვილი, ვიტალი დვარღიანი, თამაზ ისაკაძე, გივი გუგულაშვილი	160
24. ტყის ექსპლუატაცია, როგორც მცენარეული მრავალფეროვნების ხელშემშლელი მიზეზი და მისი შედეგების აღმოსაფხვრელად საერთაშორისო ეკოლოგიური თანამშრომლობა თემურ მონიავა	168
25. ტყის ექსპლუატაციის პროცესში მიყენებული ეკოლოგიური ზიანის აღმოჩენის, დაფიქსირებისა და შეფასების პროცესში არსებული პრობლემები და მათი აღმოფხვრის გზები უპილოტო საფრენი აპარატი “დრონის” და სხვა საშუალებების გამოყენებით თემურ მონიავა	180

IV. ტრანსპორტის და მანქანათმშენებლობის მენეჯმენტი/ Transport and Mechanical Engineering Management/Транспорт и машиностроение равление

26. სატრანსპორტო ორგანიზაციების პრაქტიკაში მმართველობითი აღრიცხვის დანერგვის აუცილებლობა და მისი ავტომატიზაციის პრობლემები მარიამ ზუბიაშვილი, ნინო მღვდელაძე	189
27. საქართველოში მრეწველობის განვითარების პერსპექტივები გოდერძი ტყემელაშვილი, მეგი იაკობაშვილი	204
28. ელექტრონული სწავლებისა და სერტიფიცირების კონცეფცია ქეთევან კიწმარიშვილი	214
29. ინოვაციური საქმიანობის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებები ქეთევან კიწმარიშვილი	223
30. საქალაქო ტრანსპორტის დროში განვითარების ანალიზი, რეალობა და პერსპექტივები ინგა გიგაური	233
31. ავტორთა საყურადღებოდ	250

უკვ 629.113.004

საქალაქო ავტობუსების საშუალო სიჩქარის განმსაზღვრელი ფაქტორები გამოყოფილ ზოლებში ექსპლუატაციისას

დავით ფრიდონაშვილი*, ზურაბ ბოგველიშვილი**,
ნუგზარ დიასამიძე***

**ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;*

***მოწვეული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;*

**** ასისტენტ პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №71, 0175,
თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: სტატიაში განხილულია მოსახლეობისათვის მგზავრობის პროცესის ხარისხის ამაღლების მნიშვნელოვანი რეზერვი – სპეციალური ზოლების გამოყოფა საქალაქო ავტობუსებისათვის. ასევე შემოთავაზებულია ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს დასახლებული ღონისძიება. წარმოდგენილია რეკომენდაციები საქალაქო ავტობუსის საექსპლუატაციო სიჩქარეზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების აუცილებლად გათვალისწინების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია საქალაქო ავტობუსებისათვის დაგეგმილ გაჩერებებს შორის მანძილის დადგენაზე. ხაზგასმულია, რომ აღნიშნული სიდიდე უნდა იყოს 600...800 მ და მეტი. შემოთავაზებულია რეკომენდირებული ღონისძიებების შემფასებელი პარამეტრი – საქალაქო ავტობუსის საექსპლუატაციო სიჩქარე.

საკვანძო სიტყვები: საქალაქო ავტობუსი, გამოყოფილი ზოლი, გადასარბენის სიგრძე, საექსპლუატაციო სიჩქარე.

შესავალი

საქალაქო საზოგადოებრივი ტრანსპორტის დანიშნულებაა სამგზავრო გადაზიდვებზე მზარდ მოთხოვნათა სრული, ხარისხოვანი და დროული დაკმაყოფილება. თანამედროვე პირობებში სულ უფრო და უფრო ძნელდება აღნიშნული მოვალეობების შესრულება, რადგან სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ინტენსივობის ზრდის ტემპები გაცილებით მაღალია, ვიდრე საგზაო

ინფრასტრუქტურისა. აღნიშნული პროცესების შედეგად კი ძალიან ხშირად მოძრავი შემადგენლობის ინტენსივობა მიდის იმ კრიტიკულ დონემდე, რომელიც აღემატება მაგისტრალის გამტარუნარიანობას. ამის შედეგად წარმოქმნილი საცობები კი ზრდის ადამიანთა მიერ მგზავრობაზე დახარჯულ დროს, რასაც თავისთავად მოსდევს მთელი რიგი სოციალური პრობლემები. დასახელებული გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლა ევროპის ქვეყნებში ძირითადად სამი ფორმით მიმდინარეობს:

- მოძრაობის ორგანიზაციის სქემების სრულყოფა;
- საქალაქო საზოგადოებრივი ავტობუსებისათვის (სსა) უპირატესობის მინიჭება გზაჯვარედინების გავლის პროცესში;
- სსა-სთვის სპეციალური ზოლების გამოყოფა.

როგორც მრავალ ქვეყანაში ჩატარებულმა კვლევებმა და პრაქტიკაში განხორციელებულმა ღონისძიებებმა აჩვენა, დასახელებულთაგან ყველაზე ეფექტურია მესამე, რადგან ამ დროს ხდება მგზავრობაზე დახარჯული დროის შემცირება, იზრდება მგზავრნაკადები და, ამავდროულად, მცირდება სატრანსპორტო ნაკადები კერძო მფლობელობაში მყოფი ავტომობილების ხარჯზე. ნიუ-იორკში M15 მარშრუტზე ავტობუსების მოძრაობის საშუალო სიჩქარე იყო 8,53 კმ/სთ. მას შემდეგ, რაც მოხდა სპეციალური ზოლების გამოყოფა, მგზავრობაზე დახარჯული დრო შემცირდა 21-27%-ით, ხოლო გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა გაიზარდა 48%-ით.

ძირითადი ნაწილი

იმისათვის, რომ განხორციელდეს სსა-სთვის სპეციალური ზოლების გამოყოფა, საჭიროა მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინება: მარშრუტზე მომუშავე სსა-ს რაოდენობა, მთლიანი სატრანსპორტო ნაკადი და მისი შემადგენლობა, გასაჩერებელი პუნქტების გამტარიანობა, მგზავრნაკადები, შუქნიშნების განლაგების სიმჭიდროვე და მათი რეგულირების რეჟიმები, გზის სავალი ნაწილის გეომეტრიული პარამეტრები, მოძრაობის სიჩქარეები და სხვა. თუ ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილს დავუმატებთ უშუალოდ ზოლების გამოსაყოფად

ჩასატარებელ ძირითად და დამხმარე ოპერაციებს, მაშინ ცხადი ხდება თუ რა ფინანსები და შრომითი რესურსებია საჭირო სპეციალური ზოლების გამოსაყოფად. იმის გამო, რომ არ არსებობს ერთიანი ჩამოყალიბებული და საყოველთაოდ მიღებული მეთოდიკა, თუ რა პარამეტრების არსებობის შემთხვევაში უნდა მოხდეს ამა თუ იმ მარშრუტისათვის სპეციალური ზოლების გამოყოფა და არც შემფასებელი კრიტერიუმებია ცალსახად განსაზღვრული, ზოგჯერ ზოლების გამოყოფა ხდება ქაოტურად. ამის შედეგად კი ხშირად სასურველ ეფექტს ვერ ვღებულობთ.


განსახილველი თემის ირგვლივ გამოქვეყნებული ნაშრომების შესწავლისა და სხვადასხვა ქალაქებში სპეციალურ ზოლებში მომუშავე სსა-ს საექსპლუატაციო მაჩვენებლების (ერთ-ერთი მათგანი ნაჩვენებია ცხრ. 1-ში) გაცნობის შემდეგ მიზანშეწონილად მიგვაჩნია პრობლემის გადაჭრის პროცესში უპირატესობა მიენიჭოს მოძრაობის საშუალო სიჩქარეს. გამოთქმული მოსაზრების არსი მდგომარეობს შემდეგში: ვინაიდან სპეციალური ზოლების გამოყოფა მგზავრობის პროცესზე დახარჯული დროის შემცირების მიზნით ხდება, ამიტომ როგორც მის განსახორციელებლად, ასევე მის შესაფასებლად ძირითად პარამეტრად აღებული უნდა იქნეს მოძრაობის საშუალო სიჩქარე. თვითონ ეს საექსპლუატაციო მახასიათებელი დამოკიდებულია ძალიან ბევრ ფაქტორზე, რომელთაგან ძირითადები ნაჩვენებია ნახაზზე 1.

ცხრილი 1

საქალაქო ავტობუსების მოძრაობის საშუალო სიჩქარეები, კმ/სთ

საშუალო მანძილი გაჩერებებს შორის, (კმ)		გაჩერებაზე დგომის დცრო (წმ)					
		10	20	30	40	50	60
0,16	საერთო ნაკადში	10	8	8	6,4	6,4	4,8
	გამოყოფილ ზოლებში	14,5	11	10	8	6,4	6,4
0,32	საერთო ნაკადში	14,5	13	11	10	10	8
	გამოყოფილ ზოლებში	26	21	18	16	14,5	13
0,40	საერთო ნაკადში	16	14,5	13	11	11	10
	გამოყოფილ ზოლებში	29	24	21	18	16	14,5
0,80	საერთო ნაკადში	18	16	16	14,5	14,5	13
	გამოყოფილ ზოლებში	40	35	32	29	26	24

თავისთავად ცხადია, რომ ნახ. 1-ზე წარმოდგენილ ყველა ფაქტორს ერთნაირი გავლენა სსა-ს საექსპლუატაციო სიჩქარეზე არც ჩვეულებრივი რეჟიმით მოძრაობისას და არც გამოყოფილ ზოლებში მუშაობისას არა აქვს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრიორიტეტულ პირობებში (იგულისხმება გამოყოფილი ზოლები) გადასვლისას ზოგიერთი ფაქტორის (მოძრაობის ინტენსივობა და რეგულირება, ნაკადის შემადგენლობა) გავლენა მცირდება, ზოგიერთის (სალონის კონსტრუქცია, ტექნიკური მდგომარეობა, მძღოლის კვალიფიკაცია) იგივე რჩება, ზოგიერთის (გაბარიტული ზომები, ძრავის სიმძლავრე, ტრანსმისიის გადაცემათა რიცხვები, გადასარბენის სიგრძეები) კი იზრდება. განვიხილოთ ეს უკანასკნელი ჯგუფი.



ნახ. 1. საქალაქო ავტობუსის საექსპლუატაციო სიჩქარეზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები

როგორც ზემოთ ცალსახად აღინიშნა, სსა-სთვის სპეციალური ზოლების გამოყოფას ორი ძირითადი მიზანი აქვს: გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობისა და მოძრაობის საშუალო სიჩქარის გაზრდა. თუ დასახელებულ ამოცანათაგან პირველის გადაჭრას მოვინდომებთ მგზავრნაკადების წინასწარი კვლევების გაუთვალის-წინებლად, მაშინ ექსპლუატაციისათვის უნდა შევირჩიოთ უფრო დიდი გაბარიტების მქონე ავტობუსი. აღნიშნული კი გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების შევსების კოეფიციენტის ან მოძრაობის სიჩქარის შემცირებას. ამიტომ, ცხადია, რომ გამოყოფილ ზოლებში ექსპლუატაციისათვის შერჩეული სსა-ს გაბარიტული ზომები (ვინაიდან ისინი განსაზღვრავენ მგზავრტევადობას) უნდა შეესაბამებოდეს ზემოთ ჩამოთვლილი წინასწარი კვლევების შედეგებს.

ავტომობილის გამოყენების ეფექტიანობა სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად დამოკიდებულია მისი წვეთ-დინამიკური თვისებების ექსპლუატაციის პირობებთან შესაბამისობაზე. ამიტომ ავტობუსები, რომელთა მუშაობა ერთ ქალაქში საკმაოდ ეფექტურია, სხვა ქალაქებში მოძრაობისას ვერ აკმაყოფილებენ მათდამი წაყენებულ მოთხოვნებს. აღნიშნული განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება სწორ და მთაგორიან რელიეფზე (სწორედ ამ მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ქ. თბილისიც) მდებარე ქალაქებში სსა-ს მუშაობისას მიღებული საექსპლუატაციო მახასიათებლების შედარებით. ამიტომ მოდელირების გზით აუცილებლად უნდა დადგინდეს შერჩეული ავტობუსის კონსტრუქციული პარამეტრების (პირველ რიგში ძრავას სიმძლავრისა და ტრანსმისიის პარამეტრების) შესაბამისობა გამოყოფილ ზოლებში ექსპლუატაციის პირობებთან.

სსა-ს საექსპლუატაციო სიჩქარეზე მოქმედი ფაქტორებიდან (იხ. ნახ. 1) ერთ-ერთი მნიშვნელოვანია დაგეგმილ გაჩერებებს შორის მანძილი, ე.წ. გადასარბენი. ნებისმიერი ადამიანის სურვილია, რომ მის საცხოვრებელთან და სამსახურთან რაც შეიძლება ახლოს იყოს გასაჩერებელი პუნქტი, ე.წ. გაჩერება. აღნიშნული მოთხოვნილების დაკმაყოფილება ზრდის გაჩერებების რაოდენობას, რაც აუარესებს ექსპლუატაციის პირობებს, მიუღებელია ავტოპარკისთვის და, რაც მთავარია, საბოლოო ჯამში ამცირებს მოძრაობის საშუალო სიჩქარეს. ასე რომ

გადასარბენის სიგრძის შერჩევას გვაქვს ორი (მოსახლეობის და ავტოპარკის) ურთიერთ-საპირისპირო ინტერესი.

თუ გავითვალისწინებთ სსა-სთვის სპეციალური ზოლების გამოყოფის დანიშნულებას (მოსახლეობის მგზავრობაზე დახარჯული დროის შემცირება) და ცხრ. 1-ში მოცემულ შედეგებს, მაშინ ცხადი ხდება, რომ ექსპლოატაციის განსახილველ პირობებში გადასარბენების სიგრძე უნდა იყოს 600...800 მ და მეტი.

დასკვნა

გამოყოფილ ზოლებში სსა-ს საშუალო სიჩქარის გაზრდის მიზნით მიზანშეწონილია გადასარბენების სიგრძე იყოს 600...800 მ და მეტი, ხოლო ავტობუსების კონსტრუქციული პარამეტრები (ძრავას სიმძლავრე, ტრანსმისიის გადაცემის რიცხვები, გაბარიტული ზომები) უნდა შეესაბამებოდეს ექსპლოატაციის პირობებს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. დ. ფრიდონაშვილი, ზ. ბოგველიშვილი, ნ. ბუთხუზი - გამოყოფილ ზოლებში მომუშავე საქალაქო ავტობუსების წევით-დინამიკური თვისებების გაუმჯობესება; ს/ტ ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“, თბილისი, №3, 2020წ., გვ. 40-44;
2. Фомин Е.В., Зеер В.А., Арефьева Е.С. - Обеспечение приоритета городского пассажирского транспорта общего пользования на улично-дорожной сети города; Вестник СибАДИ, том 17, №3, 2020;
3. <https://files.stroyinf.ru/Data2/1/4293725/4293725416.htm>

FACTORS DETERMINING THE AVERAGE SPEED OF CITY BUSES WHEN OPERATING AT DESIGNATED LANES

**David Pridonashvili, Zurab Bogvelishvili,
Nugzar Diasamidze**

Abstract

The article deals with the most important reserve for population transportation process quality enhancement, namely allocation of special lanes for city buses. There are offered criteria, according to which the mentioned measures have to be carried out. There are given recommendations for mandatory consideration of key factors influencing the operating speed of city buses. Special attention is pinpointed on determination of the distance between stops scheduled for city buses. It is emphasized that the mentioned value has to be 600...800 m and more. There is offered the parameter for assessment of the recommended measure – city bus operating speed.

ФАКТОРЫ, ОПРЕДЕЛЯЮЩИЕ СРЕДНЮЮ СКОРОСТЬ ГОРОДСКИХ АВТОБУСОВ ПРИ ЭКСПЛУАТАЦИИ В ВЫДЕЛЕННЫХ ПОЛОСАХ

**Давид Придонашвили, Зураб Богвелишвили,
Нугзар Диасамидзе**

Резюме

В статье рассмотрен важнейший резерв повышения качества процесса перевозки населения – выделение специальных полос для городских автобусов, а также предложены те критерии, согласно которым должно осуществляться данное мероприятие. Представлены рекомендации об обязательном учете основных факторов, действующих на эксплуатационную скорость городских автобусов. Особое внимание заострено на установлении расстояния между запланированными для городских автобусов остановками. Подчеркивается, что указанная величина должна быть 600...800 м и больше. Предложен параметр для оценки рекомендованного мероприятия – эксплуатационная скорость городского автобуса.

უაკ 629.113.004

მდგრადი განვითარების კონცეფცია და მწვანე ლოგისტიკა

ვახტანგ ბოგველიშვილი*, დავით ფრიდონაშვილი**,

ზურაბ ბოგველიშვილი***

**მოწვეული ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;*

***ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;*

**** მოწვეული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №71, 0175,

თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: მწვანე ლოგისტიკა წარმოადგენს საზოგადოების, ეკონომიკისა და გარემოს ურთიერთქმედების სისტემის მდგრადი განვითარების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს. მწვანე ლოგისტიკა როგორც სამეცნიერო მიმართულება აქტუალურია თანამედროვე მსოფლიოში. იგი წარმოადგენს მეცნიერების, ბიზნესის, განათლების მაკონსოლიდირებელ ფაქტორს და აკავშირებს გარემოს დაცვაზე ზრუნვას ლოგისტიკურ საქმიანობასთან. მას აქვს როგორც ეკონომიკურად ასევე ეკოლოგიურად და სოციალურად სასარგებლო ეფექტი. **საკვანძო სიტყვები:** მდგრადი განვითარება, მწვანე ლოგისტიკა, გარემო.

შესავალი

მდგრადი განვითარების კონცეფცია წარმოადგენს საზოგადოების განვითარების სისტემას, რომელიც ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას. მიიჩნევა, რომ განვითარება უნდა იყოს ეკონომიკურად ხელსაყრელი, სოციალურად სამართლიანი და გარემოსთვის დამზოგავი. ეს მიზნები ორიენტირებულია მდგრადი განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტზე - ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა.

საზოგადოების, ეკონომიკისა და გარემოს ურთიერთქმედების სისტემის მდგრადი განვითარების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს წარმოადგენს ლოგისტიკა. არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი ლოგისტიკის სფეროს, გარემოსა და ბუნებრივ რესურსებს შორის, რადგან სწორედ ლოგისტიკაა პასუხისმგებელი

რესურსების კომპეტენტურ განაწილებაზე, შენახვასა და ტრანსპორტირებაზე, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს მსოფლიოში გარემოს მდგომარეობაზე.

ძირითადი ნაწილი

გლობალიზაციის, ეკონომიკური ინტეგრაციის, გამლიერებული საერთაშორისო კონკურენციისა და მსოფლიო ბაზრებზე გავლენის სფეროებისათვის ბრძოლის პირობებში, ლოგისტიკა წარმოადგენს მნიშვნელოვან სტრატეგიულ რესურსს, რომელიც განსაზღვრავს საქონლისა და მომსახურების გლობალური ნაკადების მიმართულებებს, ასტიმულირებს ინვესტიციების ნაკადს, ხელს უწყობს ახალ ბაზრებზე გასვლას და განსაზღვრავს ეკონომიკური განვითარების ტემპებს, ქმნის კონკურენტულ გარემოს საწარმოების, რეგიონების, ეროვნული ეკონომიკების დონეზე.

ამავდროულად, სწორედ გლობალიზაციის პირობებში ხდება ლოგისტიკის გარემოზე ზემოქმედების მასშტაბი განსაკუთრებულად ყოვლისმომცველი, რადგან მატერიალური, ენერგეტიკული, საინფორმაციო ნაკადების ფორმირების, გადაადგილების, შენახვისა და მოხმარების პროცესებს თან ახლავს გარემოს დაზიანება, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ეკოლოგიურ გარემოს, არამედ მთლიანად თანამედროვე ცივილიზაციას.

მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან დასავლეთის ქვეყნებში გამოჩნდა ლოგისტიკის ახალი მიმართულება - „მწვანე ლოგისტიკა“, მისი სინონიმია ეკოლოგიური ლოგისტიკა (ეკოლოგისტიკა). მწვანე ლოგისტიკა ახალი სამეცნიერო მიმართულებაა, რომელიც გულისხმობს ლოგისტიკის პროგრესული მეთოდების და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას გარემოს დაბინძურების მინიმიზაციის და ლოგისტიკური რესურსების გამოყენების ეფექტურობის გაზრდის მიზნით. მწვანე ლოგისტიკა არის საწარმოების ლოგისტიკური ოპერაციების შედეგად გარემოზე მიყენებული ზიანის მინიმუმამდე შემცირების პროცესი.

მწვანე ლოგისტიკას საფუძვლად დაედო ეკოლოგიური რაციონალიზმისა და „საერთო პასუხისმგებლობის“ პრინციპები, რაც უზრუნველყოფს არამარტო მსოფლიო ეკონომიკის, არამედ მსოფლიო ცივილიზაციის მდგრად განვითარებას.

მწვანე ლოგისტიკის ძირითადი ცნებები და განმარტებები ფორმირებულია გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამების ფარგლებში. საბაზისო საერთაშორისო დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც ჩამოყალიბდა ლოგისტიკური პროცესების ორგანიზაციისა და მართვის ახალი მოთხოვნები არის: 1987 წლის მონრეალის ოქმი „ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ“ [1], „გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციის“ კიოტოს 1997 წლის ოქმი [2], ტრანსპორტის გარემოზე ზემოქმედების შემცირების მიზნით 2001 წელს ევროკავშირის მიერ მიღებული ე.წ. „თეთრი წიგნი“ (White paper) [3] და სხვ.

მწვანე ლოგისტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ნედლეული რესურსებისა და გარემოს შენარჩუნებას ბოლო პერიოდში ძალიან პოპულარული გახდა დასავლეთში. როგორც მსხვილი ბიბლიომეტრიული ინტეგრატორები Scopus, Elibrary, Web of Science მოწმობენ გამოქვეყნებულ შრომათა რაოდენობა მიძღვნილი მწვანე ლოგისტიკისადმი უკანასკნელ წლებში პროგრესულად მატულობს.

ეკოლოგიური ნორმების გათვალისწინება მოითხოვს ლოგისტიკური საქმიანობის მართვის ტრადიციული მიდგომების შეცვლას, ლოგისტიკური საწარმოების გადამისამართებას გარემოს დაცვის უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენებაზე, ადგილს უთმობს „მწვანე“ ტექნოლოგიებს, აკავშირებს გარემოს დაცვაზე ზრუნვას ლოგისტიკურ საქმიანობასთან. ცდილობენ რა შეამცირონ სექტორის ზემოქმედება გარემოზე, ლოგისტიკური საწარმოები ცდილობენ აიღო ეკოლოგიური პასუხისმგებლობა საკუთარ საქმიანობაზე, რათა მინიმალური ზიანი მიაღწეს გარემოს. მწვანე ლოგისტიკა არა მხოლოდ ეფექტური გზაა ინოვაციური პროცესების მართვისა ახალი სტანდარტების შექმნის ხარჯზე, არამედ ტექნოლოგიური განახლების სერიოზული სტიმულია, რომელსაც აქვთ დიდი მულტიპლიკატორული ეფექტი. ამას ადასტურებს ევროპული განვითარებული ქვეყნების გამოცდილება [4].

მწვანე ლოგისტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც გასათვალისწინებელია ქართული ლოგისტიკური ფირმების მიერ, არის: ბუნებრივი და საწარმოო რესურსების ეფექტური მართვა; საწარმოო ნარჩენების, ტარის და

შესაფუთი მასალის როგორც მეორადი ნედლეულის მაქსიმალური გამოყენება; ნედლეულის და მასალების მოხმარების მინიმუმამდე შემცირება, რომლებიც არ ექვემდებარებიან მეორად გადამუშავებას ან უსაფრთხო უტილიზაციას; მატერიალური რესურსების ეკონომიკურად დასაბუთებული და ეკოლოგიურად უსაფრთხო ტრანსპორტირება და დასაწყობება; თანამედროვე მეცნიერებატევადი და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა; ლოგისტიკური პერსონალის ეკოლოგიური ორიენტაციის და პასუხისმგებლობის დონის ამაღლება.

საზღვარგარეთული გამოცდილება აჩვენებს, რომ ლოგისტიკაში რესურსდამზოგი ტექნოლოგიების გამოყენება საშუალებას იძლევა მატერიალური მარაგები შემცირდეს 40-60 %-ით, საბრუნავი სახსრების ბრუნვა გაიზარდოს 20-40 %-ით, ტრანსპორტირების ხარჯები შემცირდეს 7-20 %-ით, შემცირდეს დატვირთვა-გადმოტვირთვის და დასაწყობების ხარჯები 15-30 %-ით. საწარმოების მიერ ლოგისტიკის სფეროში „მწვანე“ ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება ხელსაყრელ გავლენას ახდენს გარემოსდაცვით საქმიანობაზე, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებზე.

დასკვნა

მწვანე ლოგისტიკა როგორც სამეცნიერო მიმართულება აქტუალურია თანამედროვე მსოფლიოში. მას აქვს როგორც ეკოლოგიურად, ასევე ეკონომიკურად და სოციალურად სასარგებლო ეფექტი. ქართულმა ლოგისტიკურმა საწარმოებმა უნდა იხელმძღვანელონ მწვანე ლოგისტიკის პრინციპებით, რათა საწარმოს ლოგისტიკური პოლიტიკა ფორმირებული იქნეს არა მხოლოდ კომპანიის ეკონომიკური მდგომარეობის შედეგების საფუძველზე, არამედ საზოგადოებისათვის აქტუალური ეკოლოგიური შედეგების გათვალისწინებით.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Montreal Protocol on Substances that Deplete the Ozone Layer. – UNEP, 1987, 13 p.;
2. Kyoto Protocol to the United Nations Framework Convention on Climate Change. – United Nations, 1997, 21 p.;

3. White Paper European transport policy. – Brussels, Commission of the European Communities, 2001, 124 p.;

4. Duan X. Green logistic network design: intermodal transportation planning and vehicle routing problems. – University of Louisville. 2016. 167 p.

SUSTAINABLE DEVELOPMENT CONCEPT AND GREEN LOGISTICS

Vakhtang Bogvelishvili, David Pridonashvili,

Zurab Bogvelishvili

Abstract

Green logistics is one of the main components of the sustainable development of the interaction system of society, economy and environment. Green logistics as a scientific direction is relevant in the modern world. It is the consolidating factor of science, business, education and connects environmental care with logistics activities. It has both economically as well as ecologically and socially beneficial effects.

КОНЦЕПЦИЯ УСТОЙЧИВОГО РАЗВИТИЯ И ЗЕЛЕНАЯ ЛОГИСТИКА

Богвелишвили Вахтанг, Придонашвили Давид,

Богвелишвили Зураб

Резюме

Зеленая логистика - одна из основных компонентов устойчивого развития системы взаимодействия общества, экономики и окружающей среды. Зеленая логистика как научное направление актуальна в современном мире. Она является консолидирующим фактором науки, бизнеса, образования и связывает заботу об окружающей среде с логистической деятельностью. Это имеет как экономически, так и экологически и социально благоприятное воздействие.

უაკ 629.113.004

რაციონარული ავტოსატრანსპორტო საშუალების

შერჩევის თეორიული საფუძვლები

ვალერიან ხარიტონაშვილი*, დავით აშოთია**

**პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;*

***დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №71, 0175,

თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: მოცემულია რაციონალური ავტოსატრანსპორტო საშუალების შერჩევის და შეფასების მეთოდების ანალიზი და მისი უფრო სრულყოფილი შერჩევისა და შეფასების მეთოდის თეორიული საფუძვლები შესაბამისი ფორმულის სახით, რომელიც ითვალისწინებს რაციონარული ავტოსატრანსპორტო საშუალების შერჩევას ტექნიკურ-ეკონომიკური კრიტერიუმის მაჩვენებლებით, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ავტოსატრანსპორტო საშუალების ეფექტურობის, არამედ საავტომობილო ტრანსპორტის, აგრეთვე ეროვნული მეურნეობის ფუნქციურობის ეფექტიანობის გაზრდას.

საკვანძო სიტყვები: ავტოსატრანსპორტო საშუალება, ეფექტიანობა, შერჩევა.

შესავალი

როგორც ცნობილია, ავტოსატრანსპორტო საშუალების ეფექტიანობის შეფასება ხორციელდება ერთეული, განზოგადებული, ინტეგრალური და კომპლექსური მაჩვენებლებით. ამავე დროს ავტომობილის ტექნიკური დონე ფასდება საექსპლუატაციო თვისებების მაჩვენებლების შედარებით ანალოგიურ ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან.

რიგ ნაშრომებში მოცემულ საექსპლუატაციო პირობებში ავტოსატრანსპორტო საშუალების ეფექტიანობის შეფასებისას დაყვანილ ხარჯებთან ერთად შემოთავაზებულია კრიტერიუმები: შრომატევადობა, მასალატევადობა და გადაზიდვის ენერგოტევადობა (საწვავის ხარჯი ერთეულ შესრულებულ სატრანსპორტო მუშაობაზე). ამ შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალების

ეფექტიანობის შეფასება ხორციელდება მისი საექსპლუატაციო თვისებების მაჩვენებლების გარეშე [1].

საავტომობილო ტრანსპორტში მიღებული ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების განზოგადებული კრიტერიუმს წარმოადგენს გადაზიდვებზე დაყვანილი დანახარჯები. ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალების პარამეტრების ოპტიმიზაციის პრინციპი მდგომარეობს „მინი-მაქს“ ამოცანის გადაწყვეტა: მინიმალური დანახარჯები მაქსიმალური მწარმოებლურობით. აღნიშნული ამოცანა დაიყვანება საკვლევი პარამეტრების ოპტიმალური ზონის გამოვლენაზე, რომლებიც შეესაბამება ოპტიმალურობის კრიტერიუმად მიღებულ კომპლექსური მაჩვენებლის მნიშვნელობას. მაქსიმალური მნიშვნელობას მიეკუთვნება ტექნიკურ, ხოლო მინიმალური - ტექნიკურ-ეკონომიკურ კომპლექსურ მაჩვენებელს [2].

ასეთ მიდგომას ადგილი აქვს ავტომობილის ოპტიმალური პარამეტრების შერჩევის პრობლემის გადაწყვეტისას. გადაზიდვებზე დაყვანილი დანახარჯების კრიტერიუმით შეიძლება შეფასდეს ავტომობილის კონსტრუქციის ნებისმიერი ცვლილება, რადგან ამ დროს იცვლება მისი საექსპლუატაციო თვისებები.

ავტოსატრანსპორტო საშუალების პარამეტრების განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს საექსპლუატაციო პირობები. ოპტიმალური ტვირთამწეობა განისაზღვრება გადასაზიდი ტვირთის თვისებებით, ხოლო შემზღვეველ ფაქტორს წარმოადგენს საგზაო პირობები. ამიტომ ტრანსპორტირების პროცესში ავტოსატრანსპორტო საშუალების პარამეტრების ოპტიმიზირება უნდა მოხდეს როგორც დაყვანილი დანახარჯებით, ისე მისი პარამეტრების შესაბამისობით, რაციონარული დატვირთვის უზრუნველყოფით და სატრანსპორტო ნაკადის მთლიანი სისტემის ეფექტიანობის კრიტერიუმით.

ავტოსატრანსპორტო საშუალების ეფექტიანობის შეფასების სრულყოფილი მაჩვენებლების ოპტიმალური სისტემის უზრუნველყოფა გაზრდის არა მხოლოდ საავტომობილო ტრანსპორტის, არამედ ეროვნული მეურნეობის ფუნქციურობის ეფექტიანობას.

ძირითადი ნაწილი

ავტოსტრანსპორტო საშუალების ეფექტიანობის ძირითად ტექნიკურ კრიტერიუმს წარმოადგენს მწარმოებლურობა, რომლის ძირითადი მდგენელი - მოძრაობის საშუალო ტექნიკური სიჩქარე განისაზღვრება ავტოსტრანსპორტო საშუალების საექსპლუატაციო თვისებების ერთობლიობით, საექსპლუატაციო პირობებით და მძღოლის ქცევით, შესაბამისად მოძრაობის საშუალო ტექნიკური სიჩქარე დამოკიდებულია სისტემის „ავტოსტრანსპორტო საშუალება-გზა-მძღოლი-გარემო“ რგოლების ურთიერთქმედებით. საექსპლუატაციო პირობები წარმოადგენს მოცემულობას, ხოლო გზა და გარემო - შემზღვეველს, რადგან მათი გავლენა ყოველთვის ამცირებს მოძრაობის პოტენციურ სიჩქარეს, რომელიც შეეძლო ავტოსტრანსპორტო საშუალებას თავისი ტექნიკური შესაძლებლობების გამოყენებით მოცემულ საგზაო პირობებში. ნებისმიერ პირობებში გარემო მკვეთრად ზღუდავს პოტენციურ სიჩქარეს, სატრანსპორტო ნაკადის და მოძრაობის ორგანიზაციის საშუალებების გავლენით. აქედან გამომდინარე, ავტოსტრანსპორტო საშუალების საექსპლუატაციო თვისებებიდან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გამავლობას, რომელიც უშუალოდ განსაზღვრავს მოძრაობის საშუალო ტექნიკურ სიჩქარეს.

ავტოსტრანსპორტო საშუალების კონსტრუქციის ელემენტებს და მისი საექსპლუატაციო თვისებებს სრულად არ გააჩნიათ კავშირი ტრანსპორტირებაზე ფაქტობრივ დანახარჯებთან, ამიტომ ეფექტიანობის შეფასების მეთოდები არ არის სრულყოფილი.

ავტოსტრანსპორტო საშუალების კონსტრუქციის სრულყოფის დასაბუთებული შეფასების, მისი ტექნიკური და კონსტრუქციული პარამეტრების შერჩევითი საჭიროა მისი კონსტრუქციის შეთავსებადობის შეფასება არა მხოლოდ მოძრაობასთან, არამედ მისი ექსპლუატაციის სხვა პროცესებთან, რაც ეფუძნება როგორც საექსპლუატაციო, ისე სამომხმარებლო თვისებების შეფასებას.

მიუხედავად იმისა, რომ ავტოსტრანსპორტო საშუალება წარმოადგენს საავტომობილო ტრანსპორტის სისტემის რთულ ტექნიკურ ქვესისტემას, გამოქვეყნებულ ნაშრომებში ავტორების ამოცანას არ წარმოადგენს ავტომობილის

ფუნქციურობის ეფექტიანობის გაზრდა საავტომობილო ტრანსპორტის მთლიან სისტემაში. ჩვეულებრივ განიხილება საექსპლუატაციო თვისებების რომელიმე ცალკე აღებული მაჩვენებელი. ამიტომ საჭიროა ავტოსატრანსპორტო საშუალების ეფექტიანობის შეფასებისას განხილულ იქნეს, როგორც მისი კონსტრუქციული პარამეტრები, ისე მისი საექსპლუატაციო მაჩვენებლები, რომლებიც საკმარისად სრულად ახასიათებენ ავტომობილის ეფექტიანობას სატრანსპორტო პროცესში, რაც ზოგადად პასუხობს საავტომობილო ტრანსპორტის განვითარების თანამედროვე კონცეფციას.

საექსპლუატაციო თვისებებიდან მოძრაობის საშუალო ტექნიკურ სიჩქარეზე მთავარ გავლენას ახდენს წვეთი-სიჩქარითი თვისება, რომლითაც ფორმირდება ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაძლო მაქსიმალური მოძრაობის სიჩქარე. სამუხრუჭო თვისება, გამავლობა, მდგრადობა, მართვადობა, სვლის სიმდოვრე წარმოადგენენ მოძრაობის საშუალო პოტენციური სიჩქარის შემზღვეველ ფაქტორებს, საწვავის ხარჯი უშუალოდ არ ახდენს გავლენას მოძრაობის საშუალო სიჩქარეზე, თუმცა გათვალისწინებულ უნდა იქნეს ავტოსატრანსპორტო საშუალების ეფექტიანობის შეფასებისას, რადგან წარმოადგენს ტრანსპორტირებაზე დახარჯული ენერჯის ირიბ მაჩვენებელს.

ი.ე. ფარობინის მიერ შემოთავაზებულია კონკრეტულ საექსპლუატაციო პირობებში ავტოსატრანსპორტო საშუალების კონსტრუქციის სრულყოფის შეფასების სისტემა, მის მიერ შემოღებულ იქნა საავტომობილო ტრანსპორტის საერთო ეფექტიანობის ნაწილის ავტოსატრანსპორტო საშუალების „კონსტრუქციული ეფექტურობის“ ცნება [3].

ავტოსატრანსპორტო საშუალების „კონსტრუქციული ეფექტიანობა“ განიხილება, როგორც მისი ტექნიკური პარამეტრებით გადაზიდვის მაქსიმალური ეფექტიანობის უზრუნველყოფა კონკრეტულ საექსპლუატაციო პირობებში უსაფრთხოების დაცვით. კონსტრუქციული ეფექტურობის შეფასებისას ეს ცნება გულისხმობს მხოლოდ იმ თვისებების გათვალისწინებას, რომლებიც განსაზღვრავენ სატრანსპორტო ამოცანის შესრულების ეფექტიანობას, ანუ მოძრავი ავტოსატრანსპორტო საშუალების სრულყოფის ხარისხს.

ავტოსატრანსპორტო საშუალების კონსტრუქციასა და მის ეფექტიანობას შორის სისტემური კავშირისათვის გამოყენებული სქემით „ავტომობილის კონსტრუქციის ელემენტები-საექსპლუატაციო თვისებები - ეფექტიანობის გამოყენების მაჩვენებლები - ტრანსპორტირებაზე დანახარჯები“ ავტომობილის ეფექტიანობის შეფასების მეთოდების განვითარების ამოცანას წარმოადგენს ავტომობილის კონსტრუქციის ეფექტიანობის ძირითად კრიტერიუმთან - ტრანსპორტირებაზე დანახარჯებთან ობიექტური კავშირის განსაზღვრა, რაც მოითხოვს ავტოსატრანსპორტო საშუალების ეფექტიანობის ცნების დაზუსტებას, რადგან მისი ექსპლუატაციის შედეგად დანახარჯებში გაითვალისწინება მხოლოდ შიგა საექსპლუატაციო დანახარჯები. ხოლო ეფექტიანობის შეფასების მაჩვენებლებში არ აისახება გარე უარყოფითი ეფექტებით შექმნილი დანახარჯები.

ავტოსატრანსპორტო საშუალების ეფექტიანობის შეფასების მეთოდების ანალიზის შედეგად შეიძლება ჩამოყალიბდეს პრობლემის გადაწყვეტის უფრო სრულყოფილი ფორმულა შემდეგი სახით: რაციონარული სატრანსპორტო საშუალების შერჩევა და შეფასება უნდა ითვალისწინებდეს სატრანსპორტო საშუალებების კონკურენტი მოდელების ჯგუფის ფორმირებას და აქედან რაციონარული სატრანსპორტო საშუალების შერჩევას მათი კონსტრუქციული პარამეტრების შედარებით. ავტოსატრანსპორტო საშუალებების კონკურენტი მოდელების ჯგუფის ფორმირება უნდა განხორციელდეს მათი ერთნაირი ტვირთამწეობის სატრანსპორტო პროცესის ორგანიზაციისა და საექსპლუატაციო პირობების მიხედვით, ფორმირებული ჯგუფის რანჟირება უნდა განხორციელდეს გრადაციით (თანმიმდევრულად) ეკოლოგიური უსაფრთხოების ინტეგრალური კრიტერიუმებით, ამ კრიტერიუმებით სატრანსპორტო საშუალებების შერჩევის შემდეგ უნდა განხორციელდეს მათი მოძრაობის უსაფრთხოების ინტეგრალური კრიტერიუმებით და შემდეგ მათი რანჟირების შედეგად შეირჩეს არანაკლებ ორი მოდელის სატრანსპორტო საშუალება, შემდეგ განისაზღვროს მათ შიდა საექსპლუატაციო დანახარჯები და გარე უარყოფითი ეფექტებით გამოწვეულ დანახარჯები, ხოლო შემდეგ განისაზღვროს ეკონომიკური კრიტერიუმები - წმინდა მოგებები, ხოლო რაციონარული სატრანსპორტო საშუალების საბოლოო შეფასებისა

და შერჩევისათვის შედარებითი ეფექტი განისაზღვროს ტექნიკურ-ეკონომიკური კრიტერიუმით.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Наркевич Э. И. - Определение среднего КПД автомобиля на маршруте. Автомобильная промышленность; 1998, № 10, С. 20–23;
2. Тохиров Т.И. - Выбор подвижного состава как фактор влияющий на экономическую безопасность автотранспортного предприятия; Экономика и менеджмент инновационных технологий; 2012; №12 [Электронный ресурс]. URL: <http://ekonomika.snauka.ru/2012/12/1462> (дата обращения: 01.08.2014);
3. Фаробин Я.Е. - Оценка и выбор конструктивных параметров САТС. <https://www.google.com/> (გადამოწმებულია 25.03.2021).

THEORETICAL FOUNDATIONS FOR CHOOSING A RATIONAL VEHICLE

Valerian Kharitonashvili, David Ashotia

Abstract

The analysis of methods for choosing a rational vehicle and the theoretical foundations of a more perfect method for choosing and evaluating it in the form of an appropriate formula, which provides for the choice of a racial vehicle according to technical and economic criteria, provides not only an increase in the efficiency of a vehicle, but and road transport, as well as the functioning of the national economy.

ТЕОРЕТИЧЕСКИЕ ОСНОВЫ ВЫБОРА РАЦИОНАЛЬНОГО АВТОТРАНСПОРТНОГО СРЕДСТВА

Валерьян Харитонашвили, Давид Ашотия

Резюме

Дан анализ методов выбора рационального автотранспортного средства и теоретические основы более совершенного метода его выбора и оценки в виде соответствующей формулой, которая предусматривает выбор расионального автотранспортного средства по технико-экономическим критериям, что обеспечивает не только повышению эффективности автотранспортного средства, но и автомобильного транспорта, а также функционирования национального хозяйства.

უაკ 656.081

ავტოსატრანსპორტო საშუალების დამუხრუჭების პროცესის კვლევის მეთოდების ანალიზი

ვალერიან ხარიტონაშვილი*, დავით აშოთია**

**პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;*

***დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №71, 0175,

თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: მოცემულია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შემდეგ ავტომობილის დამუხრუჭების პროცესის კვლევისა და დამუხრუჭების მანძილის განსაზღვრისას ექსპერტების მიერ გამოყენებული საწყისი პარამეტრების სტატისტიკური მონაცემების რეკომენდებული ნორმატივების ანალიზი, რომლის შედეგები გვიჩვენებს არსებული რეკომენდებული მეთოდების სრულყოფის აუცილებლობას, თანამედროვე ავტომობილების სამუხრუჭო სისტემების გაზრდილი ეფექტიანობის გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: ავტომობილი, დამუხრუჭება, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა.

შესავალი

მსოფლიო სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების (სსშ) შედეგებმა შეიძინა დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით უბედური შემთხვევების 40% - დან საავტომობილო ტრანსპორტზე სსშ შეადგენს 98 %. ავარიულ-სახიფათო სიტუაციის წარმოქმნისას მძღოლის მოქმედება მიმართულია სსშ-ის თავიდან აცილებაზე. ამიტომ საექსპერტო პრაქტიკაში, მძღოლის მიერ სსშ-ის თავიდან აცილების ტექნიკური შესაძლებლობის დადგენის მიზნით, ექსპერტის წინაშე დგება ავტომობილის სიჩქარისა და გაჩერების მანძილის განსაზღვრის ამოცანა.

„მძღოლი-ავტომობილი-გზა-გარემო“ სისტემის ქვესისტემის - „მძღოლი“ ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს მძღოლის რეაქციის დრო, ხოლო ქვესისტემის „ავტომობილი“ - დამუხრუჭებისა და მანევრირების პარამეტრები. როგორც

თეორიული და ესპერიმენტული კვლევები გვიჩვენებს, თანამედროვე ავტომობილების სამუხრუჭო სისტემების ეფექტიანობა (დამუხრუჭების ეფექტიანობა – განზომილება, რომელიც გამოიხატება სატრანსპორტო საშუალების სამუხრუჭო სისტემის მიერ აუცილებელი მართვადი წინააღმდეგობის შექმნის უნარით) მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე მოძველებული კონსტრუქციის ავტომობილების სამუხრუჭო სისტემებისა [1].

თანამედროვე ავტომობილების სამუხრუჭო სისტემების პარამეტრების მაღალი ეფექტიანობის შედეგები მითითებულია აგრეთვე სსშ-ის სასამართლო ექსპერტიზის ექსპერტის პროფ. ი.ბ.სუვოროვის ნაშრომში [2].

ამჟამად სსშ-ის საექსპერტო კვლევისას ავტომობილის სამუხრუჭო სისტემის ეფექტიანობის შეფასებისას გამოყენებულია მოძველებული სტატისტიკური მონაცემები [3].

საექსპერტო პრაქტიკაში გამოყენებული სსშ-ის რეკონსტრუქციის დამუშავებული რეკომენდებული მეთოდების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათ გააჩნიათ მნიშვნელოვანი უზუსტობები. სსშ-ის ავტოტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების სიზუსტის გაზრდის მიზნით საჭიროა დაზუსტდეს არსებული მეთოდური რეკომენდაციები.

ძირითადი ნაწილი

სსშ-ის კვლევისას ავტომობილის გაჩერების მანძილის შეფასების ფორმულებში გამოიყენება ისეთი საწყისი მონაცემები, როგორცაა: მძღოლის რეაქციის დრო t_1 , თვლების გზასთან ჩაჭიდების კოეფიციენტი φ , დამყარებული მაქსიმალური შენელება j , ავტომობილის თვლების მიერ დატოვებული დამუხრუჭების ხილვადი კვალი S (იუზი - არა ბრუნვადი თვლის გრძივი მოცურება). ავტომობილის იუზით სიჩქარის შემცირების ნიშნების ან მიზეზების წარმოქმნის ბუნება სხვადასხვაგვარია. მაგ., იუზი შეიძლება წარმოიქმნას დამუხრუჭებამდე, დამუხრუჭების გარეშე, ან დამუხრუჭების შემდეგ, ამიტომ მისი გამოყენება გაჩერების განსაზღვრის ფორმულაში ყოველთვის არ არის კორექტული.

სსშ-ის შეფასებისას ავტომობილის გაჩერების მანძილის განსაზღვრა დამოკიდებულია საგზაო-სატრანსპორტო პირობებზე, ავტომობილის სიჩქარეზე და ავტომობილისა და მძღოლის რეაქციის დროის მაჩვენებლებზე. რეაქციის

დროის სიდიდე შეიძლება იყოს ზღვრებში 0,3-2,0 წმ, რომელიც დამოკიდებულია ადამიანის სქესზე, ასაკზე, სტაჟზე (გამოცდილებაზე, ჯანმრთელობაზე, ემოციურ დაძაბულობაზე, დაღლილობაზე და კლიმატურ ფაქტორებზე, დღე-ღამის დროზე და ა.შ), მაგ., 25 წლამდე ადამიანის რეაქციის დრო შეადგენს მარტივ სიტუაციებში საშუალოდ 0,26 წმ, ხოლო რთულ სიტუაციებში 1,54 წმ-ს. გაანგარიშებისას ექსპერტები რეაქციის დროს იღებენ ცხრილებიდან, რომლებშიც არ არის გათვალისწინებული ეს ფაქტორები.

ექსპერტების მიერ რეკომენდებულ ცხრილებში მოცემული კოეფიციენტების შერჩევა ხდება სსშ-ის ადგილზე შემთხვევის მომენტში შემთხვევაში მონაწილე სატრანსპორტო საშუალების საგზაო პირობებში ამ კოეფიციენტების შემოწმების გარეშე. ამავე დროს, ცხრილის მონაცემები არასოდეს არავითარ პირობებში არ შეიძლება შეესაბამებოდეს რეალურ მონაცემებს.

თვლების გზასთან ჩაჭიდების კოეფიციენტი დამოკიდებულია არა მხოლოდ ავტომობილის მოძრაობის სიჩქარეზე, საბურავების მდგომარეობაზე, პროტექტორის ნახატის სახეობასა და მდგომარეობაზე, პროტექტორის რეზინის ხარისხზე, გზის საფარველის სახეობასა და მდგომარეობაზე, არამედ სატრანსპორტო საშუალების ტიპზე, მის მასაზე, გაბარიტულ ზომებზე, აეროდინამიკურ თვისებაზე, საბურავებში ჰაერის წნევებზე და ტემპერატურაზე, მისი პროფილის სიგანეზე, აგრეთვე საგზაო პირობებზე, ამავე დროს სსშ-ის გზის კონკრეტულ მონაკვეთზე, ადგილმდებარეობის გარემოს, რელიეფზე (გზის გრძივი და განივი ქანობი), ქარის მიმართულებებზე და ძალაზე.

არცერთი ცხრილი, რომელიც არსებობს ავტოტექნიკური ექსპერტებისათვის და რომლის მონაცემებიც გამოიყენება გაანგარიშებისას, არ ითვალისწინებს აღნიშნულ ფაქტორებს. სსშ-ის კვლევისას ამ მონაცემების გამოყენება, მით უმეტეს მათ საფუძველზე გაკეთებული საექსპერტო დასკვნა, რომელსაც გააჩნია სამართლებრივი შედეგი, არ შეიძლება იყოს სარწმუნო. მაგ., ექსპერტების მიერ გამოყენებული ცხრილი, იძლევა დამყარებული შენელების $j \leq 6,8$ მ/წმ² სიდიდეს, მაშინ, როცა $j = \varphi g = 0,8 \times 9,81 = 7,85$ მ/წმ². დამყარებული შენელების მაქსიმალური სიდიდე დამოკიდებულია არა მხოლოდ თვლების გზასთან

ჩაჭიდების კოეფიციენტზე და დატვირთვაზე, არამედ სატრანსპორტო საშუალებების სახეობაზე, მის ტექნიკურ მახასიათებლებზე, ტექნიკურ მდგომარეობაზე, მისი სამუხ-რუჟო სისტემის მდგომარეობაზე და ეფექტიანობაზე, აგრეთვე მძღოლის მართვად ზემოქმედებაზე. ცხრილში მოცემული თვლების გზასთან ჩაჭიდების კოეფიციენტისაგან დამოკიდებულება, თავის მხრივ დამოკიდებულია ზემოთ აღნიშნულ ფაქტორებზე, მათ შორის ავტომობილის მოძრაობის სიჩქარეზე.

მსუბუქი ავტომობილის დამუხრუჭების ეფექტიანობის გამოცდები განსაზღვრულია 40 კმ/სთ სიჩქარეზე. საექსპერტო პრაქტიკაში არ არსებობს რაიმე მონაცემები, რომლებიც დააკორექტირებენ მაღალ ზღვრულ სიჩქარეზე ავტომობილის დამუხრუჭების ეფექტიანობის გაანგარიშების მეთოდისკა. რადგან ჰაერის წინააღმდეგობა იზრდება სიჩქარის კვადრატის პროპორციულად, ცხადია, რომ ეს იწვევს დამუხრუჭების დამყარებულ ფაზაში შენელების სიდიდის არასწორხაზობრივ ცვლილებას.

გაზრდილი აეროდინამიკური თვისებებით სხვადასხვა ტიპის თანამედროვე მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებების სატესტო გამოცდებით მაქსიმალური დამყარებული შენელება 100 კმ/სთ სიჩქარეზე, დისკური მუხრუჭებით და სრულყოფილი საბურავების კონსტრუქციული პარამეტრებით მშრალ ასფალტთან გზაზე, შეადგენს $j > 7,8 - 8,0$ მ/წმ².

თანამედროვე ავტომობილებს გააჩნიათ უნარი განავითარონ მაქსიმალური სიჩქარე 180-240 კმ/სთ. ამავე დროს მაქსიმალურად დასაშვები სიჩქარე შეიძლება შეადგენდეს 130-140 კმ/სთ, შესაბამისად, საკვლევი სსშ შეიძლება განხორციელდეს 130-140 კმ/სთ სიჩქარის დიაპაზონში. ამ შემთხვევაში ავტომობილის დამუხრუჭების ეფექტიანობა შესაბამისად გაიზრდება 7,8 მ/წმ²-დან 8-9 მ/წმ²-დე ანუ 2,5-17,9 %-ით. ეს ფაქტი არ გაითვალისწინება სსშ-ის საექსპერტო კვლევის რეკომენდებულ მეთოდისკაში.

დამუხრუჭების პროცესში მოძრაობის სიჩქარის ცვლილება ხდება არა მარტო შენელების გაზრდის დროში, არამედ მუხრუჭების ამძრავის აძვრის დროში და მძღოლის რეაქციის დროში ავტომობილის მოძრაობისას (როცა მძღოლი იღებს გადაწყვეტილებას დამუხრუჭებაზე, საწვავის მიწოდების პედილიდან გადააქვს

ფეხი სამუხრუჭო პედალზე). ამ დროში ავტომობილი მოძრაობს ინერციის ძალების ზემოქმედებით, გადალახავს ავტომობილის მოძრაობის წინააღმდეგობას მოძრაობის პირობებისა და თვლებიდან ტრანსმისიის გავლით ძრავას მუხლანა ლილვის იძულებითი ბრუნვის წინააღმდეგობისაგან დამოკიდებულებით (როცა არ არის გამორთული გადაცემა გადაცემათა კოლოფში), რადგან საწვავის მიწოდების შეწყვეტის შემდეგ მუხლანა ლილვის ბრუნვათა სიხშირე მკვეთრად მცირდება, ხოლო თვლები, დროის გარკვეულ მონაკვეთში, აგრძელებენ ბრუნვას პრაქტიკულად იმავე კუთხური სიჩქარით. აღნიშნული პროცესი არ გაითვალისწინება გაჩერების მანძილის განსაზღვრისას.

დამუხრუჭებამდე ავტომობილის მოძრაობის სიჩქარის შესახებ საკმარისად ობიექტურ მაჩვენებელს წარმოადგენს გზის ზედაპირზე თვლების საბურავების მიერ დატოვებული დამუხრუჭების კვალი. საექსპერტო პრაქტიკაში დამუხრუჭებამდე ავტომობილის მოძრაობის სიჩქარე განისაზღვრება ფორმულით:

$$V_a = 1,8t_3j + \sqrt{26S_dj} \quad \text{კმ/სთ,}$$

სადაც t_3 დამყარებული შენელების ნორმატიული დრო, წმ; j – მაქსიმალური შენელება მკვეთრი დამუხრუჭებისას, მ/წმ²; S_d – ავტომობილის დამუხრუჭების დაწყებიდან გაჩერებამდე დამუხრუჭების კვალის სიგრძე, მ.

ამ ფორმულაში გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ სამუხრუჭო პედალზე ძალის მიყენებისას ხორციელდება შენელების თანდათანობითი გაზრდა, ამიტომ ფორმულაში გათვალისწინებულია სიჩქარის ცვლილება შენელების გაზრდის დროში, როგორც საშუალო სიდიდე საწყის შენელებასა („0“) და საბოლოო (j_d) (დამყარებული) შენელებას შორის.

სამუხრუჭო სისტემაში თვლების ანტობლოკირების სიტემის („ABS“) არსებობა არ აძლევს თვლებს ბლოკირების საშუალებას მკვეთრი (ინტენსიური) დამუხრუჭებისას. ამიტომ გზის ზედაპირზე არ რჩება ხილული დამუხრუჭების კვალი. ეს გარემოება ასახულია სტანდარტში „ГОСТ Р 51709-2001“ („ავტომობილი, რომელსაც გააჩნია მუხრუჭების ანტობლოკირების სისტემა („ABS“), აღჭურვილ მდგომარეობაში დამუხრუჭებისას, საწყისი სიჩქარით არა ნაკლებ 40 კმ/სთ, უნდა მოძრაობდეს დერეფნის ზღვრებში და გზის ზედაპირზე არ უნდა ტოვებდეს იუზის კვალს „ABS“-ის გათიშვამდე, იმ სიჩქარის

მიღწევას, რომელიც შეესაბამება “ABS”-ის გათიშვის ზღვარს (არა უმეტეს 15 კმ/სთ)“. ამ მიზეზის გამო დამუხრუჭებამდე ავტომობილის სიჩქარის განსაზღვრის ფორმულა, რომელიც ითვალისწინებს სიჩქარის ცვლილებას შენელების გაზრდის დროში, არ იძლევა საშუალებას განისაზღვროს “ABS”-ით ავტომობილის სიჩქარე.

სსშ-ის კვლევისას ავტოტექნიკური ექსპერტიზის ობიექტურ დასკვნაზე არსებით გავლენას ახდენს დამუხრუჭების ისეთი პარამეტრების განსაზღვრა, როგორცაა მოძრაობისათვის საფრთხის წარმოქმნის მომენტში ავტომობილის სიჩქარე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის №39-ე წესების მიხედვით მსუბუქი ავტომობილის სპიდომეტრის საშუალო ცდომილება შეიძლება იყოს მხოლოდ დადებითი და ფაქტობრივ სიჩქარეს უნდა აჭარბებდეს სპიდომეტრის სკალაზე ნაჩვენები სიჩქარე [4]:

$$0 \leq V_a - V_{af} \leq \frac{V_{af}}{10} + 6 = 0,1 V_{af} + 6$$

სადაც V_a –ავტომობილის საშტატო სპიდომეტრის სკალაზე ნაჩვენების სიჩქარე, კმ/სთ; V_{af} –ფაქტობრივი სიჩქარე, კმ/სთ.

როცა მძღოლის ჩვენების მიხედვით ხდება სიჩქარის განსაზღვრა, მაშინ მისი ჩვენებით მოძრაობის სიჩქარე V_a მეტია ავტომობილის ფაქტობრივ სიჩქარეზე V_{af} . ანალოგიურ უზუსტობას აქვს ადგილი ავტომობილის მოძრაობის სიჩქარის განსაზღვრისას “იუზის” კვალის სიგრძით მოძრაობის სიჩქარის განსაზღვრისას. ავტომობილის მოძრაობის სიჩქარე საშტატო სპიდომეტრზე იქნება ფაქტობრივ სიჩქარეზე მეტი ($V_a > V_{af}$). ამრიგად, გაჩერების მანძილი უნდა განისაზღვროს ავტომობილის ფაქტობრივი სიჩქარის გათვალისწინებით ფორმულით $V_{af} \leq (V_a - n)/1$, სადაც n არის ავტომობილის კატეგორიის შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობა.

ამდენად, საფრთხის წარმოქმნის მომენტში ავტომობილის მკვეთრი დამუხრუჭების დაწყების წინ ავტომობილის მოძრაობის ფაქტობრივი სიჩქარის დასადგენად საჭიროა საშტატო სპიდომეტრის ჩვენების შედარება ეტალონური სპიდომეტრის ჩვენებასთან და განისაზღვროს კორექტირებული ფაქტობრივი სიჩქარე.

ავტომობილების სატესტო გამოცდების გვიჩვენებს, რომ საექსპერტო გაანგარიშებისათვის რეკომენდებული სტატისტიკური მონაცემებით განსაზღვრული ავტომობილის დამუხრუჭების ეფექტურობა 5-15%-ით ნაკლებია თანამედროვე სამუხრუჭო სისტემებით აღჭურვილი ავტომობილებთან შედარებით.

ამრიგად, ავტოტექნიკური ექსპერტიზის სიზუსტის გაზრდის მიზნით საჭიროა ავტომობილების სამუხრუჭო ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდური რეკომენდაციების სრულყოფა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Туренко А.Н. - Автотехническая экспертиза, учебное пособие/А.Н. Туренко, В.И. Клименко, А.В. Сараев. Харьков, ХНАДУ, 2007. 156 с.;
2. Суворов Ю.Б. - Судебная дорожно-транспортная экспертиза. Судебно-экспертная оценка действий водителей и других лиц, ответственных за обеспечение безопасности дорожного движения, на участках ДТП, учебное пособие для ву-зов/Ю.Б. Суворов. М. «Экзамен», «Право и закон», 2004. 208 с.;
3. Иларионов В.А. - Экспертиза дорожно-транспортных происшествий, учебник для ВУЗов/ В.А. Иларионов. М. Транс- порт, 1989. 255 с.;
4. ГОСТ Р51709-2001, Государственный стандарт РФ, Автотранспортные средства, Требования безопасности к техническому состоянию и методы проверки.

ANALYSIS OF METHODS FOR THE BRAKING PROCESS OF A MOTOR VEHICLE

Valerian Kharitonashvili, David Ashotia

Abstract

The analysis of the recommended norms of the statistical data of the initial parameters used by the experts in the study of the vehicle braking process after the traffic accident and in determining the braking distance shows that it is necessary to perfect the existing recommended methods, taking into account the increased efficiency of modern car braking systems.

АНАЛИЗ МЕТОДОВ ПРОЦЕССА ТОРМОЖЕНИЯ АВТОТРАНСПОРТНОГО СРЕДСТВА

Валерьян Харитонашвили, Давид Ашотия

Резюме

При исследовании процесса торможения и определения остановочного пути после дорожно-транспортного происшествия использованные рекомендованные нормативы статистических предварительных данных показывают необходимость усовершенствования рекомендованных методик с учетом повышенных эффективности тормозных систем современных автомобилей.

უაკ 656.212.7

**რკინიგზის საუბნო სადგურების მუშაობის
ინტენსიფიკაცია
გრიგოლ თელია*, ავთანდილ შარვაშიძე**, კახაბერ შარვაშიძე***,
ლევან სამხარაძე******

**ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;*

***პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;*

****აკადემიური დოქტორი, სს „საქართველოს რკინიგზა“;*

*****მაგისტრანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №71, 0175,
თბილისი, საქართველო)**

რეზიუმე: სტატიაში გამოკვლეულია საუბნო სადგურთა მუშაობის არსებული ტექნოლოგიები და შემოთავაზებულია ასეთი სადგურის სალიანდაგო განვითარების რაციონალური სქემა, რომელიც იძლევა საშუალებას დავაჩქაროთ ვაგონთა გადამუშავებისა და სხვადასხვა კატეგორიის სატვირთო მატარებელთა ფორმირების პროცესი, მოცემულია საუბნო სადგურის მახარისხებელი პარკის ლიანდაგთა სასარგებლო სიგრძეებისა და მახარისხებელ მოწყობილობათა გადამუშავების უნარის გაანგარიშების დაზუსტებული მეთოდიკა სხვადასხვა პირობებისათვის.

საკვანძო სიტყვები: მატარებელთა განფორმირება-ფორმირება, მახარისხებელი მოწყობილობები, დამატებითი ტექნოლოგიური ხაზი, მრავალჯგუფიანი მატარებლები.

შესავალი

რკინიგზის სადგურთა შორის მათი ფუნქციონალური დანიშნულებიდან გამომდინარე გამოირჩევიან საუბნო სადგურები. უნდა აღინიშნოს, რომ არსებული საუბნო სადგურები ხასიათდებიან რიგი ნაკლოვანებებით, როგორც კონსტრუქციულად, ასევე მუშაობის ტექნოლოგიებით. ამიტომ საჭიროა მათი სალიანდაგო განვითარების სქემების შემდგომი სრულყოფა, რისთვისაც უნდა გავითვალისწინოთ სარკინიგზო ტრანსპორტის ექსპლუატაციის ახალი პირობები, კერძოდ: ტვირთდამაბულ ხაზებზე შეერთებული და მძიმემასიანი მატარებლების

ტარება, მატარებელთა ჯგუფური ფორმირების განვითარება, ადგილობრივი ვაგონების დეტალური დახარისხება სატვირთო ფრონტების მიხედვით, მრავალჯგუფიან მატარებელთა ფორმირების დაჩქარება, საკონტინერო გადაზიდვების გაფართოება და სხვა.

აღნიშნული პირობების გათვალისწინებით აუცილებელია აღნიშნულ სადგურთა მუშაობის ტექნოლოგიების გაუმჯობესება და სქემების მოდერნიზაცია, კერძოდ თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით (ვაგონნაკადების გადამუშავების კონცენტრაცია) საუბნო სადგურთა სალიანდაგო განვითარების სქემები შეიძლება განვითარდნენ რაიონული ტიპის მახარისხებელ სადგურებად.

ძირითადი ნაწილი

რკინიგზების ექსპლუატაციის მუშაობის მართვის ოპტიმიზაცია მიიღწევა მთელი რიგი კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებით, მათ შორის: სამანევრო მუშაობის კონცენტრაცია; ლოკომოტივებით მატარებელთა მომსახურების მხრების გაზრდა; საკონტინერო გადაზიდვების სფეროში ლოგისტიკური სისტემების განვითარება და სხვ. ამ ღონისძიებებიდან განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იმსახურებს სატვირთო მატარებლების ფორმირების სადგურთა რიცხვის შემცირება და მანევრების კონცენტრაცია [1].


საუბნო სადგურების გამტარუნარიანობა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათთან მიერთებული რკინიგზის ხაზების არსებული გამტარუნარიანობის რეალიზაციისათვის, დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის: სადგურის სალიანდაგო განვითარება და სქემების პროგრესულობა; სატვირთო და სამგზავრო მოძრაობის გამიჯვნა რკინიგზის ხაზების სხვადასხვა დონეზე გადაკვეთის (კვანძის გახსნის) ოპტიმალური ვარიანტების გამოყენებით; სადგურის ძირითადი ობიექტების ელემენტების რაციონალური განლაგება; ინტერნსიური ტექნოლოგიებისა და დამხმარე მახარისხებელ მოწყობილობათა გამოყენება და სხვ.

სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს ისეთი საკითხები, როგორცაა: ვაგონნაკადების ორგანიზაციაში მარშრუტიზაციის დონის გაზრდა და საუბნო

სადგურებში ვაგონნაკადების გადამუშავების რაოდენობის შემცირება; საუბნო სადგურების მოდერნიზაცია, მათი სქემების სრულყოფა და სათანადო მახარისხებელი მოწყობილობებით აღჭურვა; სატრანზიტო მატარებელთა გატარება სადგურის შემოვლით მთავარი ლიანდაგების მეშვეობით; კუთხური სატრანზიტო მატარებლების გატარება სადგურში შეუსვლელად; ვაგონნაკადების გადამუშავების კონცენტრაცია და სხვ.

აღნიშნულ მოთხოვნათა გათვალისწინებით ჩვენს მიერ დამუშავებულია საუბნო სადგურის ბაზაზე განვითარებული რაიონული მახარისხებელი სადგურის სქემა, რომელიც გამოსახულია ნახ. 1-ზე.

როგორც სქემიდან ჩანს, მახარისხებელი პარკი შეიცავს სხვადასხვა სიგრძის ლიანდაგთა სექციებს, მათ შორის მაჯგუფებელ და ვაგონთა შეცვლის ლიანდაგებს. მაჯგუფებელი პარკი (ჯგ.პ) გამოიყენება მრავალჯგუფიან მატარებელთა და ადგილობრივი ვაგონების ფორმირების დასაჩქარებლად, რაც უზრუნველყოფს სადგურის ტერიტორიაზე გადამუშავებულ ვაგონთა მოცდენის შემცირებას. აღნიშნულ სქემაზე გათვალისწინებულია ორი გორაკის მოქმედება, რომელთაგან ძირითადი გორაკი (ძგ) განლაგდება მახარისხებელი პარკის წინ, ხოლო დამხმარე გორაკი (დგ) მაჯგუფებელი პარკის (ჯგ.პ) წინ. სადგურზე განსაზღვრულია მნიშვნელოვანი მოცულობის ადგილობრივი მუშაობის განხორციელება. ამიტომაც გათვალისწინებულია გამჭოლი ტიპის სატვირთო რაიონის (სრ) მოწყობა და მისასვლელი ლიანდაგების სადგურთან მიერთების ვარიანტები. მისაღებ (მ) და მიმღებ-გამგზავნ (მგ) პარკებში გათვალისწინებულია ორმაგი სასარგებლო სიგრძის ლიანდაგები შეერთებული მატარებლების მომსახურებისათვის. სქემაზე გადაჭრილია აგრეთვე კუთხური სატრანზიტო მატარებლების გადაცემის საკითხი ხაზიდან ხაზზე მახარისხებელ სადგურში შეუსვლელად, რაც უზრუნველყოფს არა მარტო სადგურის გამოთავისუფლებას დამატებითი ოპერაციებისაგან, არამედ სატრანზიტო მატარებელთა დანიშნულების სადგურებში მისვლის დაჩქარებას. ეს კი დაკავშირებულია რკინიგზის მუშაობის საექსპლუატაციო მაჩვენებლების გაუმჯობესებასთან.



ნახ. 1. რეგიონული კატეგორიის დამზარისებელი სადგურის განვითარების (მოდერნიზაციის) სქემა საუბნო სადგურის ბაზაზე

სქემის მიხედვით საკუთარი ფორმირების მატარებლების გაგზავნა გათვალისწინებულია უშუალოდ მახარისხებელი პარკიდან. ამისათვის კი აუცილებელია შესაბამისი ლიანდაგების სასარგებლო სიგრძეების გარკვეული რეზერვი, რათა არ შეწყდეს გორაკის მუშაობა მოლოდინების გამო.

მახარისხებელი ლიანდაგების აუცილებელი სასარგებლო სიგრძე, რომელიც საჭიროა ერთჯგუფიანი მატარებლების ვაგონთა დაგროვებისათვის, როცა ეს მატარებლები იგზავნებიან გამგზავნი პარკიდან შეიძლება ვიანგარიშოთ ჩვენს მიერ დაზუსტებული შემდეგი ფორმულით:

$$L_{(ჯგ)გ} = l_{სტ.ს.} + l_{დამატ.} = l_{სტ.ს.} + \alpha_{რეზ.} \cdot l_{სტ.ს.} \quad (1)$$

ხოლო მატარებელთა უშუალოდ დამხარისხებელი ლიანდაგებიდან გაგზავნისას კი

$$L_{(ჯგ)დ} = L_{(ჯგ)გ} + l'_{დამატ.} = l_{სტ.ს.} + \alpha_{რეზ.} \cdot l_{სტ.ს.} + l'_{დამატ.}, \quad (2)$$

აქ $l_{სტ.ს.}$ – მიმდებ-გამგზავნი ლიანდაგთა სასარგებლო სიგრძე, მ;

$l_{დამატ.}$ – დამატებითი სიგრძე, რომელიც საჭიროა მომდევნო შემადგენლობის ვაგონთა დასაგროვებლად წინა შემადგენლობის ფორმირებისას;

$l'_{დამატ.}$ – იგივე ფორმირებული ერთჯგუფიანი მატარებლის დგომის პერიოდში ტექნოლოგიური ოპერაციების ჩატარებისას გაგზავნის მოლოდინში, მ.

$\alpha_{რეზ.}$ – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს დამხარისხებელი ლიანდაგის რეზერვს ($\alpha_{რეზ.} = 0.1 - 0.15$).

მახარისხებელი გორაკის გადამუშავების უნარი შეიძლება განისაზღვროს ცნობილი ფორმულით [2]:

$$N_{მც.}^{გორ.} = \frac{[\alpha \cdot 1440 - (\sum t_{მუდმ.} + \sum t_{დამ/})] \cdot m_{მც.}}{T_{გ.ო.}}, \quad (3)$$


სადაც $m_{მც.}$ – არის მატარებლის შემადგენლობა, ანუ ვაგონთა რაოდენობა;

$T_{გ.ო.}$ – გორაკის ტექნოლოგიური ინტერვალი ანუ ერთი მატარებლის განფორმირებაზე დახარჯული დრო, წთ;

α – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს დროის კარგვებს გორაკის მუშაობაში მტრული მარშრუტების გადაკვეთების გამო ($\alpha = 0.95$);

$\Sigma t_{\text{მოდ.}}$ – კარგები გორაკის მუშაობაში (ლოკომოტივის ეკიპირება, ბრიგადების შეცვლა და ა.შ.);

$\Sigma t_{\text{დამატ.}}$ – გორაკის გამოყენება არა მატარებელთა განფორმირებისათვის, არამედ სხვა დამატებითი სამუშაოების შესასრულებლად (ფორმირების დამთავრება, ხელმეორედ დახარისხება და მსგავსი ოპერაციები).



ნახ. 2. გორაკის გადამუშავების უნარის დამოკიდებულება შემადგენლობაში ვაგონთა რიცხვთან გორაკის ტექნოლოგიური ინტერვალის მუდმივი მნიშვნელობის პირობებში

ჩვენს მიერ კონკრეტული მონაცემების საფუძველზე ჩატარდა გაანგარიშებანი შემდეგი საწყისი მონაცემების საფუძველზე: $m_{\text{გ.ე.}} = 56$ ვაგ.; $\sum t_{\text{მუდმ.}} = 120$ წთ; $\sum t_{\text{ლაბაგ.}} = 350$ წთ. $T'_{\text{გ.ო.}} = 25$ წთ; $T''_{\text{გ.ო.}} = 15$ წთ და აგებულ იქნა დიაგრამები

($N_{\text{გორ.}} = f(m_{\text{გ.ე.}})$), გორაკის ტექნოლოგიური ინტერვალის მუდმივი მნიშვნელობის დროს (ნახ. 2).

დასკვნა

არსებული საუბნო სადგურების სქემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისინი ხასიათდებიან სერიოზული ნაკლოვანებებით, რაც ზღუდავს რკინიგზის ხაზების გამტარუნარიანობას. ამ თვალსაზრისით სტატიაში ჩამოყალიბებულია ასეთ სადგურთა პერსპექტიული განვითარების ძირითადი მიმართულებები და შემუშავებულია საუბნო სადგურის სქემის ბაზაზე რაიონული მახარისხებელი სადგურის პროგრესული სქემა, რომელიც უზრუნველყოფს ვაგონნაკადების გადამუშავების ნაკადურობას. როგორც გაანგარიშებებმა გვიჩვენეს შემოთავაზებული საუბნო სადგურის სქემა 5-10 %-ით ზრდის სადგურის გამტარუნარიანობას.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გ. თელია, ზ. მესხიძე, ბ. დიდებაშვილი, კ. შარვაშიძე - რკინიგზის გამყოფი პუნქტები; „ტექნიკური უნივერსიტეტი“; თბილისი; 2016 წ.; 249 გვ.;
2. Проектирование инфраструктуры железнодорожного транспорта (станции, железнодорожные узлы). Под редакцией Н.В. Правдина и С.П. Вакуленко. М.: ФГБОУ «Учебно-методический центр по образованию на железнодорожном транспорте», 2012. – 1086 с.

INTENSIFICATION OF LOCAL RAILWAY STATIONS OPERATION

**Grigol Telia, Avtandil Sharvashidze, Kakhaber Sharvashidze,
Levan Samkharadze**

Abstract

In the article are researched the existing technologies for the operation of district stations and proposed a rational scheme for the development of such a station that gives the possibility to accelerate the process of carriages processing and make-up of different types of freight trains.

ИНТЕНСИФИКАЦИЯ РАБОТЫ ЖЕЛЕЗНОДОРОЖНЫХ УЧАСТКОВЫХ СТАНЦИЙ

**Григорий Телия, Автандил Шарвашидзе, Кахабер Шарвашидзе,
Леван Самхарадзе**

Резюме

В статье исследованы существующие технологии работы участковых железнодорожных станций и предложена рациональная схема путевого развития указанных станций, которая дает возможность ускорить переработки вагонов и процесс формирования грузовых поездов разных категорий. Дана уточненная методика расчета полезных длин сортировочных путей и перерабатывающей способности сортировочных устройств участковой станции для разных условий.

უაკ 656.259.12-621.396.2

ბოჭკოვან-ოპტიკური საინფორმაციო-გამზომი სისტემების დამუშავება რკინიგზის ტრანსპორტის ობიექტებისათვის

მერაბ გოცაძე*, ნიკოლოზ მღებრიშვილი**, თენგიზ ტაბიძე***

**პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;*

***ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;*

***** დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №71, 0175,
თბილისი, საქართველო)

*კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნულის სამეცნიერო ფონდის
მხარდაჭერით (გრანტის №FR-18-4002)*

რეზიუმე: სტატიაში განხილულია ბოჭკოვან-ოპტიკური საინფორმაციო გამზომი სისტემების შექმნისა და დანერგვისთვის აუცილებელი საელემენტო ბაზის დამუშავებისა და ბრეგის ბოჭკოვან ცხაურებზე დაფუძნებული სარკინიგზო ობიექტების ტემპერატურისა და დეფორმაციის გადამწოდების საიმედოობის საკითხები მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: ტემპერატურისა და დეფორმაციის გადამწოდი, ბოჭკოვან-ოპტიკური კაბელი, ბრეგის ცხაური, მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობა.

სარკინიგზო ობიექტებზე ბოჭკოვან-ოპტიკური საინფორმაციო - გამზომი სისტემების (ბოსგს) შექმნისა და დანერგვისათვის აუცილებელია განისაზღვროს საელემენტო ბაზის დამუშავება, უპირველესად მინიმალური ნომეკლატურული შემადგენლობის (წნევა, ტემპერატურა, დეფორმაცია, გადაადგილება, სიჩქარე, აჩქარება, სითხის დონე, ბრუნვის სიხშირე, ძალა) სხვადასხვა ფიზიკური პარამეტრების ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდების (ბოგ) დამუშავება.

ბოჭკოვან-ოპტიკურ საინფორმაციო გამზომ სისტემებში ფიზიკურ გარემოდ გამოიყენება ბოჭკოვან ოპტიკური კაბელი (ბოკ), რაც განაპირობებს:

- გაზომვის შედეგებზე ელექტრომაგნიტური ველების გავლენის არ არსებობას;
- გვერდითი ელექტრომაგნიტური გამოსხივების არ არსებობას;
- არხების ჯვარედინი ხელშეშლების არ არსებობას;
- სხვადასხვაგვარი გამტარების შეერთების ადგილებში ძაბვათა ძვრისა და დამიწების კონტურებთან დაკავშირებული პრობლემების არ არსებობას;
- საგრძნობლად მცირე ელექტრულ საფრთხეს, რკალწარმოქმნის და ნაპერწკლიანობის არ არსებობას;
- გარემოს მავნე ზემოქმედებისადმი მაღალ მედეგობას;
- მრავალმარღვიან კაბელს რომელიც უფრო თხელია, ორჯერ უფრო მსუბუქია და უფრო მტკიცეა, ვიდრე ელექტრული კაბელი;
- სიგნალების მულტიპლექსირების სიმარტივეს;
- მონაცემების გადაცემის მაღალ სიჩქარეს.

ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდი (ბოგ) წარმოადგენს ფიზიკური სიდიდეების გადამწოდს, რომლის კონსტრუქციაში მგრძნობიარე ელემენტად და გარემოს ოპტიკური გამოსხივების გადამცემად გამოიყენება ბოჭკვანი შუქსატარი. ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდის მგრძნობიარე ელემენტი განსაზღვრულ ფიზიკურ ზემოქმედებას გარდაქმნის გავლილი, არეკლილი ან გაბნეული გამოსხივების თვისებათა ცვლილებაში. მოქმედების პრინციპის მიხედვით ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდები შეიძლება დავეყოთ რამდენიმე ჯგუფად იმის მიხედვით, თუ ოპტიკური ტალღის რომელი პარამეტრი (ინტენსიურობა, ფაზა, პოლარიზაციის მდგომარეობა, გამოსხივების სპექტრალური ან მოდური შემადგენლობა) იზომება ფიზიკურ ზემოქმედებაზე ინფორმაციის მიღებისათვის.

თანამედროვე ბოჭკოვან - ოპტიკური გადამწოდებით შესაძლებელია გავზომოთ დეფორმაცია, წნევა, ტემპერატურა, მანძილი, სივრცული მდგომარეობა, ხაზოვანი გადაადგილების და ბგერითი ტალღების პარამეტრები, სითხის დონე, გარდატეხის მაჩვენებელი, ელექტრული და მაგნიტური ველი, რადიაქტიული გამოსხივების დოზა და სხვა ფიზიკური სიდიდეები.

ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდების გამოყენება დაფუძნებულია ისეთ მოვლენებზე, როგორებიცაა ელექტრო-ოპტიკური, მაგნიტო-ოპტიკური, დრეკადო-ოპტიკური, თერმო-ოპტიკური ეფექტები, ლუმინასცენცია, კომბინაციური გაბნევა, რელეისა და მანდელშტასმ-ბრილიუენის გაბნევა, მოდებს შორისი ურთიერთქმედებები და სხვა.

ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდების უპირატესობებია:

- მაგნიტური ველების დაცულობა;
- მაღალი მგრძობელობა;
- საიმედოობა;
- რეპროდუქცია და გაზომვების ფართო დინამიკური დიაპაზონი;
- მცირე გაზარბტები და წონა;
- მაღალი კოროზიული და რადიაციული მედეგობა;
- ელექტროზოლაციის სიმტკიცე;
- სახანძრო უსაფრთხოება;
- ერთ ან რამდენიმე შუქსატარში განლაგებული მგრძობიარე ელემენტების სპექტრალური და სივრცითი მულტიპლექსირების შესაძლებლობა;
- გაზომვების ჩატარების ადგილამდე საკმაოდ დიდი მანძილი;
- გაზომვის მცირე დრო.

ტემპერატურის და მექანიკური დეფორმაციის ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდის ერთ ერთ ახალ და პერსპექტიულ ვარიანტს წარმოადგენს გადამწოდი, სადაც მგრძობიარე ელემენტად გამოყენებულია გარდატეხის მაჩვენებლიანი ბოჭკოვანი ცხაური.

გარდატეხის მაჩვენებლიან ბოჭკოვან ცხაურებზე დაფუძნებული ობიექტების ტემპერატურისა და დეფორმაციის გამზომი ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდების გამოყენების სფერო მეტად მრავალფეროვანია. ისინი გამოიყენება;

- მშენებლობისა და კომუნიკაციების ყველა სახეობაში;
- ავტომობილთმშენებლობაში;
- ავიაციაში;

- გემთმშენებლობაში;
- სამოქალაქო ნაგებობებისა და სამრეწველო ობიექტების ექსპლუატაციის, აგრეთვე მათი სიმრთელისა და უსაფრთხოების კონტროლისათვის.


ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალი გვიჩვენებს, რომ დღეისათვის არ განიხილება ობიექტების ტემპერატურისა და დეფორმაციის ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდების რკინიგზის ტრანსპორტზე გამოყენების შესაძლებლობა, რაც სარკინიგზო ობიექტების სპეციფიურობიდან გამომდინარე ფრიად პერსპექტიულ მიმართულება წარმოადგენს.

ცნობილია, რომ მატარებელთა მოძრაობის ორგანიზაციასა და უსაფრთხოებას უზრუნველყოფს სარკინიგზო ავტომატიკისა და ტელემექანიკის სისტემები, რომელთა ძირითად ელემენტს წარმოადგენს ლიანდაგის სითავისუფლისა და სიმრთელის, დაკავების და დაზიანების მაკონტროლებელი დისკრეტული გადამწოდი (სარელსო წრედი). ასეთი გადამწოდები ხასიათდება მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების თვალსაზრისით მაღალი საიმედოობით, მაგრამ გააჩნია სარკინიგზო ობიექტების დაზიანებათა ერთ-ერთი ყველაზე მაღალი პროცენტი, რაც იწვევს მოძრაობის გრაფიკის დარღვევას და შესაბამისად რკინიგზების გამტარუნარიანობის შემცირებას. ჩვენს მიერ შემოთავაზებულია ახალი ტიპის სარელსო წრედები, სადაც გამოყენებული იქნება გარდატეხის მაჩვენებლიანი ბოჭკოვანი ცხაურის მქონე ტემპერატურისა და მექანიკური დეფორმაციების გამზომი ბოჭკოვან-ოპტიკური საინფორმაციო-გამზომი. სისტემა უზრუნველყოფს ლიანდაგს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის უფრო ეფექტურად გადაცემას, ვიდრე ეს ხდებოდა ტრადიციულ სისტემაში.

ლიანდაგისა და წყვილთვალის ტემპერატურისა და დეფორმაციის გამზომ ერთ-ერთ სისტემად შეიძლება განვიხილოდ კვაზიგანაწილებული სისტემა, რომელიც აგებულია ცალკეული არხების სპექტრალურ მულტიპლექსირებაზე. თითოეული არხი წარმოადგენს 5 მმ სიგრძის ერთგვაროვანი ბრეგის ცხაურის არეკვლის სპექტრს. ცხაურისაგან არეკვლის მაქსიმუმ დამოკიდებულია შუქსატარის ტემპერატურასა და დეფორმაციაზე. ცხაურების ტალღის რეზონანსული სიგრძეების წანაცვლების მიხედვით განისაზღვრება ლიანდაგის და


წყვილთვალეების ტემპერატურა და დეფორმაცია, სადაც გამოყენებულია სპეციალურად ამ მიზნისთვის დამუშავებული პროგრამული უზრუნველყოფა.

კვაზიგანაწილებული სისტემა აგებულია 12 ცხაურზე, რაც საშუალებას გვაძლევს ტემპერატურა და დეფორმაცია გავზომოთ ობიექტის ექვს სივრცულად რეზონანსულ წერტილებში. ცხაურების სისტემის არეკვლის სპექტრი მოცემულია ნახაზზე 1.



ნახ.1. ბრევის ბოჭკოვანი ცხაურების არეკვლის სპრექტრი ტემპერატურისა და დეფორმაციის გამზომ სისტემებში

გადამწოდების სისტემის სქემა მოცემულია ნახაზზე 2. შუქის ნახევრადავტომატური წყაროდან 3 ფართოზილიანი სიგნალი ბოჭკოვან-ოპტიკური მამტოებლის 2 გავლით მიეწოდება ბოჭკოვან-გამზომ ხაზს 1.




ნახ. 2. გადამწოდების ტემპერატურისა და დეფორმაციის გამზომი სისტემის სქემა.

ცხაურებისაგან არეკლილი სიგნალი ამავე მაშტოებლიდან მოხვდება სპექტრის ოპტიკურ ანალიზატორში 4. პერსონალური კომპიუტერი 4 დროის მოთხოვნილ შუალედებში დათვლის სპექტრს და დაამუშავებს მას სპეციალური პროგრამის საშუალებით სისტემის ტექნიკური მახასიათებლების ანალიზისათვის გადამწოდების სერია დამაგრებულია ლითონის კოჭზე 6, რომელიც მოთავსებულია მის ბოლოებზე განლაგებულ საყრდენებზე 7. კოჭის ზომები 1200x110x20 მმ.

ნახაზზე 3. მოცემულია ტემპერატურისა და დეფორმაციის გადამწოდის ტესტირების შედეგები. ექსპერიმენტის დროს კოჭი თანმიმდევრობით იტვირთებოდა კარკვეული წონის ტვირთებით, ხოლო სისტემის საწყის მდგომარეობაში მოსაყვანად ხდებოდა ამ ტვირთების ასეთივე თანმიმდევრობით აღება. ექვსი მრუდისგან შემდგარი სერია 1. შეესაბამება იმ ბრეგის ცხაურების გადამწოდებს რომლებიც ზომავს მხოლოდ ტემპერატურის ცვალებადობას.

მაქსიმალური დეფორმაციის მრუდები პირველი სერიიდან შეესაბამება გადამწოდებს, რომლებიც ყველაზე ახლოს იმყოფებოდნენ დატვირთვის მოდების წერტილთან.




ნახ. 3. ტემპერატურისა და დეფორმაციის კვაზიგანაწილებული ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდის ტესტირების შედეგები.

ექსპერიმენტის დროს სისტემა იმყოფებოდა თითქმის მუდმივი ტემპერატურის პირობებში, ამიტომ ცხურების ტემპერატურული სერიის მრუდები 2 გვიჩვენებს სისტემის ხმაურის მახასიათებლებს და სტაბილურობას. როდესაც იცვლება გარემოს ტემპერატურა შესაძლებელია ტემპერატურული დრეიფის გათვალისწინება, რაც სშუალებას გვაძლევს გავზომოთ დეფორმაცია ტემპერატურისაგან დამოუკიდებლად.

ნახაზზე 4. ნაჩვენებია ხმაურის მახასიათებლები და სისტემის ხანგრძლივი სტაბილურობა ტემპერატურის გაზომვის დროს.

როგორც ნახაზიდან ჩანს გადამწოდის ხმაურის ამპლიტუდა შეადგენს 0.05 °C. ოცდაათ წუთიანი გახურების შემდეგ სისტემის ხანგრძლივი სტაბილურობა 1 საათი განმავლობაში 0,1°C -ია.

აღსანიშნავია სისტემის მასშტაბურობა, როგორც ერთ გამზომ ხაზზე განლაგებული გადამწოდების რაოდენობის (50-100 გაზომვის წერტილი), ასევე ბოჭკოვან-ოპტიკური არხების რაოდენობის მიხედვით.



ნახ. 4. ხმაურის გაზომვა და სისტემის ხანგრძლივი სტაბილურობა ტემპერატურის გაზომვის დროს.

ზემოთ მოყვანილი ტესტირების შედეგები გვიჩვენებს, რომ ტემპერატურის და დეფორმაციის კვაზიგანაწილებული ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდი შესაძლებელია გამოვიყენოდ რკინიგზის ტრანსპორტის ობიექტებზეც. ამ შემთხვევაში რელსი როგორც გამოსაცდელი კოჭი, ხოლო დატვირთვას

წარმოადგენს წყვილთვალს. მოძრავი შემადგენლობის მიერ ლიანდაგის დაკავებისას დატვირთვა განაწილებულია ლიანდაგის მთელ სიგრძეზე, ხოლო ლიანდაგის განთავისუფლების შემდეგ სისტემა უბრუნდება საწყის მდგომარეობას.

ოპტიკური გადამრთველის გამოყენებით შესაძლებელია გაზომვათა ლოკალურობის ცვლილება, რომელიც ჩვეულებრივი ობიექტებისათვის შეიძლება იცვლებოდეს რამდენიმე მილიმეტრიდან რამდენიმე სანტიმეტრამდე, რაც მოუხერხებელია სარკინიგზო ობიექტებისათვის, მაგრამ სისტემის ქვემოთ მოყვანილი ტექნიკური მონაცემები და მახასიათებლები შესაძლებლობას იძლევა სისტემის გარკვეული მოდერნიზაციის შემდეგ (რაც შემდგომი კვლევის საგანს წარმოადგენს) იგი გამოვიყენოთ სარკინიგზო ობიექტებზეც.

ობიექტების ტემპერატურისა და დეფორმაციის გამზომი კვაზიგანაწილებული სისტემის ტექნიკური მონაცემები და მახასიათებლები:

- დეფორმაციის გაზომვის სიზუსტე, me 1;
- ტემპერატურის გაზომვის სიზუსტე, °C 0.1;
- დეფორმაციის გაზომვის დიაპაზონი, me -1000 - + 1000;
- ტემპერატურის გაზომვის დიაპაზონი, °C -100 - + 400;
- ერთ არხში გაზომვის წერტილების რაოდენობა, 50 – 100 -მდე;
- არხების რაოდენობა, 100 და მეტი;
- გააჩნია აბსოლიტური აფეთქება უსაფრთხოება;
- აქვს მაღალი მექანიკური სიმტკიცე, მცირე გაბარიტები, მარტივი კონსტრუქცია და მაღალი საიმედოობა;
- ქიმიურად ინერტულია;
- მზადდება დიელექტრიკული მასალისაგან, რაც გამორიცხავს მასში ელექტრული დენების გატარებას;
- გააჩნია მაღალი ტემპერატურების, მექანიკური დარტყმების, ვიბრაციისა და გარემოს სხვა ზემოქმედების მიმართ მაღალი მედეგობა;
- შესაძლებელია უკონტაქტო და დისტანციური გაზომვების ჩატარება.

სტატიაში მოყვანილი შედეგები მიღებულია საქართველოს შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის FR-18-4002 პროექტით გათვალისწინებული კვლევების ფარგლებში, სადაც გამოკვლეული იქნა ბოჭკოვან-ოპტიკური საინფორმაციო გამზომი სისტემის შექმნისა და დანერგვისათვის აუცილებელი საელემენტო ბაზის დამუშავებასა და ბრევის ბოჭკოვან ცხაურებზე დაფუძნებული სარკინიგზო ობიექტების ტემპერატურისა და დეფორმაციის გადამწოდების საიმედოობის საკითხები მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. მ. გოცაძე, ა. ღუნღუა, თ. ტაბიძე, ლ. ფხაკაძე - ბოჭკოვან-ოპტიკური კაბელის მახასიათებლების ვიზრაციის ძალებზე დამოკიდებული დეფორმაციის გადამწოდების გამოყენება სარკინიგზო ინფრასტრუქტურაში; სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“; თბილისი; №2 (45); 2019წ.; გვ. 9-18;
2. Гоцадзе М., Мгебришвили Н., Имнаишвили Л., Дундуа А., и др. - Рельсовые цепи нового типа для безопасного движения поездов; научно – технический журнал, “Транспорт” № 1-2; (45-46); Тбилиси; 2012 г. Стр. 7-9;
3. С.В Варжель - Волоконные Бреговские решетки; СПб. Университет ИТМО, 2015; стр. 65.;
4. Боисков А., Вашльев С., Медвудков О. И др. - „Приборы и техника эксперимента“; 2005 г. №4 стр. 76-86;
5. Hidayt A., Wang Q., Niya P., et all - Allpied otics 2001, № 16. p. 2632-2642.

DEVELOPMENT OF FIBER-OPTIC INFORMATION- MEASURING SYSTEMS FOR RAILWAY OBJECTS

Merab Gotsadze, Nikoloz Mgebrishvili, Tengiz Tabidze

Abstract

The article discusses the issues of processing the elemental base necessary for the creation and implementation of fiber-optic information measuring systems and the reliability of temperature and deformation transmission of railway facilities based on fiber optic Bragg gratings, taking into account the traffic safety requirements of trains.

РАЗРАБОТКА ВОЛОКОННО-ОПТИЧЕСКИХ ИНФОРМАЦИОННО-ИЗМЕРИТЕЛЬНЫХ СИСТЕМ ДЛЯ ОБЪЕКТОВ ЖЕЛЕЗНОДОРОЖНОГО ТРАНСПОРТА

Мераб Гоцадзе, Николоз Мгебришвили, Тенгиз Табидзе

Резюме

В статье рассмотрены вопросы разработки необходимой элементной базы для создания и внедрения волоконно – оптических информационно-измерительных систем и надежности датчиков температуры и деформации железнодорожных объектов с учетом требованиями безопасности движения поездов.

უაკ 656.259.12-621.396.2

ატმოსფერული და კომპუტაციური გადაძაბვებისაგან დამცავი მოწყობილობა

ამირან ნოღია*, იგორ მარეხიშვილი**

**ასისტენტ პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;*

***რადიოკავშირის და კონტროლის სისტემების განყოფილების უფროსი,*

სს „საქართველოს რკინიგზა“

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №71, 0175,

თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: სარკინიგზო ავტომატიკისა და დიაგნოსტიკის მოწყობილობათა ხარისხისა და საიმედოობისათვის მნიშვნელოვანია ყოველგვარი შემთხვევითი ხელშემშლელი ფაქტორების გათვალისწინება. სტატიაში განხილული და შემოთავაზებულია ატმოსფერული მოვლენებისა და კომპუტაციური გადაძაბვებისაგან დამცავი მოწყობილობა, რომელიც საიმედოდ მუშაობს ნებისმიერ კლიმატურ პირობებში. დაცვის ახალი სქემა ავტორთა მიერ უკვე დაინერგა საქართველოს რკინიგზაზე და მნიშვნელოვან როლს ასრულებს, როგორც მატარებელთა უსაფრთხოების, ისე გადაზიდვების ეფექტურობის ამაღლებაში.

საკვანძო სიტყვები: სადიაგნოსტიკო აპარატურა, გადაძაბვა, დამცავი სქემა.

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებიდან, რომელიც მიმართულია სარკინიგზო მოძრაობის უსაფრთხოების და ეკონომიკური ეფექტურობის გაზრდისკენ, კვლავ აქტუალური რჩება საკითხები, დაკავშირებული სადიაგნოსტიკო აპარატურებთან, ამ მოწყობილობათა გამოყენების ეფექტურობის გაზრდასთან, განსაკუთრებით, მათი მუშაობის საიმედოობასთან ექსპლუატაციის სხვადასხვა პირობების დროს.

სტატიაში წარმოდგენილია დიაგნოსტიკური მოწყობილობების ატმოსფერული მოვლენებისაგან დაცვის ახალი სქემა, რომელიც საიმედოდ მუშაობს ნებისმიერ კლიმატურ პირობებში.

ჭექა-ქუხილის მოვლენას, რომელიც იწვევს მეხის წარმოქმნას, აგრეთვე დენს, რომელიც წარმოიქმნება მოკლე ჩართვის რეჟიმის დროს ან კონტაქტური, ან მაღალმაზვიანი სადენის დამიწებისას, ასევე, ძალოვან წრედებში კომუტაციურ პროცესებს და ა.შ აქვთ ელექტრული ბუნება. ამის გათვალისწინებით, ჭექა-ქუხილისა და კომუტაციური გადაძაბვისაგან დამცველი საშუალებები გაერთიანებულია.

ჭექა-ქუხილი წარმოიშვება ღრუბლებში ელექტრული მუხტების გაყოფისას. მოდელის აგებისას, რომლებიც საკმარისია სარკინიგზო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის მეხდამცავი მოწყობილობების პროექტირებისას, გამოდიან იქიდან, რომ წყლის ორთქლის ჰაერში ასვლისას ხდება მუხტების გაყოფა და ამგვარად, ღრუბლებში წარმოიქმნება დადებითი და უარყოფითი მუხტებიანი არეები.

ამის გამო შესაძლებელი ხდება ელექტრული ველის წარმოქმნა ღრუბლებსა და დედამიწას შორის. თუ ამასთანავე წარმოქმნილი ველის ელექტრული დამაბულობა იქნება ისეთი ძლიერი, რომ იგი გადააჭარბებს ჰაერის სიმკვრივეს გასარღვევად, მაშინ ფართოვდება არხი განმუხტვისთვის დედამიწის მიმართულებით. განმუხტვისთვის მოცემული არხი იზრდება ეტაპობრივად დედამიწის ზედაპირის მიმართულებით, რამდენადაც ველის დამაბულობა, წარმოქმნილი არსებული მუხტის გამო, საკმარისია მხოლოდ განსაზღვრული უბნის იონიზაციისთვის. ელვის ინდუქტიურობის გამო მუხტისთვის აუცილებელია გარკვეული დრო, რომ მან მიაღწიოს ელვის თავს. ელვის თავის დედამიწისკენ მიახლოებათან ერთად ველის სიმკვრივე იზრდება დაუცველ ადგილებში, ეს განსაკუთრებით ეხება ანძებს, შენობების კიდეების შვერილებს, ნაგებობებს. ველის იონიზაციის სიმკვრივე და დამჭერი განმუხტვა იზრდება ელვის თავის შემხვედრი მიმართულებით. ორივე განმუხტვის შეხვედრისას ელვის დენი მიდის დედამიწისკენ. მუხტი ღრუბლებიდან გადმოდის დედამიწაზე, გადის დედამიწაზე და ისევ მიდის ღრუბლისკენ „დედამიწა-ღრუბელი“ ტევადობის საფუძველზე. რამდენადაც მიმყვანი გამტარი (ელვის არხი) და უკუგამტარი („ტევადობა „დედამიწა-ღრუბელი“) განლაგებულია ერთმანეთისგან მოშორებით,

ელვის არხის ზონაში წარმოიქმნება დიდი მაგნიტური ველი, რომელიც ელექტრომაგნიტური ინდუქციის კანონის მიხედვით ინდუცირებას ახდენს დაძაბულობის ყველა გამტარ სტრუქტურაში (დენგამტარი უბნები, საკაბელო ქსელის სადენები და ა.შ.)

მთლიანობაში ამ მოვლენისას პოტენციალების გათანაბრება მოიცავს ტერიტორიას რადიუსით დაახლოებით 500 მ, ამასთანავე, საკუთრივ ელვის არხი იკავებს რამოდენიმე სანტიმეტრს. ელვის არხი დენის სიდიდის გამო ისე ცხელდება, რომ იქ არსებული ჰაერი ფეთქდება. ეს აფეთქება ცნობილია, როგორც ქუხილი.

პირველი ელვისას ღრუბლის ელექტრული მუხტი მთლიანად არ განიმუხტება. ამიტომ, რამოდენიმე მილიწამის შემდეგ, მუხტების შემდგომმა მატარებლებმა შეიძლება ისევ გამოიწვიონ ელვა.

ეს არის გამარტივებული სახით მოვლენის აღწერა. ღრუბლებს შორის ასევე შესაძლებელია განმუხტვები (ელვა „ღრუბელი-ღრუბელი“), მაღალ ანძებს შორის და ნაგებობებსა და ღრუბლებს შორისაც (ელვა „დედამიწა-ღრუბელი“) და კიდევ სხვ. ადგილი აქვს განმუხტვებს. მეხის პარამეტრების ზომები და ჭექა-ქუხილის განმუხტვის მსვლელობა დამოკიდებულია ბევრ გარემოებაზე, როგორცაა, ღრუბლების გეომეტრია, ელვის გზა და სხვ. მნიშვნელობების სანდო აზომვები იქნა მიღებული და სტატისტიკურად დამუშავებული კვლევების დროს გასული საუკუნის 50-იან და 60-იან წლებში. ეს პარამეტრები ქმნიან საფუძველს მეხის დაცემის გამოთვლებისთვის.

ელვა წარმოადგენს დენის იმპულსებს, რომლებსაც რამოდენიმე მილიწამის განმავლობაში შეუძლიათ მიაღწიონ მაქსიმალურ მნიშვნელობას $I = 200 \text{ kA}$ და მიიღოს $100 \mu\text{s}$ -ის განმავლობაში. მაგალითად, გერმანიასა და სკანდინავიაში მეხის შეფასებისას აღმოჩნდა, რომ მისი მნიშვნელობა ჩვეულებრივ მერყეობს 20 kA -დან 60 kA -მდე.

ჭექა-ქუხილის განმუხტვებისას დენის ძალის ძლიერი ცვლილებები იწვევს მაგნიტური ველის ცვლილებებს, რომლებიც ახდენენ ძაბვის ინდუცირებას მეზობელ გამტარ სტრუქტურებში. თუ არსებობს ბევრი გამტარი სტრუქტურა (მაგალითად, საკაბელო ხაზები, სარელსო წრედები სადგურის ტერიტორიაზე და

ა.შ.), მაშინ ყველა ამ სტრუქტურაში ინდუცირდება ძაბვა. ინდუცირებული ძაბვა საკაბელო მარღვების მეშვეობით მოედება მათი შეერთების წერტილებს, რაც იწვევს შემავალი ძაბვის მნიშვნელოვან გაზრდას ხელსაწყოების, ელექტრონული პლატას და ა.შ. შესასვლელებზე. კვების საერთო წყაროს გზით ეს გადაძაბვევი მოქმედებენ სხვა ელექტრონულ ხელსაწყოებზე. ამავ დროს, გათვალისწინებულ უნდა იქნას, შესაძლებლობის ფარგლებში, გამათანაბრებელი დენების გამოყენება. გამათანაბრებელი დენები წარმოიქმნება, მაგალითად, „პასიური“ დენგამტარი სტრუქტურების დასაცავ მოწყობილობებთან საკმაო სიახლოვისას (მეტალის ანჯამები, რკინის ფირფიტები და ა.შ.), რომლებშიც, გარეთა მაგნიტური ველის ზემოქმედებით, იწყებს დინებას გამათანაბრებელი დენები. საბოლოო ჯამში, სხვადასხვა სახის ინდუცირებულ იმპულსურ ძაბვებს, დაცვის ზომების გამოყენებისას, აქვთ რამოდენიმე კილოვოლტი სიდიდე.

პრობლემა მართლაც აქტუალურია. არ არსებობს 100%-იანი დაცვა. მაგრამ განმუხტვების მნიშვნელოვნად შემცირება შესაძლებელია. ამისათვის, საქართველოს რკინიგზის თბილისის უბანზე ჩვენ შევიმუშავეთ ახალი მიდგომა, 3 საფეხურიანი დაცვა: 1 - განმუხტველი; 2 - ვარისტორი; 3 - სუპრესორი.


პირველი ახშობს დიდ ენერგიას, მაგრამ საკმაოდ ინერტულია, არ აქვს საკმარისი სწრაფმოქმედება. მეორე უფრო სწრაფმოქმედი, მაგრამ შეუძლია გადაძაბვის შედარებით ნაკლები ენერგიის ჩახშობა. და ყველაზე სწრაფმოქმედი, მაგრამ ყველაზე „სუსტი“ - სუპრესორია. ის ახშობს იმპულსების „ფრონტს“. სქემა ასეთია: „მიწის“ მიმართ გადაძაბვის წარმოშობისას ამოქმედდება განმუხტველი, ხოლო რელსი-რელსი გადაძაბვისას - ვარისტორი და სუპრესორი. გადაძაბვა რელსი-რელსი წარმოიქმნება გაცილებით იშვიათად და ამიტომაც, დამცველი იწვება უფრო იშვიათად. განმუხტველის კონსტრუქციული თავისებურებებიდან გამომდინარე, ჩვენ იგი დავაყენეთ დამცველის წინ. ასეთი სქემის შემთხვევაში შესაძლებელია, რომ იყოს ხარისხიანი „დამიწება“. კილოამპერებში დენის ძალისას, რომელიც გვხვდება მეხის განმუხტვისას, ძაბვის ვარდნა სტანდარტულ მიწაზე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 10 ომს, ომის კანონის მიხედვით, გამოდის ათეულობით კილოვატი. უხარისხო დამიწებისას ეს ძაბვა უკუგაარღვევს დაცვას

(მიწიდან აპარატში). ამასთანავე, დენი აუცილებლად იზოვის გზას მიწისკენ. ამ გზას იგი გაივლის მოწყობილობის გავლით, და აქედან გამომდინარე თავისი შედეგებით.

მოძრავი შემადგენლობის დაზიანებების აღმომჩენი (KTCM-01, KTCM-02, КТИ, АСООД) აპარატურის ექსპლუატაციის გამოცდილების საფუძველზე შემოთავაზებულია შემავალი წრედების სახიფათო გადაძაბვისგან დაცვის შემდეგი მეთოდები:

- აპარატურაში გამავალი ღერძების გადამწოდების საერთო სადენი (შესართავი 3П2-01 ელექტრული პრინციპიალური სქემის ИИ7.400.000 ЭЗ მიხედვით) უნდა შეერთდეს „საერთო“ სადენთან (შესართავი 3П6-05, რომელიც თავის მხრივ შეერთებულია დამიწების კონტურთან) იზოლირებული სპილენძის სადენით, რომლის განივკვეთი იქნება არანაკლებ 0,5 კვ.მმ.
- გამავალი ღერძების გადამწოდების მფორმირებლების შემავალი წრედების დასაცავად აუცილებელია 1,5KE22C სუპრესორების დაყენება გამავალი ღერძის თითოეული გადამწოდის პარალელურად (ПБМ56, ДМ88, ДМ95). სუპრესორები, ნახევარგამტარი მოწყობილობები შემუშავებულია სპეციალურად საშიში გადაძაბვისგან დასაცავად, ისინი წარმოადგენენ სტაბილიტრონების ანალოგებს, მაგრამ შთანთქავენ არანაკლებ 1500 ვატი იმპულსური სიმძლავრის მოდებულ ძაბვას.
- მოწყობილობების გადაძაბვისგან დასაცავად სახელმძღვანელო მითითებების თანახმად, ავტონომიური წევის დენის გზის მონაკვეთებისათვის ხელსაწყოები, რომლებიც მიერთებულია რელსებთან, დაცული უნდა იქნენ გამათანაბრებლებით BK-10. ამჟამად, იწარმოება დაბალტალღოვანი გამათანაბრებლები БОЦН-24. შემოთავაზებულია ამ გამათანაბრებლების დაყენება ЭП-1 ელექტრული სატერფულის 3 და 4, 7 და 8 კონტაქტებს შორის. საჭიროა დამატებითი გამათანაბრებლები БОЦН-24 3, 4, 7, 8 კონტაქტებსა და საგზაო ყუთის კორპუსს შორის, რომელიც შეერთებული უნდა იყოს დამიწების კონტურთან არანაკლებ 3 კვ.მმ განივკვეთის სალტეთი. ხოლო რელსების მხრიდან უნდა დამაგრდეს 1,0 ამპერიანი დამცველები. დამცველების წინ ჩვენ დავაყენეთ განმუხტველები P350.

შემოთავაზებული მეთოდების საფუძველზე შექმნილია ატმოსფერული მოვლენებისა და გადაძაბვებისაგან დამცავი სქემა, რომელმაც საკმაოდ გაამჯობესა დიაგნოსტიკური აპარატურის მუშაობა. სქემა მოცემულია ნახ. 1-ზე.



ნახ. 1. ატმოსფერული მოვლენებისა და გადაძაბვებისაგან დამცავი სქემა

მოცემული სქემის მიხედვით გადაკეთდა საქართველოს რკინიგზის თბილისის დისტანციის პოსტები. ცხრილში მოცემულია საქართველოს რკინიგზის დისტანციებზე აღრიცხული ტექნიკური საშუალებების მოდერნიზაციის კომპლექსის გაჩერების ხანგრძლივობა 2013 წლის მონაცემებით. ცხრილში მოცემულია დისტანციაზე პოსტების გაჩერების საშუალო მაჩვენებელი. მოყვანილი მონაცემები ნათლად აჩვენებს შემოთავაზებული სქემის დადებით ეფექტს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, 2013 წელს ხაშურსა და სამტრედიის დისტანციებზე მეხის დაცემის შედეგად მიღებული ეკონომიკური ზარალი.

ცხრილი 1. კტსმ-ის გაჩერების ხანგრძლივობა 2013 წ.


დისტანცია	გაჩერების ხანგრძლივობა
თბილისი	1 სთ 22 წთ
ხაშური	3 სთ 55 წთ
სამტრედია	7 სთ 18 წთ

შემდგომ პერიოდში ჩვენს მიერ განხორციელდა მოცემული სქემის დახვეწა, რადან ატმოსფერული მოვლენების შედეგად იწვებოდა დნობადი დამცავები და მოწყობილობის აღდგენისთვის საჭირო იყო ელმექანიკოსის ადგილზე მისვლა და დამცავების გამოცვლა, რაც შესაბამისად მოითხოვდა საკმაოდ დროს. ამიტომ, 1,0 ამპერიანი FU დამცველების წინ დამატებული იქნა თვითაღდგენადი დამცავები.

თვითაღდგენადი დამცავი - ეს არის პოლიმერული მოწყობილობა, წინააღმდეგობის დადებითი ტემპერატურული კოეფიციენტით, რომელიც გამოიყენება ელექტრონული აპარატურის დასაცავად.

დამცავის მოქმედების პრინციპი დაფუძნებულია მასში გამავალი ზღვრული დენის მომატებისას წინააღმდეგობის მკვეთრ გაზრდაზე. გამოწვეული წინააღმდეგობა დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე: გამოყენებული მოწყობილობის ტიპზე, მასზე მოდებულ ძაბვასა და სიძლიერეზე. კვების გამორთვის შემდეგ (დატვირთვის გამორთვა, ძაბვის შემცირება და ა.შ.) გარკვეული დროის შემდეგ კვლავ მცირდება მისი შინაგანი წინააღმდეგობა - თვითაღდგება).

წინააღმდეგობის გაზრდას თანსდევს დამცავის გაცხელება დაახლოებით 80°C-მდე. ამ დამცავების ნიმუშები მოცემულია ნახ. 2-ზე.




MF - თვითაღდგენადი დამცავი

R - წინააღმდეგობა

ნახ. 2. თვითაღდგენადი დამცავის სქემატური და ფოტოგამოსახულება

თვითაღდგენადი დამცავისათვის გამავალი დენის ნომინალი ოდნავ ნაკლებია დნობადი დამცველის ნომინალზე, ამიტომ დიდი ალბათობით, დენის გავლისას ამოქმედდება თვითაღდგენადი მცველი, ხოლო მის აღდგენას მხოლოდ რამოდენიმე ათეული წამი სჭირდება.

ამჟამად, საქართველოს რკინიგზის ყველა დისტანციაზე დამონტაჟებულია ატმოსფერული მოვლენებისა და გადაძაბვებისაგან დამცავი ეს ახალი სქემა (ნახ. 3.). აღნიშნული მოწყობილობა საიმედოდ მუშაობს ნებისმიერ კლიმატურ პირობებში, რითაც შესაძლებელია საგრძნობი ეკონომიკური ეფექტის მიღება და მოძრაობის შეფერხებების აღმოფხვრა, გამოწვეული ატმოსფერული მოვლენებით, რომლებსაც შეუძლიათ მოწყობილობის მწყობრიდან გამოყვანა.



ნახ. 3. ატმოსფერული მოვლენებისა და გადაძაბვებისაგან დამცავი ამჟამად მომუშავე სქემა

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გადახურებული ბუქსების აღმომჩენ „კტსმ-01დ“-ს აპარატურაში გადამეტაბვის საწინააღმდეგო და მეხდამცავი მოწყობილობების გამოყენება; მოწმობა რაციონალიზატორული წინადადების შესახებ, 2008წ.;
2. Никитин А. Б., Наседкин О. А., Манаков А. Д., Шатохин В. А. - Концепция защиты устройств железнодорожной автоматики и телемеханики от перенапряжений // Ж.-д. трансп. Сер. «Сигнализация и связь». ЭИ/ЦНТИ. 2006, 3: 1–25;
3. Руководство по защите электрических сетей 6-1150 кВ от грозовых и внутренних перенапряжений. Под научной ред. Н.Н.Тиходеева. 2-е издан. СПб: ПЭИПК Минтопэнерго РФ, 1999. – 353 с.;
4. IEC 62305-1, Ed. 1: Protection against lightning – Part 1: General principles, 2010; 67.

**PROTECTION DEVICE AGAINST ATMOSPHERIC
PHENOMENA AND SWITCHING VOLTAGE**

Amiran Nodia, Igor Marekhisvili

Abstract

To ensure the quality and reliability of railway automation and diagnostics equipment, it is important to consider any random obstacles. The article discusses and proposes a device that protects against atmospheric phenomena and voltage switching, reliably working in any climatic conditions. The new protection scheme has already been implemented by the authors on the Georgian Railway and plays an important role in improving both train safety and transportation efficiency.

**УСТРОЙСТВО ЗАЩИЩАЮЩЕЕ ОТ АТМОСФЕРНЫХ
ЯВЛЕНИЙ И КОММУТАЦИОННЫХ НАПРЯЖЕНИЙ**

Амиран Нодия, Игор Марехишвили

Резюме

Для обеспечения качества и надежности оборудования железнодорожной автоматизации и диагностики важно учитывать любые случайные препятствия. В статье обсуждается и предлагается устройство, защищающее от атмосферных явлений и коммутационных напряжений, надежно работающее в любых климатических условиях. Новая схема защиты уже внедрена авторами на Грузинской железной дороге и играет важную роль в повышении как безопасности поездов, так и эффективности перевозок.

უაკ 656.259.12-621.396.2

კონტაქტური სადენის ცვეთის გასაზომი ოპტიკური მეთოდი

ამირან ნოდია*, ზურაბ ურიათმყოფელი**

**ასისტენტ პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;*

***თბილისის სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების სამმართველოს
უფროსი მექანიკოსი, სს „საქართველოს რკინიგზა“*

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №71, 0175,
თბილისი, საქართველო)


რეზიუმე: რკინიგზის ტრანსპორტზე მოძრაობის სიჩქარის ზრდისა და მოძრავი ნაწილის დაჩქარებული ცვეთის გამო სულ უფრო აქტუალური ხდება მისი ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი. მოცემულ სტატიაში განხილულია საკონტაქტო ქსელის ცვეთის განსაზღვრისათვის ავტომატიზირებული მეთოდი, რომლითაც შესაძლებელია ტექნიკური კონტროლი საკაბელო პროდუქციის გეომეტრიული პარამეტრების დეფექტების ავტომატური აღმოჩენისთვის გამოყენებულია სპეციალური ლაზერული გამანათებელი, გამზომი მოდული ვიდეოინფორმაციის მისაღებად. ინფორმაციის პროგრამული დამუშავების შედეგად მიიღება გადაწყვეტილება სადენის დეფექტურობაზე.
საკვანძო სიტყვები: საკონტაქტო ქსელი, ცვეთა, ლაზერული გამანათებელი.

სარკინიგზო სისტემაში დღეისათვის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია საკონტაქტო სადენის ცვეთისა და საკონტაქტო ქსელის ძირითადი ელემენტების დეფექტების განსაზღვრა. დენისმომხსნელთან ხანგრძლივი კონტაქტისას სადენი ცვეთას განიცდის. შედეგად სადენის კვეთის ფორმა იცვლება, რაც დროულად უნდა განისაზღვროს. მნიშვნელოვანია შემუშავდეს საკონტაქტო ქსელის ცვეთის განსაზღვრისათვის ავტომატიზირებული უკონტაქტო მეთოდი და ანალიზის სისტემები.

გაზომვის მეთოდი უნდა იყოს უკონტაქტო, რადგან სადენი ყოველთვის არის რამოდენიმე ათეული კილოვოლტის გარდამავალი ძაბვის ქვეშ. შემუშავებული სისტემა უნდა იყოს საკმაოდ კომპაქტური, რათა შესაძლებელი იყოს მისი ადვილად ტრანსპორტირება სტანდარტული სარკინიგზო ურიკით.

მოცემულ სტატიაში წარმოდგენილია სტრუქტურული განათების მეთოდი, რომელიც გამოიყენება საკონტაქტო ქსელის გეომეტრიის შეცვლის და დეფექტების ანალიზისთვის. ასევე აღწერილია ავტომატიზირებული სისტემები, რომელიც შემუშავებულია აღნიშნული მეთოდის რეალიზაციისათვის პრაქტიკაში. მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მარკის სადენებისთვის, რომელიც გამოიყენება მატარებლების, ტრამვაის, ტროლეიბუსის და ა.შ. საკონტაქტო ქსელებში.


როგორც აღვნიშნეთ, ხანგრძლივი ექსპლუატაციისას საკონტაქტო სადენმა შეიძლება განიცადოს მთელი რიგი გეომეტრიული დეფექტები, რომლებიც მოითხოვენ დროულ აღმოჩენას და აღმოფხვრას. ძირითადი დეფექტი, რომელსაც მივყავართ წინააღმდეგობის გაზრდისკენ და საკონტაქტო სადენის დაშლისკენ, მდგომარეობს განივი კვეთის ზედაპირის შემცირებისკენ სადენის უწყვეტი კონტაქტის გამო დენისმომხსნელთან. სადენი ასევე შეიძლება მოზრუნდეს კვეთის სიბრტყეში და შემცირდეს შებრუნებულ პოზიციაში. შინაგანი დაძაბულობის სადენის სისქეში უთანაბრობამ, ისევე როგორც მიკროდეფექტებმა, შეიძლება გამოიწვიოს „კისერის“ ტიპის დეფექტი, როდესაც სადენის კვეთა ერთდროულად მცირდება ყველა მიმართულებით. სადენის ცვეთა ხასიათდება ორი ძირითადი პარამეტრით, კერძოდ, ცვეთის საკონტაქტო ზედაპირის სიგანით W და ცვეთის სიღრმით D , ანუ დაშორებით სადენის არაგაცვეთილი ზედაპირიდან საკონტაქტო ზედაპირამდე (ნახ.1).



ნახ. 1. საკონტაქტო სადენის შესაძლო დეფექტი, სტანდარტული ცვეთა

ზემოთაღნიშნული დეფექტების ავტომატური აღმოჩენისთვის, ისევე როგორც ცვეთის ძირითადი პარამეტრების გასაზომად, წინამდებარე სტატიაში განხილულია სტრუქტურული განათების მეთოდი. სპეციალური ლაზერული გამანათებელი ქმნის ერთ ან რამოდენიმე პარალელურ ბრტყელ ლაზერულ სხივებს („სინათლის დანები“), რომლებიც კვეთენ საკონტაქტო სადენის ზედაპირს ღერძისადმი გარკვეული კუთხით. სადენის ზედაპირიდან გაფანტული სინათლე დეტექტირდება ციფრული ვიდეოკამერით. დაფიქსირებული გამოსახულება წარმოადგენს მრუდის ფორმას, რომელიც იქმნება ბრტყელი სხივის კვეთით საკონტაქტო სადენის ზედაპირთან.

კვეთის კონტურის გამოსახულება განისაზღვრება საკონტაქტო სადენის, განათების და დაკვირვების მიმართულებებით. საკონტაქტო სადენის სინათლის დანით კვეთისას მიღებული გეომეტრიული სქემა წარმოდგენილია ნახ.2-ზე.




ნახ. 2. საკონტაქტო სადენის ცვეთის გაზომვისთვის გამოყენებული განათების მეთოდი

ამჟამად ამგვარი ამოცანების გადასაჭრელად გამოიყენება ე.წ. ჩრდილის მეთოდი, რომელსაც გააჩნია გარკვეული შეზღუდვები. კერძოდ, ჩრდილის მიღებისას გაუმჭირვალე ჩაზნექილი ობიექტებიდან ინფორმაცია თვითონ

სადენის გეომეტრიაზე შეიძლება დაიკარგოს. ამიტომ, ამგვარი მეთოდი ჩვეულებრივ გამოიყენება მხოლოდ გაუმჭირვალე ობიექტებისთვის, რომელთაც აქვთ ამოზნექილი ფორმა. მეორე მნიშვნელოვანი ნაკლი ჩრდილის მეთოდის არის ის, რომ წყარო და მიმღები უნდა იყოს განლაგებული ობიექტის საწინააღმდეგო მხარეებზე. ამგვარად, ჩრდილის მეთოდი პრაქტიკულად არ შეიძლება იყოს გამოყენებული საკონტაქტო სადენის ცვეთის გეომეტრიისათვის, რადგან ეს მოითხოვს ძალიან ბევრი სისტემების პროექტირებას და გამორიცხავს უშუალოდ ზედაპირის დეფექტოსკოპიის შესაძლებლობას.


სტატიაში შემოთავაზებულ მეთოდში გამოიყენება გამზომი მოდული, რომელიც დაყენებულია ინსპექტირების ვაგონის პანტოგრაფზე, დაგროვებისა და დამუშავების სადგურები მოთავსებულია ვაგონის შიგნით (სურ. 3).



სურ. 3. ნიმუშის საერთო სქემა

გამზომი მოდული განკუთვნილია ვიდეოინფორმაციის მისაღებად, რომელიც შეიცავს სატესტო საკონტაქტო ხაზის გეომეტრიული პარამეტრების მონაცემებს, და მოიცავს გამანათებელს, მყარად მიერთებულს გამოსახულების რეგისტრაციის ბლოკთან. გამზომი მოდულის კონსტრუქცია საშუალებას იძლევა

თვალყური ვადევნოთ კონტაქტური სადენების მდებარეობას განივი მიმართულებით ПИД ალგორითმის რეგულირების დახმარებით. მონაცემთა დაგროვებისა და დამუშავების სადგურში ხდება გამზომი მოდულიდან მიღებული ინფორმაციის შეგროვება, მისი დამუშავება და კონტროლირებადი პარამეტრების გამოთვლა. ლაზერული გამანათებელი უზრუნველყოფს სინათლის ინტენსივობის განაწილებას მთლიან გასაზომ ზონაში, ხოლო რეგისტრაციის ბლოკი - კონტრასტულ გამოსახულებას, რომელიც მიიღება მუდმივი გადიდებით ამ მოცულობის ნებისმიერ წერტილში. ამისათვის მზომი მოდული გადაადგილდება გზის ღერძის პერპენდიკულარულად, სადენის მდგომარეობის ცვლილებასთან სინქრონში, ხოლო დაშორება მასსა და სადენს შორის სიმაღლეში მუდმივად ნარჩუნდება.



ნახ. 4. საკონტაქტო სადენის დეფექტოსკოპიის სისტემის ოპტიკური სქემა

ლაზერის მუშაობის იმპულსური რეჟიმი უზრუნველყოფს საკონტაქტო სადენის ზედაპირზე გაფანტული ლაზერული გამოსხივების მაღალ სიკაშკაშეს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის თანაფარდობას სიგნალი/ხმაური სარეგისტრაციო გამოსახულებაზე. ექსპოზიციის მცირე დრო საშუალებას იძლევა ფონური ნათების გაფილტვრის. ამგვარად, მიღებული გამოსახულებები ადვილად ექვემდებარება დაკავშირებულ უბნებად დაშლას, რაც აადვილებს კადრების პირველად

ფილტრაციას. მიიღება სადენის გაცვეთილი და გაუცვეთავი უბნების განაკვეთების ფოტოგრაფიები, სტრუქტურული განათების დახმარებით, რომლის სავარაუდო სიხშირეა - 1000 გეგა ჰერცი.

ახალი სისტემის წარმოებადობა შეზღუდულია ლაზერის იმპულსების სიხშირით, რომელიც დაკავშირებულია ვიდეოპროცესორის ფრეიმგრანბერთან მასინქრონიზებული სქემის საშუალებით. გადასაღებ ჩარჩოში 1280X128 ვიდეოსისტემა ლაზერთან სინქრონიზაციის გარეშე საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას 2000 კადრი წამში.

სისტემაში ვიდეოპროცესორი Matrix Odyssey Xpro+ გამოყენება, აგრეთვე სტანდარტული პროგრამა-აპარატული გადაწყვეტა Matrox Imaging Library საშუალებას იძლევა გამოსახულების ადაპტური სეგმენტაციის რეალურ დროში, რაც თავის მხრივ ზრდის მათ შეკუმშვის კოეფიციენტს ათი შემდგომი შენახვისათვის. პროცესორი ასევე საშუალებას იძლევა გაამარტივოს სამუშაო პიქსელების ურთიერთდაკავშირებულ უბნებთან.

მეთოდის შემუშავების პროცესში საჭიროა გათვალისწინებული იყოს ორი ძირითადი ამოცანის გადაწყვეტა:

1) მოთვალთვალე ვიდეოკამერის საკმარისი სივრცითი გარჩევადობა; 2) სხივის ფოკუსირება ძალიან თხელ ხაზად 2 მეტრის დისტანციაზე, რაც არაპირდაპირ მოქმედებს გაზომვების სიზუსტეზე. ამიტომ მთელი ანალიზი ვიდეოგამოსახულებების იხლიჩება 3 ძირითად ნაბიჯად.

პირველი ნაბიჯი ანალიზის არის გამოსახულების ინფორმატიული უბნების მოძიება, ანუ იმ კადრის უბნების, რომლებიც შეიცავენ სადენის კვეთის გამოსახულებებს ლაზერის სხივით. ასეთი უბნები იძებნება როგორც ურთიერთდაკავშირებული პიქსელური უბნები პიქსელების საკმაოდ დიდი რიცხვით, რომლებიც შეესაბამება გარკვეულ შეზღუდვებს უბნის ხაზოვან ზომებზე. ძებნის გასამარტივებლად ნაპოვნი დაკავშირებული კომპონენტები ფიქსირდება კადრების თანამიმდევრობით გაზომვის პროცედურის მიმდინარეობისას.

ფოკუსირების პრობლემა იჭრება ობიექტამდე დაშორების მანძილის შემცირებით. მაგრამ გამოყენებული ნახევარგამტარული ლაზერული სახაზავი,

მისი დომენის სტრუქტურის გამო, კამერის მიერ ჩაწერილი მავთულის კვეთაზე შეუსაბამობას დაადებს. ამიტომ კვეთა გამოსახულებაზე მორფოლოგიური ანალიზის ოპერაციის გამოყენებით, არის როგორც დაკავშირებული კომპონენტების ლოკალური ჯგუფი, რომელზეც დადებულია ხაზოვან ზომაზე შეზღუდვა.

ლაზერის სხივით სადენის კვეთა ერთი თხელი ხაზის ნაცვლად გამოჩნდება როგორც ლაზერის გამოსხივების ინტენსივობის საკმაოდ ფართო განაწილება ვერტიკალური მიმართულებით. იგულისხმება, რომ კონტაქტური სადენის სიგრძის გასწვრივ კვეთა მცირედ იცვლება საკმაოდ დიდ დაშორებაზე, ამიტომ გამოსახულების სუსტი კონტრასტულობა შეიძლება გათვალისწინებულ იქნას, შესრულდეს რა ოპერაცია ცენტრის მასების მდებარეობის სიკაშკაშის მიხედვით გამოსახულების პიქსელების თითოეული ვერტიკალური სვეტისთვის, რაც არის მეორე ნაბიჯი გამოსახულების ანალიზის ალგორითმის.

მესამე ნაბიჯი არის ნაპოვნი მასების ცენტრების მიღებულ მრუდზე სადენის კვეთის პროფილის განსაზღვრა. ამისათვის ყველა იმ ცენტრებს შორის, ალგორითმულად ამოირჩევა ის ცენტრები, რომელიც მიეკუთვნება სადენის გაუცვეთავ ნაწილებს. ამ უბნებში სადენის ზედაპირს დასათვალიერებელ კვეთაში აქვს მომრგვალებული ფორმა, რაც საშუალებას იძლევა სტატისტიკური მეთოდებით გამოითვალოს კვეთის კონტურის ცენტრი, როგორც შედარებით ახლო წერტილების საწყისი ერთობრიობის გარშემოწერილობის ცენტრი.

უფრო დეტალურად კვეთის გეომეტრიული ცენტრის გამოთვლის ალგორითმი შემდეგნაირად გამოიყურება:


- ა) ხდება სიჭარბე ყველა შესაძლო კომბინაციის (A_i, B_k) , სადაც A_i გადის პირველი ჯგუფის ყველა წერტილს, ხოლო B_k - მეორე ჯგუფის;
- ბ) თითოეული შეთანხმებისთვის ხდება გარსემოწერილობის $C_{i,k}$ ცენტრის მოძებნა ცნობილი R რადიუსით, რომლიც მოიცავს ორივე წერტილს;
- გ) გამოითვლება საშუალო კვადრატული გადახრა $d_{i,k}$ გარსემოწერილობის ორივე ჯგუფის წერტილების, რომლებიც განსაზღვრულია წინა ნაბიჯზე;

დ) მას შემდეგ რაც ყველა კომბინაცია გადაირჩევა, კვეთის ცენტრი განისაზღვრება ფორმულით

$$C = \frac{\sum_{i,k} C_{i,k} \times \frac{1}{d_{i,k}}}{\sum_{i,k} \frac{1}{d_{i,k}}}$$

ანუ, ხდება მოძებნა ადრე განსაზღვრული წერტილების $C_{i,k}$ მასების ცენტრის მასით $1/d_{i,k}$.

ივარაუდება, რომ კვეთის ზომა და კრიტიკული სიმაღლე კვეთის განისაზღვრება სადენის მარკით და წინასწარაა მოცემული. ცენტრების ჯგუფები და კვეთის პროფილის ძეხნის შედეგები მოცემულია სურათზე 5.



სურ. 5. სადენის კვეთის პროფილი, მოძებნილი ცენტრის მიხედვით აღდგენილი

იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი ამ ჯგუფიდან გადაიქმნება წერტილად ან მასში ზედმეტად ცოტა ცენტრია, მოცემული მოქმედებები ტარდება დარჩენილი ჯგუფების ფარგლებში.

სადგურის რეალიზებულ პროგრამულ უზრუნველყოფაში ვიდეოგამოსახულებების დამუშავებაში ასევე გათვალისწინებულია რეალიზებული ალგორითმის ეფექტურობის შემოწმება, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს შეიცავდა თუ არა თავიდან გამოსახულება ინფორმაციას ჩვენ მიერ

გასაზომ დეფექტზე. მიღებული მონაცემების შედეგად მიიღება კონტაქტური ქსელის გაცვეთილი უბნების შეცვლის გადაწყვეტილება. ამ სისტემით შესაძლებელია აგრეთვე მოხდეს საკაბელო პროდუქციის გეომეტრიული პარამეტრების ტექნიკური კონტროლი.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. Арбузов Е. В., Петренко Е. О. - Автоматизированная система контроля износа контактного провода. Научное издание МГТУ им. Н.Э.Баумана “Наука и Образование” 2014, #1, С. 363-374;
2. Воротников С.А. - Информационные устройства робототехнических систем. М.: Изд-во МГТУ им. Н.Э. Баумана, 2005. 384 с.;
3. Запускалов В.Г., Маслов А.И., Арбузов Е.В., Петренко Е.О., Мушкаров А.С. Мобильный комплекс для контроля динамических параметров контактного провода электрифицированной железнодорожной магистрали // Контроль. Диагностика. 2002. № 7. С. 16-18;
4. Carnevale M, Collina A. - Processing of collector acceleration data for condition-based monitoring of overhead lines. Proceedings of the Institution of Mechanical Engineers, Part F: Journal of Rail and Rapid Transit, 2016, 230(2): 472-485;
5. Cheng Xi Youa - A Study on Dynamic Measurement System of Contact Wire Wear in Electrified Railway. Procedia Computer Science. 2019, 154: 210-220;
6. Nagasaka S, Aboshi M. - Measurement and estimation of contact wire unevenness. Quarterly Report of RTRI, 2004, 45(2): 86-91;
7. Nåvik P, Rønnquist A, Stichel S. - The use of dynamic response to evaluate and improve the optimization of existing soft railway catenary systems for higher speeds. Proceedings of the Institution of Mechanical Engineers, Part F: Journal of Rail and Rapid Transit, 2016, 230(4): 1388-1396;
8. Wang H, Núñez A, Liu Z, Song Y, Duan F, and Dollevoet R. - “Analysis of the evolvement of contact wire wear irregularity in railway catenary based on historical data”; Vehicle System Dynamics, 2018, 56(8): 1207-1232;

9. Zhang W, Mei G, Zeng J. - A study of Pantograph/Catenary System Dynamics with influence of presage and irregularity of contact wire. Vehicle system dynamics, 2002, 37: 593-604;
10. Zhu Y, Goverde R. - System-based vulnerability measures for railway systems. Proceedings of the 7th International Conference on Railway Operations Modelling and Analysis (IAROR): Rail Lille, 2017.

OPTICAL METHOD FOR MEASURING THE WEAR OF THE CONTACT CABLE

Amiran Nodia, Zurab Uriatmkopeli

Abstract

Due to the increase in the speed of traffic on the railway transport and the accelerated wear of the moving part, the control of its technical condition is becoming more and more urgent. This article discusses an automated method for determining the wear of the contact network, which allows for technical control of the geometric parameters of cable products. A special laser illuminator, video measurement module is used for automatic defect detection. As a result of the information software development, a decision is made about the defect of the contact wire.

ОПТИЧЕСКИЙ МЕТОД ИЗМЕРЕНИЯ ИЗНОСА КОНТАКТНОГО КАБЕЛЯ

Амиран Нодия, Зураб Уриатмкопели

Резюме

В связи с увеличением скорости движения на железнодорожном транспорте и ускоренным износом подвижной части контроль ее технического состояния становится все более актуальным. В данной статье рассматривается автоматизированный метод определения износа контактной сети, который позволяет осуществлять технический контроль геометрических параметров кабельной продукции. Специальный лазерный осветитель, измерительный модуль для видеоинформации используется для автоматического обнаружения дефектов. В результате разработки программного обеспечения информации принимается решение о дефекте контактного провода.

უაკ 627.2/3

პარალელურ რეჟიმში მომუშავე გემის გენერატორული აგრეგატების ავტომატური განტვირთვა მიხეილ ლეჟავა*

**პროფესორი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია*

(ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, რუსთაველის ქ. №53, 6000, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ბათუმი, საქართველო)

რეზიუმე: ტყის მცენარეული საფარის მრავალფეროვნების შენარჩუნება პრობლემატურია, არა მხოლოდ საქართველოში არამედ მთელ მსოფლიოში. აღნიშნულის მიზეზი მრავალია. თუმცა, მათ შორის უმთავრესია ის, რომ მიმდინარე ეკონომიკური პროცესები მოითხოვს ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, რომელთა უმრავლესობა გაივლის რა ტყით დაფარულ მასივებზე გამოიწვევს კიდევ უფრო მეტ ანთროპოლოგიურ წნეხს ეკოლოგიაზე, რადგან აუცილებელი ხდება ტყის ექსპლუატაცია. ექსპლუატაციის პროცესი კი მოითხოვს ტყის საფარის არამდგრად ჭრას, რითაც გამოუსწორებელი ზიანი ადგება ტყის საფარს და ზოგადად ეკოლოგიას. აღნიშნულს ემატება ხე-ტყის უსისტემო ჭრა, ტყის ტერიტორიის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისთვის და აშ., რაც ასევე ტყის ექსპლუატაციას უკავშირდება. მსგავსი პრობლემა დამახასიათებელი იყო და არის მსოფლიოს უმეტესი ქვეყნებისათვის, რომლებიც ცალ-ცალკე ვერ გაუმკლავდნენ ამ პრობლემას და კაცობრიობა შეეცადა საერთაშორისო დონეზე ეკოლოგიური თანამშრომლობის გზით გადაეწყვიტა ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხი. ზემოთქმულის გათვალისწინებით ნაშრომში ნაჩვენებია საერთაშორისო ეკოლოგიური თანამშრომლობის ფორმები, ამ მიმართებით გატარებული ღონისძიებები და მიღებული შედეგები.

საკვანძო სიტყვები: ეკოლოგია, ტყის ექსპლუატაცია, საერთაშორისო თანამშრომლობა, პრობლემა, გადაწყვეტა.

ისტორიული თვალსაზრისით საერთაშორისო ეკოლოგიური თანამშრომლობა ჩაისახა ჯერ კიდევ მე-XIX საუკუნეში, მაგრამ, როგორც მართებულად მიუთითებს ამ დარგის მკვლევარი მ. ბითაძე, გარემოს დაცვის

მიმართებით საქმიანობა იმ პერიოდში სპორადულ ხასიათს ატარებდა, რადგან ცალკეული ბუნებრივი ობიექტების დაცვას ეხებოდა და მხოლოდ ორმხრივ თანამშრომლობას ემყარებოდა, მაგალითისთვის, 1839 წლის 2 აგვისტოს მიღებული იქნა კონვენცია „დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ნაპირებთან ხამანწყების ჭერის შესახებ“.

მოგვიანებით, ვითარება ნაწილობრივ შეიცვალა იმით, რომ დღის წესრიგში დადგა მრავალმხრივი ღონისძიებების შემუშავების აუცილებლობის საკითხი, კერძოდ 1913 წლის 17-19 ნოემბერს შვეიცარიის დე-ფაქტო დედაქალაქ ბერნში ჩატარდა გარემოს დაცვის სფეროში პირველი მრავალმხრივი კონფერენცია, სადაც მიღებულ იქნა „შეთანხმება ბუნების საერთაშორისო დაცვის საკონსულტაციო კომისიის შექმნის შესახებ“.[¹]

თუმცა, როგორც აღინიშნა, საზოგადოების და ცალკეული სახელმწიფოების ძალისხმევა მანც ერთეული კეთილი საქმის კეთებით შემოიფარგლებოდა, ასე მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ვაიმინგის შტატის მდინარე იელოუსტონის აუზის ჯერ კიდევ სრულიად პირველყოფილი, მომხიბვლელი ლანდშაფტით გაოგნებულმა ენთუზიასტების ერთმა ჯგუფმა, რომელიც ადგილობრივ რესურსებს სწავლობდა, 1870 წლის 13 სექტემბერს ღამის კოცონთან გადაწყვიტა, რომ „იელოუსტონის ბუნების სილამაზეები ერის სიამაყეა და იგი ყველას უნდა ეკუთვნოდეს.“ ამ გადაწყვეტილების შედეგად კი 1872 წელს ამერიკის კონგრესმა დააკანონა მსოფლიოში პირველი იელოუსტონის ნაციონალური პარკის შექმნა, რითაც სახელმწიფოს კუთვნილ მიწაზე არა სამრეწველო მიზნების არამედ საზოგადოებრივი სარგებლობისთვის შეიქმნა დასვენებისა და ტურიზმის შესანიშნავი კერა.

მანამდე, კერძოდ 1864 წელს, ამერიკის იმდროინდელი პრეზიდენტის აბრაამ ლინკოლნის მიერ, რომელიც ახალგაზრდობაში ტყისმჭრელად მუშაობდა და კარგად იცნობდა ტყის პრობლემატიკას, ხელმოწერილი იქნა ნაკრძალის შესახებ კანონი, რომლითაც იოსემიტის გიგანტური სექვოიების ტყე გამოცხადდა

[¹] ბითაძე მ. ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების გავლენა ქართულ სამართალზე“. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი. თბილისი. 2008 წელი. გვ. 11-12.

ნაკრძალად კალიფორნიის შტატში. ყოველივე ამით კი პირველად აშშ-ს ისტორიაში უარი ითქვა ტყის და სხვა ბუნებრივი რესურსების ტრადიციულად სამრეწველო მიზნებისათვის გამოყენებაზე და ამდენად აღიარებული იქნა მათი სხვაგვარი დანიშნულებაც^[2].

აღსანიშნავია, რომ ნაციონალური ტყე-პარკების შექმნის იდეამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა და ამერიკის შეერთებული შტატების კვალდაკვალ ისინი შეიქმნა კანადაში, მექსიკაში, ახალ ზელანდიაში, ავსტრალიასა და ინდონეზიაში. რაც შეეხება საქართველოს ამ დასახელების პარკები არ შექმნილა იმ პერიოდში, მაგრამ 1892-1893 წლებში რუსეთის სამეფო ოჯახის გასართობად ლიკანის პარკის მიმდებარედ შექმნილი ე.წ „სამონადირეო მეურნეობა“ და 1903 წელს მრეწველ ე. დემიდოვის მიერ ლაგოდებში შექმნილი ანალოგიური მეურნეობა თავიანთი მოცულობით და ტყის ფაუნის დაცვის თვალსაზრისით არაფრით ჩამოუვარდებოდნენ მსოფლიოში აღიარებულ ნაკრძალებს. ამიტომაც იყო, რომ ლაგოდების ხეობა 1912 წელს გამოცხადდა ნაკრძალად. 1928 წლის 24 აპრილს კი უკვე საბჭოთა სინამდვილეში, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება ზოგიერთი ტყის ნაკვეთისა და პარკის შეკრულ (ნაკრძალ) ტყედ და პარკად გამოცხადების შესახებ, ხოლო 1933 წელს საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შეიქმნა ნაკრძალთა კომიტეტი^[3].

თუმცა, ვითარება შეცვალა მეორე მსოფლიო ომმა (1939-1945 წლები), რადგან მან სხვა არაერთ უბედურებასთან ერთად ის უარყოფითი შედეგიც მოიტანა, რომ არათუ მეორე მსოფლიო ომის არამედ მის შემდგომ პერიოდშიც კი ბუნებრივი სიმდიდრის გადანაწილება აშკარად არათანასწორ პირობებში ხდებოდა, ხოლო ამოწურვადი ბუნებრივი რესურსების გამოყენება გაცილებით უფრო აქტიური გახდა და ეკოლოგიური საფრთხის წინაშე დააყენა კაცობრიობა. შესაბამისად,

[2] გოცირიძე ლ., დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბების მსოფლიო-ისტორიული პროცესი და საქართველოს რეალობა” (ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მაგალითზე), ჟურნალი „სატყეო მოამბე”, დეკემბერი, 2015 წელი, #10, გვ. 27-28.

[3] გოცირიძე ლ., იგივე ნაშრომი. გვ. 28-29.

კიდევ უფრო მომწიფდა აზრი, რომ საჭირო იყო ბუნების კომპონენტების როგორც ხარისხის, ისე რაოდენობის დაცვა და შენარჩუნება.^[4]

აღსანიშნავია, რომ ამ მიმართებით დაწყებული საქმიანობის ავანგარდშიც ერთ-ერთი პირველი გერმანია აღმოჩნდა რასაც ცხადყოფს შემდეგი-ამ ქვეყნის, კერძოდ ბავარიის ნაწილი, იქ სადაც ქალაქი გარაფენაუ მდებარეობს, ომის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილ კუთხედ ითვლებოდა. მოსახლეობა კი რადგან შემოსავლის სხვა წყარო არ ჰქონდათ შესული იყო უძველეს უნიკალურ ტყეს და მოპოვებულ მერქანს ჩალის ფასად ჰყიდდა.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ არსებული პრობლემის მოგვარება ეროვნული პარკის შექმნით გადაწყვიტა, რასაც მოსახლეობა თავიდან მტრულად შეხვდა. თუმცა, ხელისუფლებამ თავისი გაიტანა და ბავარიის ეროვნულმა პარკმა თანდათან მოიზიდა ტურისტები, განვითარდა მომსახურების სფერო და მიღებული შემოსავლებით ეს კუთხე წელში გაიმართა.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ შემთხვევამ ასწავლა ბავარიელებს ისიც იყო, რომ თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს სხვა ქვეყნებსაც, მათ შორის საქართველოს. აღნიშნულის შედეგია ის, რომ 1990-1991 წლებში გერმანელი და ქართველი სპეციალისტების მონაწილეობით მიღებული იქნა გადაწყვეტილება კოლხეთის, ბორჯომის, ერუშეთის და აშ. ეროვნული პარკების რეგიონების დაარსების შესახებ, ხოლო 1995 წლის 28 ივლისს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით მოხდა ამ იდეის პრაქტიკული რეალიზაცია, კერძოდ შეიქმნა საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, რაზეც გერმანულმა მხარემ, გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სახით, საჩუქრად გაიღო მთლიანობაში 6 მილიონ 700 ათასი გერმანული მარკა.

თავის მხრივ, გერმანიის სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილმა საქართველომ 1996 წლის 7 მარტს მიიღო კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“. მეტიც, 2000 წელს საქართველოს იმდროინდელმა პრეზიდენტმა (ე. შევარდნაძემ) მსოფლიოს გასაგონად გააკეთა ცნობილი განცხადება იმის თაობაზე, რომ

[4] A. Kiss and D. Shelton, International Enviromental Lav , 3rd ed. New York, 2004, 25

„საქართველო გამოთქვამს მზადყოფნას 2000 წელს დედამიწას საჩუქრად მიუძღვნას თავისი ბუნებრივი ტერიტორიების 20%-ზე დაკანონებული დაცული ტერიტორიები და მთელ ქვეყანაში მოქმედი გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სამართლებრივი ნორმები.“

ამდენად, ზემოთ მოტანილ და სხვა ცალკეულ შემთხვევებშიც, მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს, ასევე საქართველოსაც, ჰქონდათ მცდელობა არსებული მდგომარეობა რამდენადმე უკეთ მოეწესრიგებინათ საერთაშორისო შეთანხმებების თუ კონვენციების ასევე, ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების მეშვეობით, ასევე გამოენახათ ამ მიმართებით სხვა შესაბამისი ინსტრუმენტები⁵ მათგან, საკვლევი თემის თვალსაზრისით კი განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია 1933 წლის ლონდონის კონვენცია „ფლორისა და ფაუნის მათი წარმოშობის ქვეყანაში დაცვის შესახებ“.

ამ საერთაშორისო კონვენციის მნიშვნელობა თუნდაც იქიდან ჩანს, რომ მისი მოქმედება ვრცელდებოდა აფრიკის კონტინენტზეც, რომელიც იმ დროს კოლონიალური ქვეყანა იყო და ამდენად დასახელებული კონვენციის ამოქმედებამ ხელი შეუწყო აფრიკის ბუნების, ანუ ტყის მანამდე არსებული მცენარეული საფარის ადგილზე შენარჩუნებას, რადგან კონვენცია ნაციონალური სახელმწიფოებისაგან ითხოვდა არა მხოლოდ ეროვნული პარკების და ნაკრძალების შექმნას არამედ ზოგიერთი სახის ველური ბუნების სახეობის მკაცრად დაცვას.

ანალოგიურად, მძლავრი ინსტრუმენტი გახდა ამ მხრივ ვაშინგტონის 1940 წლის კონვენცია „დასავლეთ ნახევარსფეროში გარემოსა და ველური ბუნების დაცვის შესახებ“, რადგან იგი ისევე, როგორც ლონდონის კონვენცია ითვალისწინებდა ნაკრძალების მოწყობას და როგორც ველური ცხოველების და გადამფრენი ფრინველების ისე ტყის მცენარეების დაცვას.^[6]

[⁵] ფიფია ს. და ჯაიანი დ. ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების შინაარსი საერთაშორისო სამართალსა და საქართველოს კონსტიტუციაში, სტატიათა კრებული-ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა. (რედაქტორი კონსტანტინე კორკელია), 2018 წელი, გვ. 262.

[⁶] Convention on Nature Protection and Preservation in The Western Hemisphere (Washington D.C., Oct. 12, 1940)

თუმცა, დასახელებულ კონვენციათა და ამ მიმართებით შექმნილი სხვა სამართლებრივი დოკუმენტები^[7] მაინც ზოგად ხასიათს ატარებდა, რადგან ნაკლებად ბოჭავდა ეროვნულ სახელმწიფოებს გარემოზე მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად ეფექტური მექანიზმების შემუშავების ნაწილში.

მეტიც, ხშირ შემთხვევაში აძლევდა კიდევაც ეროვნულ სახელმწიფოებს ამ მიმართებით მოქმედების თავისუფლებას. ასე მაგ. აფრიკის ბევრ ქვეყანაში არსებული უნიკალური ტყის მცენარეული და ცხოველთა სახეობების დაცვის საქმეში უდავოდ დიდი როლი ითამაშა „ფლორისა და ფაუნის საერთაშორისო სავაჭრო კონვენციამ“ (CITES), რადგან მან შეზღუდა კომერციული ვაჭრობა 1000-ზე მეტი ცხოველისა და მცენარის სახეობაზე.

მიუხედავად ამისა, მოგვიანებით აფრიკის კონტინენტზე არსებულმა ეროვნულმა სახელმწიფოებმა მიაღწიეს იმას, რომ შეზღუდვა მოეხსნა გართობის მიზნით ცხოველებზე ნადირობას, რადგან იგი არაკომერციულ ქმედებად გამოცხადდა და ახსნილი იქნა იმით, რომ შესული თანხა ცხოველთა და მცენარეთა დაცვის პროექტს მოხმარდებოდა^[8].

აღნიშნულ და სხვა შემთხვევებში არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების მიუხედავად, ერთი რამ უდავოდ შეიძლება ითქვას, რომ ამ სახის კოლექტიური სამართლებრივი დოკუმენტების მიღებით საზოგადოებამ საზღვრებისაგან დამოუკიდებლად, გამოავლინა ურყევი ნება იმისა, რომ ეროვნულ სახელმწიფოებს თავიანთ თავზე აეღოთ თუნდაც მინიმალური ვალდებულებები საერთაშორისო გარემოსა და ბუნების, მათ შორის ტყის დაცვასთან დაკავშირებით. ოზონის ხვრელის გაფართოებამ, მცენარეული საფარის ზოგიერთი სახეობის გადაშენებამ, რაც უშუალოდაა დაკავშირებული ტყის მასივის მასიურ ჩეხვასთან და მათი გავლენით კლიმატის ცვლილებამ, ასევე სხვა ეკოლოგიურმა პრობლემებმა, მაგ. ამაზონის (ბრაზილიაში გაჩენილი 2019 წლის ხანძარი), ავსტრალიის (სადაც

[7] 1868 წლის „პეტერბურგის დეკლარაცია“, 1907 წლის ჰააგის კონვენცია „სახმელეთო ომების კანონებისა წესების შესახებ“, რომლებიც კრძალავდა არასამხედრო ობიექტების მიმართ საომარი ოპერაციების წარმოებას, მეტიც ავალდებულებდა სხვა ქვეყნის ტერიტორიის დამკავებელ სახელმწიფოს, რომ შეენარჩუნებინა საზოგადოებრივი ნაგებობები, უძრავი ქონება, ტყეები და აშ.

[8] Dailymail. Co.uk.

იმავე 2020 წლის დასაწყისისთვის ხანძარმა გაანადგურა დაახლოებით 10.5 მილიონ ჰექტარზე მეტი ტყის მასივი და ნახევარ მილიარდზე მეტი სახეობის ცხოველის სახეობა) რუსეთის (ციმბირის)და სხვა ქვეყნების(მაგ. აშშ-ი კალიფორნიის) ტყეებში 2019 წლის ზაფხულში გაჩენილმა გლობალურმა ხანძრებმა, რაც ზოგიერთი მონაცემებით ტყის მცენარეული საფარის მიმართ გაუმართლებელი ექსპლუატაციითაცა განპირობებული, დღეის გადასახედიდან კიდევ უფრო გაამყარა ამ მხრივ საზოგადოების ერთიანობა და იმ მოსაზრების ჭეშმარიტება, რომ ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვა ტყეზე ზრუნვის გარეშე წარმოუდგენელია და, რომ ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალება მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობაა,^[9] რადგან მაგალითისთვის ამაზონის ტყე მარტოდენ 3 მილიონამდე ცხოველისა და მცენარის თავშესაფარი კი არაა მხოლოდ, არამედ იგი გამოყოფს იმ ჟანგბადის მთლიანი რაოდენობის 20%-ს რასაც კაცობრიობა სადღეისოდ მოიხმარს^[10].

ანალოგიურმა შემთხვევებმა, რასაც მანამდეც არაერთხელ ჰქონდა ადგილი, აიძულა ეროვნული სახელმწიფოები შეემუშავებინათ სხვადასხვა სახის ახალი საერთაშორისო შეთანხმებები, ასევე შეექმნათ შესაბამისი სტრუქტურები საერთაშორისო გარემოსდაცვითი თანამშრომლობის ასაღორძინებლად.

ერთ-ერთ პირველ ქმედით ნაბიჯს კი ამ გზაზე წარმოადგენდა „ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის“ (IUCN) დაფუძნება, რომელიც წარმოადგენს 7 საერთაშორისო ორგანიზაციის, ასევე 107 სახელმწიფოს ერთობლივი მოღვაწეობის შედეგს და, რომლის მიზანია ბუნებრივი რესურსების ეკოლოგიურად მდგრადი გამოყენების წახალისება.^[11]

[9] ბითაძე მ., ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების გავლენა ქართულ სამართალზე“. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი. თბილისი, 2008 წელი. გვ. 16.

[10] AMBEBI.GE

[11] ამჟამად ეს კავშირი იწოდება „მსოფლიო კონსერვაციის კავშირად“. მისი როლი დიდია ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებების მომზადებაში, რომლებიც ეხება გადაშენების გზაზე მყოფ სახეობათა დაცვის საქმეში ხელშეკრულებათა მომზადებას და იმპლიმენტაცია, ასევე ამზადებს ოფიციალურ ანგარიშებს ველური ბუნების სფეროში ვაჭრობის შესახებ და აწვდის მათ CITES-ის სამდივნოს (დეტალურად იხ. ს. ფიფია, ჯაიანი დ. „ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების შინაარსი საერთაშორისო სამართალსა და საქართველოს კონსტიტუციაში“, სტატიათა კრებული-ადამიანის უფლებათა დაცვა:

თუმცა, ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად მაინც დაბეჯითებით შეიძლება თქმა, რომ საერთაშორისო გარემოსდაცვითი, სამართლის თანამედროვე ერას დაწყება დაკავშირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტოკჰოლმის 1972 წლის დეკლარაციასთან „ადამიანური გარემოს შესახებ“, რადგან დეკლარაციამ, რომლის მიღებაშიც მსოფლიოს 113 სახელმწიფო მონაწილეობდა, საფუძველი დაუდო ამ მიმართებით გაეროს ახალი ორგანო შექმნას და შეიმუშავა გაერთიანებული ერების გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP).¹² შედეგად კი მივიღეთ ის, რომ მიმდინარეობს აქტიური მუშაობა რათა დაბალანსდეს პოტენციურად თითქოსდა შეუთავსებადი ორი მიზანი, კერძოდ ერთის მხრივ ადამიანის ჯანმრთელობა და ბუნებრივი რესურსების დაცვა, ხოლო მეორეს მხრივ ეკონომიკური განვითარება.

დასახელებული დეკლარაციის დამსახურებაა ისიც, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში დამკვიდრდა ტერმინი „მდგრადი განვითარება.“ რაც გულისხმობს ისეთ განვითარებას, რომელიც აკმაყოფილებს ამჟამინდელი თაობის მოთხოვნილებას ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს მათი საჭიროების დაკმაყოფილების პროცესში.

ყოველივე ამის შედეგია, რომ თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობა იზიარებს „UNEP“-ის პროგრამის მოთხოვნას მდგრადი განვითარების აუცილებლობის შესახებ რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ უკვე არსებული საზოგადოების არამედ მესამე, ანუ მომავალი თაობის უფლებას ჯანსაღ(სუფთა) გარემოში ცხოვრებასთან დაკავშირებით.^[13]

მეტიც, აშშ-ს ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ელ გორმა, რომელიც გარემოს დაცვის დაუცხრომელი აქტივისტია თავის ცნობილ სიტყვაში „დედამიწა სასწორზე“, გარემოს დაცვა უმთავრეს სტრატეგიულ ამოცანათა რიცხვში მოიხსენია

კანონმდებლობა და პრაქტიკა. (რედაქტორი კონსტანტინე კორკელია), 2018 წელი, გვ. 265-266).

[¹²] Declaration of the United Nations Conference on the Human Environment, Stockholm, 16 June 1972. Principle 21.

[¹³] Bediaoui, Some Unorthodox Reflections on the „Right to Development“, in Snuder and Slinn, international Law of Development Comparative Perspectives (Abindon, 1987), p. 90.

და მოუწოდა მსოფლიო თანამეგობრობას ისეთი პროგრამის შემუშავებისკენ, რომლითაც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი მიუღებელი ტექნოლოგიები^[14].

ანალოგიურად, 1969 წელს მიღებულმა ვენის საერთაშორისო კონვენციამ „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ მოუწოდა ეროვნულ სახელმწიფოებს თავიანთ კანონმდებლობაზე დაყრდნობით უარი არ თქვან საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაზე.

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ გაეროს 1992 წლის საერთაშორისო კონვენციამ, რომელიც რიო-დე-ჟანეიროში ჩატარდა, გაეროს 70 წევრი სახელმწიფოს ხელმოწერით მიიღო „სატყეო პრინციპები“, რომელიც შეივსო 2008 წლის 3 იანვრის #62/98 რეზოლუციით, მასზე ხელმომწერმა სახელმწიფოებმა კინებაცოფლობით ივალდებულეს, რომ შეიმუშავებდნენ დასაბუთებულ სამეცნიერო კრიტერიუმებს ტყეების მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით^[15].

მეტიც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2006 წლის 20 დეკემბრის #61/193 რეზოლუციით 2011 წელი გამოცხადდა ტყეების საერთაშორისო წლად, რაც უნდა გამხდარიყო იმის საწინდარი, რომ საფუძველი ჩაეყრებოდა ტყეების მდგრად მართვას ხოლო ამ ჩანაფიქრის რეალიზაციის გარანტი უნდა გამხდარიყო ერთიანი საერთაშორისო სატყეო სამართლის შექმნა, ანუ უნდა მომხდარიყო ეროვნული სამართლებრივი აქტების უნიფიკაცია იმ დონეზე, რომ შექმნილიყო მოდელოური საერთაშორისო საკანონმდებლო აქტი ამ მიმართებით.

თუმცა, ურთიერთ დაპირებების იქით საქმე არ წასულა და საერთაშორისო თანამშრომლობა ამ სფეროში დღემდე შემოიფარგლება მხოლოდ უსისტემო და ფრაგმენტული საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების არსებობით, რომელთა უმეტესობას დეკლარაციაა, ანუ მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს.

აღნიშნულის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ გაეროს წევრი მთელი რიგი სახელმწიფოები არც თუ დიდი ენთუზიაზმით თმობენ თავიანთ უფლებებს ამ

[14] Эл Гор, Земля на Чаше Весов, Экология и Человеческий Дух. 1999 г. ст.45

[15] Официальный сайт Организации Объединенных Наций <<http://www.un.org/en/events/iyof2011/index.shtml>>. ასევე, Boyd w, ways of seeing in Environmental law: How deforestation became an object of Climate Governance Ecology Law Quarterly. 2010. #37.p.843-916.

მიმართებით და გარემოს დაცვის საკითხებს ანიჭებენ მეორე ხარისხოვან მნიშვნელობას^[16].

დასკვნა

ტყის მრავალფეროვნების დაცვის საქმეში საერთაშორისო ეკოლოგიური თანამშრომლობა უდავოდ დადებითი მოვლენაა. თუმცა, ამ მიმართებით სადღეისოდ განხორციელებული ღონისძიებები, ჯერ კიდევ ვერ პასუხობს მოთხოვნებს და ნაკლებ ეფექტურია, რადგან არსებობენ რიგი განვითარებადი სახელმწიფოები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ გვერდზე უნდა გადადონ გარემოსდაცვითი მცდელობები და უპირატესობა მიაანიჭონ მხოლოდ ეკონომიკურ განვითარებას^[17].

მეტიც, ქმნიან ისეთ კანონმდებლობას, რომლებიც მართლზომიერ ქმედებად აცხადებს ნებისმიერ ნეგატიურ ცვლილებას, მიმართულს ბუნების მთლიანობის დარღვევისკენ. რითაც ფაქტობრივად უარს ამბობენ მასზედ, რომ მათი მოსახლეობა ცხოვრობდეს ჯანსაღ გარემოში, რადგან თუ კანონმდებლობა არ ირღვევა მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაც არ წარმოიშობა და ნეგატიური ცვლილება, რომელიც ზარალს აყენებს ეკონომიკას, საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და მის ჰარმონიულ ურთიერთობას ბუნებასთან, კომპენსირების გარეშე რჩება.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბითაძე მ. - ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების გავლენა ქართულ სამართალზე“; დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი; თბილისი; 2008 წ.;
2. გოცირიძე ლ. - „დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბების მსოფლიო-ისტორიული პროცესი და საქართველოს რეალობა” (ბორჯომ-ხარაგაულის

[¹⁶] Гордеева Е. М. Тенденции развития международного лесного права. [http://Isibac .info/inde.Php/2009-07-10-21-16/2461-2012-04-30-13-05-40?tmpl=co...08.05.2012](http://Isibac.info/inde.Php/2009-07-10-21-16/2461-2012-04-30-13-05-40?tmpl=co...08.05.2012).

[¹⁷] პ. პალანჩუკი, აკერპარსტი. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2005 წელი, გვ. 237-238.

ეროვნული პარკის მაგალითზე); ჟურნალი „სატყეო მოამბე“; დეკემბერი; 2015 წელი; №10, გვ. 27-28;

3. ფიფია ს. და ჯაიანი დ. - „ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების შინაარსი საერთაშორისო სამართალსა და საქართველოს კონსტიტუციაში“; სტატიათა კრებული-ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა; (რედაქტორი კონსტანტინე კორკელია); 2018 წელი, გვ. 262;

4. Convention on Nature Protection and Preservation in The Western Hemisphere (Washington D.C., Oct. 12, 1940);

5. 1868 წლის „პეტერბურგის დეკლარაცია“;

6. 1907 წლის ჰააგის კონვენცია „სახმელეთო ომების კანონებისა წესების შესახებ“;

7. 1933 წლის ლონდონის კონვენცია „ფლორისა და ფაუნის მათი წარმოშობის ქვეყანაში დაცვის შესახებ“;

8. ვაშინგტონის 1940 წლის კონვენცია „დასავლეთ ნახევარსფეროში გარემოსა და ველური ბუნების დაცვის შესახებ“;

9. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტოკჰოლმის 1972 წლის დეკლარაცია „ადამიანური გარემოს შესახებ“;

10. A. Kiss and D. Shelton - International Enviromental Lav , 3rd ed. New York, 2004, 25;

11. Declaration of the United Nations Conferenge on the Hunam Environment, Stockholm, 16 Iune 1972. Principle 21;

12. Bediaoui, Some Unorthodox Reflections on the „Right to Development“, in Snuder and Slinn, imternational Law of Development Comparative Perspectives (Abindon, 1987), p. 90.;

13. Официальный сайт Организасии Овьединеных Наций< http://IWWW.un.org/en/events/iyof2011/index_shtme>;

14. Boyd w, ways of geeing in Environmental law: How deforestation became an obiect of Climate Governancell Ecology law Quarter ly. 2010. №37.p.843-916;

15. Я на Чаше Весов, Экология и Человеческий Дух. 1999 г. ст.45;

16. Гордеева Е. М. Тенденции развития международного лесного права. [http://Isibac .info/inde.Php/2009-07-10-21-16/2461-2012-04-30-13-05-40?tmpl=co...08.05.2012](http://Isibac.info/inde.Php/2009-07-10-21-16/2461-2012-04-30-13-05-40?tmpl=co...08.05.2012);

17. პალანჩუკი პ., აკერპარსტი - თანამედროვე საერთაშორისო სამართალი; თბილისი; 2005 წელი.

OREST EXPLOITATION AS A CAUSE INHIBITING PLANT DIVERSITY AND INTERNATIONAL COOPERATION FOR ELIMINATION OF THE CONSEQUENCES THEREOF

Temur Moniava

Abstract

Preservation of forest diversity remains a global challenge. The root cause of the aforesaid is the forest exploitation, inflicting irreparable damage to the forest cover and the environment, in general. Mankind has tried to solve this problem through joint environmental cooperation. However, the measures that have been taken so far are not in line with the set requirements and are less effective. Therefore, this paper raises the issue of the need for intensifying international cooperation in the field of ecology.

ЭКСПЛУАТАЦИЯ ЛЕСА, КАК ПРИЧИНА ПРЕПЯТСТВУЮЩАЯ РАЗНООБРАЗИЮ РАСТИТЕЛЬНОГО МИРА И МЕЖДУНАРОДНОЕ ЭКОЛОГИЧЕСКОЕ СОТРУДНИЧЕСТВО, НАЦЕЛЕННОЕ НА УСТРАНЕНИЕ ЕГО ПОСЛЕДСТВИЙ

Темур Мониава

Резюме

Сохранение разнообразия лесного покрова является проблематичным во всем мире. Основная причина вышесказанного – эксплуатация леса, при которой наносится непоправимый ущерб лесному покрову и экологии, в целом. Человечество пыталось решить данную проблему путем совместного экологического сотрудничества. Однако принятые меры по-прежнему не отвечают требованиям и являются менее эффективными. Соответственно, в данной работе поднимается вопрос о необходимости активизации международного сотрудничества в сфере экологии.

**ტყის ექსპლუატაციის პროცესში მიყენებული
ეკოლოგიური ზიანის აღმოჩენის, დაფიქსირებისა და
შეფასების პროცესში არსებული პრობლემები
და მათი აღმოფხვრის გზები
უპილოტო საფრენი აპარატი “დრონის” და
სხვა საშუალებების გამოყენებით
თემურ მონიავა***

**დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №71, 0175,
თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ტყის ექსპლუატაციის პროცესში მიყენებული ზიანის კომპენსირების საკითხი პრობლემად რჩება. რასაც არა მხოლოდ ის გარემოება განაპირობებს, რომ მიყენებული ეკოლოგიური ზიანის შეფასების პრიორიტეტულ ფორმად ზიანის ანაზღაურების ფულადი, ანუ მონეტარული შეფასება გამოიყენება, არამედ ისიც, რომ ტყის მცენარეული საფრისათვის ზიანის ოდენობის ზუსტად განსაზღვრის მიზნით არ ხდება თანამედროვე ტექნიკური საშუალებების, კერძოდ „დრონი“-ს გამოყენება. ისევე, როგორც დაბალია ეკოლოგიური აუდიტის და ეკოლოგიური ექსპერტიზის ეფექტურად გამოყენების მაჩვენებელი. შესაბამისად, შეთავაზებულია წინადადებები ამ მიმართებით მდგომარეობის გამოსასწორებლად.

საკვანძო სიტყვები: ტყე, ექსპლუატაცია, ეკოლოგია, აუდიტი, ექსპერტიზა, ტექნიკა, “დრონი”.

საკვლევ თემასთან დაკავშირებით მოძიებულმა მასალებმა და არსებულმა სასამართლო პრაქტიკამ ცხადყო, რომ ტყის დაცვა და მისი ექსპლუატაციის პროცესში მიყენებული ეკოლოგიური ზიანის აღმოფხვრა ან/და არსებული მდგომარეობის შერბილება, მოითხოვს, როგორც ეკონომიკის, ისე სოციალური,

პოლიტიკური, კულტურული და სხვა მასთან დაკავშირებული პრობლემის კომპლექსურად გადაწყვეტას¹⁸.

არავინ დავობს, რომ ამ პრობლემათა შორის ერთ-ერთი უმთავრესია მიყენებული ზიანის სამართლებრივი შეფასების ფორმის სწორად შერჩევა, მაგრამ მავდროულად ყურადღების მიღმა რატომღაც რჩება საკითხი იმის შესახებ, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ ქვეყნის მასშტაბით დომინანტურ ადგილს დაიკავებს ზიანის შეფასების ნატურით ანაზღაურების ფორმა, იგი დადებით შედეგს ვერ გამოიღებს, თუ:

- ა) რეალურად არ შეფასდა მიყენებული ზიანის ოდენობა;
- ბ) არ გატარდა ქმედითი ღონისძიებები მათი დროულად აღმოჩენის მიზნით;
- გ) ვალდებული პირისთვის ტყის რესტიტუციის დაკისრების შემდეგ არ გადამოწმდა მის მიერ ამ ვალდებულების რეალურად შესრულების მდგომარეობა და აშ.

ამ საქმეში უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება კი შეუძლია სათანადო ცოდნით აღჭურვილ საზოგადოებას თუ მოქმედი კანონმდებლობით მას მიეცემა გარემოს გაჯანსაღების პროცესში უფრო აქტიურად ჩარევის უფლებამოსილება.

თუმცა, ტყის და ზოგადად ჯანსაღი გარემოს შენარჩუნების საქმეში ასევე აუცილებელია, მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში აპრობირებული ისეთი ინსტიტუტების გამოყენება, როგორცაა:

- ა) ეკოლოგიური აუდიტი და ეკოლოგიური ექსპერტიზა;
- ბ) მიყენებული ზიანის შეფასებისათვის, კი ნაცვლად დღეს არსებული მეთოდისა¹⁹, რაც ძნელად აღსაქმელ ფორმულებთანაა დაკავშირებული, ისეთი გეოგრაფიულ-ინფორმაციული სისტემების გამოყენება, როგორცაა თანამედროვე ტექნიკის მიღწევები, მათ შორის, უპილოტო საფრენი აპარატი „დრონი.“

მან ეს სახელწოდება მიიღო ინგლისური სიტყვიდან „drone“ („მამალი ფუტკარი“) და შეუძლია შესაბამისი ფოტო და ვიდეო გადაღებების გზით გეოგრაფიულად ისეთი ადგილების დათვალიერება, რომლებიც ადრე მიუვალ

¹⁸ Лямеборщай С. Х. Пугаев А. С . Методика и программа определения экологического ущерба в лесу, ჟურნალი „Экология и человек“ 2005 წლის #4. გვ.29.

¹⁹ იხილეთ იგივე დასახელების ნაშრომი. გვ. 29-32.

ადგილებად ითვლებოდა და, რაც მთავარია იძლევა საშუალებას განისაზღვროს ექსპლუატაციის რაიონში ექსპლუატაციის დაწყებამდე და რეაბილიტაციის შემდგომ არსებული ეკოლოგიური მდგომარეობა.

ტყის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ეკოლოგიური ზიანის აღმოჩენა-დაფიქსირების პროცესში არსებული პრობლემების გადაწყვეტის საქმეში, რომ მნიშვნელოვანი როლი შეუძლია ითამაშოს უპილოტო საფრენმა აპარატმა „დრონიმ“, თანაც მისი გამოყენება ეკონომიკურადაც მომგებიანია იქიდანაც ჩანს, რომ უპილოტო საფრენ აპარატ „დრონს“ შეუძლია გამოათავისუფლოს დღეში ათამდე დასაქმებული მაინც, რასაც ემატება ის, რომ ტყის მიწისზედა მონიტორინგის იდეა თანდათანობით მკვიდრდება სხვა ქვეყნებშიც^[20].

არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ეს ტექნიკური საშუალება გაცილებით ეფექტური შეიძლება იყოს ზოგადად ტყის დაცვის საქმეში, მით უფრო, მაშინ თუ ამ ტექნიკური საშუალებით ისარგებლებენ ეკოლოგიური აუდიტის და ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩამტარებელი სუბიექტები.

თუმცა, ამ შემთხვევაშიც თავს იჩენს კიდევ ერთი პრობლემა, რაც დაკავშირებულია ქვეყნის მასშტაბით ეკოლოგიური აუდიტის და ეკოლოგიური ექსპერტიზის ჯერ კიდევ დაბალი ეფექტურობით გამოყენებასთან.

ეს მით უფრო აუხსნელია, რადგან ზოგადად ზიანის მიყენების შემთხვევაში, კონკრეტულ პირთათვის დაკისრებული ვალდებულების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგის საქმეში დიდი როლი უნდა ეთამაშა აუდიტს და ექსპერტიზას. მეტიც, ისინი შეიქმნა სწორედ ამ მიზნით თუმცა, როგორც კვლევებმა აჩვენა, გაძლიერების ნაცვლად ადგილი აქვს სატყეო საქმიანობის პროცესში ამ ინსტიტუტების, განსაკუთრებით კი ეკოლოგიური ექსპერტიზის, როლის შემცირებას^[21].

[²⁰] Нагулевич В. В., „Наземный мониторинг лесов“ სამეცნიერო ნაშრომების კრებული მოსკოვი 2008 წელი. გვ. 23-23 და 5-9.

[²¹] ლომიძე ჯ., მონიავა თ. სატყეო საქმის ექსპერტიზა“ ჟურნალი „სატყეო მოამბე“, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, დეკემბერი, 2015 წელი, #10, გვ. 22. ასევე, მონიავა თ. სამაგისტრო ნაშრომი თემაზე „სატყეო საქმის აუდიტი და ექსპერტიზა“ 2016 წელი. გვ. 61-84 და 84-97.

საქმე იმაშია, რომ მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, ახალი ობიექტების დაგეგმვისა და გაშენების პროცესში ეკოლოგიური ექსპერტიზის როლი რეგულირდება კანონით „სახელმწიფო ექსპერტიზის შესახებ.“ თუმცა, ეკოლოგიური ექსპერტიზა ამ შემთხვევაში ეყრდნობა მხოლოდ მისთვის წარდგენილ დოკუმენტებს, ანუ იმის გარკვევითაა დაკავებული ეს დოკუმენტები ფორმალურად აკმაყოფილებს თუ არა არსებულ სტანდარტებს, ხოლო ქაღალდზე ასახული ვითარების რეალურთან შესაბამისობის დადგენის ვალდებულება მას არ გააჩნია.

ყოველივე ზემოთქმულს ცხადყოფს თუნდაც ის, რომ ეკოლოგიური ექსპერტიზის კვლევის საგანია:

- ა) სამეწარმეო და სამეურნეო საქმიანობა;
- ბ) განსახლებისა და განვითარების გეგმებისა და პროექტების განხორციელება;
- გ) ინფრასტრუქტურული პროექტები;
- დ) განაშენიანებისა და სექტორული განვითარების გეგმები;
- ე) საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყლის, ტყის, მიწის, წიაღის და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვის, გამოყენებისა და სარგებლობის პროგრამები და ა.შ.

მარტივად, რომ ვთქვათ ამ შემთხვევაში სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის გაცხადებული მიზანია უზრუნველყოს კონტროლი გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებაზე, ამასვე ადასტურებს მისი საქმიანობის ძირითადი პრინციპებიც, რომლებიც მოიცავს:

- ა) ეკოლოგიური საშიშროების რისკების შეფასებას;
- ბ) გარემოზე შესაძლო ზეგავლენის კომპლექსურად შეფასებას;
- გ) გარემოსდაცვითი მოთხოვნებისა და გარემოს დაცვის ნორმების გათვალისწინებას;
- დ) ექსპერტიზის დასკვნის დასაბუთებულობას და კანონიერებას;
- ე) საზოგადოების მონაწილეობას და მისი აზრის გათვალისწინებას.

თუმცა, ამ მიზნის პრაქტიკულად ხორცშესხმა გამწელებულია იმით, რომ სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული ობიექტებია:

- ბუნების დაცვის ნორმატიული და ტექნიკური დოკუმენტები;
- ბუნებაზე მოქმედი ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა-გამოყენების თაობაზე ტექნიკური დოკუმენტები;
- დაცულ ტერიტორიებზე გამიზნული სამშენებლო და სარეკონსტრუქციო ობიექტების დოკუმენტები;
- სამეურნეო ობიექტების სამშენებლო და სარეკონსტრუქციო პროექტების ცვლილებები;
- ინფრასტრუქტურული (ურბანიზაციის და ქალაქდაგეგმარების, მრეწველობის, ენერგოსისტემების, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურების განვითარების პროგრამებისა და დასახლებული პუნქტების გამწმენდი ნაგებობების, საავტომობილო გზების, რკინიგზებისა და აეროდრომების, ხიდებისა და ესკალატორების, ნებისმიერი დანიშნულების მაგისტრალური მილსადენების, საზღვაო პორტებისა და ტერმინალების, მეტროპოლიტენის, მიწისქვეშა საავტომობილო და სარკინიგზო კომუნიკაციების და აშ) განსახლების, განაშენიანებისა და სექტორული განვითარებისა და პროგრამების, საწარმოო ძალთა განვითარებისა და განთავსების სქემების, გეგმებისა და პროგრამების პროექტებში ექსპერტიზის ჩატარების წესი.

ანუ, აშკარაა, რომ ეკოლოგიურ ექსპერტიზას რეალურად არ შეუძლია ასახოს ტყის ექსპლუატაციის პროცესში მცენარეული საფარისთვის მიყენებული ზიანი და მისი რეაბილიტაციის მასშტაბები, რადგან მისთვის წარდგენილი დოკუმენტებში, განსაკუთრებით მაშინ თუ მას ადგენს არაკეთილსინდისიერი, მაგრამ პროფესიონალი პირი, ფორმალურად ყველაფერი წესრიგშია.

ვითარებას ვერ ცვლის ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის იმ ვალდებულების დაკისრებაც, რომლითაც ეკოლოგიური ექსპერტიზის ამოცანაა მოიძებნოს ყველაზე ოპტიმალური და ეკოლოგიურად მყარი გადაწყვეტილება გარემო პირობებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის ზიანის გარეშე მიღებულ იქნეს საჭირო სამეურნეო და სოციალური ეფექტი.

მით უფრო მაშინ, როცა რეალურად ეკოლოგიურ ექსპერტიზას მის წინაშე მდგარი მიზნებისა და ამოცანებიდან გამომდინარე ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება უწევს ისეთ ხელშემშლელ პირობებში, რაც დაკავშირებულია:

ა) სამეურნეო პროექტების კომპლექსური ექსპერტიზის აპრობირებული მეთოდების უქონლობასთან;

ბ) დასაპროექტებელ ობიექტთა გარემოზე ზემოქმედების შენიღბულ ხასიათთან;

გ) წარდგენილ დოკუმენტთა სავარაუდო ბუნებიდან გამომდინარე საწყისი მონაცემების არასაიმედოობასთან და სხვა.

მეტიც, სხვადასხვა პროექტთან დაკავშირებულ ეკოლოგიურ ექსპერტიზაში ხშირად გათვალისწინებულია ობიექტისა და ბუნების დაცვითი ღონისძიებების ხელოვნური შერწყმა, თანაც ეს ხდება ყოველგვარი მეცნიერულად დასაბუთებული კომპრომისული შეჯერება-გადაწყვეტის გარეშე.

ჩამოთვლილ და სხვა თანმხვედრ პრობლემათა მოგვარების შემთხვევაში კი, რაც უკავშირდება ეკოლოგიური ექსპერტიზის როლის გაზრდას, ამ ინსტიტუტს, როგორც ტყისთვის ექსპლუატაციის პროცესში მიყენებული ზიანის შეფასების საშუალებას, მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ქვეყნის ეკოლოგიური სტაბილურობის საქმეში.

რასაც თუნდა ის გარემოება ცხადყოფს, რომ მოქმედ ეკოლოგიურ ექსპერტიზას საფუძვლად უდევს მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის ზოგიერთი ისეთი პრინციპი, რომლებიც კომპიუტერზე დიალოგის რეჟიმში საშუალებას იძლევა შეფასდეს შერჩეულ გადაწყვეტაზე მოქმედი ფაქტორები (ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, სოციალური და სხვა), ამათუიმ ობიექტის აგების შედეგად მოსალოდნელი მავნე შედეგები, რისკის ხარისხი და აშ.

ამასვე ადასტურებს ისიც, რომ ე.წ „კომპიუტერზე დიალოგისთვის“ აუცილებელია გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, რაც თავის თავში მოიცავს სრულფასოვანი „სცენარის“ წინასწარ შედგენას ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა:

1) ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, რაც გულისხმობს სავარაუდო ობიექტების მშენებლობის, ექსპლუატაციის ან ავარიის დროს გამოწვეულ დაავადებებს, უბედურ შემთხვევებს და სიკვდილიანობის შესაძლებლობებს;

2) გარემოზე ზემოქმედება - იგი მოიცავს ბუნების ცალკეული კომპონენტების მოსალოდნელ ცვლილებებს (განადგურება, დაბინძურება);

3) სოციალურ ფაქტორებს - ანუ, ობიექტის გავლენას მოსახლეობის მიგრაციაზე, ისტორიულ ძეგლებზე, ტურიზმზე და აშ.;

4) ეკონომიკურ ფაქტორებს - რაც მოიცავს ობიექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს უსაფრთხოებისა და საიმედოობის მიზნით გაწეულ ხარჯებს;

5) საზოგადოებრივ აზრს - იგულისხმება ტყის ექსპლუატაციის თაობაზე არსებული აზრი, რომელიც დაკავშირებულია გარემოს დაცვის საკითხებთან.

როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილი ფაქტორები იყოფა 2 ჯგუფად. პირველი ფასდება რაოდენობრივად მიღებული განზომილებებით (შეფასებითი), მე-2 ჯგუფი კი სავარაუდო ობიექტის ესთეტიკურ ზემოქმედებას (მოსახლეობის დისკომფორტს) განსაზღვრავს.

ამდენად, ეკოლოგიურ ექსპერტიზას თუ მოეხსნება ხელშემშლელი ფაქტორები და რეალურად იქნება დაკავებული ტყის ექსპლუატაციის პროცესში მიყენებული ზიანის აღმოჩენის, მისი ოდენობის დადგენა-დაფიქსირების უფლებამოსილებითაც და ამ მიზნით გამოიყენებს უპილოტო საფრენ აპარატ “დრონს,“ ამით არსებული პრობლემა მნიშვნელოვანწილად გადაწყდება და ქვეყნის მოსახლეობა იცხოვრებს კონსტიტუციით გარანტირებულ ჯანსაღ გარემოში.

დასკვნა

ეკოლოგიური ექსპერტიზა ეკოლოგიური მოთხოვნილებების დაცვის საიმედო გარანტად, რომ იქცეს წინამდებარე ნაშრომით დასახული კვლევის მიმართულებით ექსპერტიზების ჩამტარებელ პირებს უნდა ეკისრებოდეთ ვალდებულება კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში უშუალოდ გაეცნონ არსებულ მდგომარეობას და არ იყვნენ დამოკიდებული მათთვის მიწოდებულ მხოლოდ

დოკუმენტებზე, ასევე მათ უნდა ჰქონდეთ იმის შესაძლებლობა, რომ ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებისას, ტყის ექსპლუატაციის შედეგად მიყენებული ეკოლოგიური ზიანის შესაფასებლად მაქსიმალურად გამოიყენებენ უპილოტო საფრენი აპარატი “დრონი.“

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Лямеборщай С. Х., Пугаев А. С. - Методика и программа определения экологического ущерба в лесу, ჟურნალი „Экология и человек“ 2005 წლის №4. გვ.29;
2. Нагулевич В. В. - „Наземный мониторинг лесов“ სამეცნიერო ნაშრომების კრებული; მოსკოვი; 2008 წ.; გვ. 23-23 და 5-9;
3. ლომიძე ჯ., მონიავა თ. - „სატყეო საქმის ექსპერტიზა“; ჟურნალი „სატყეო მოამბე“; საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი; დეკემბერი; 2015 წელი; №10; გვ. 22;
4. მონიავა თ. - სამაგისტრო ნაშრომი თემაზე „სატყეო საქმის აუდიტი და ექსპერტიზა“; 2016 წ.;
5. ლომიძე ჯ., ხუნწარია მ., მონიავა თ. - „თბილისის შემოგარენის დაბალპროდუქტიული ამონაყართი კორომების ბუნებრივი განახლების თავისებურებები“; საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის შრომები; 101; თბილისი; 2015წ.; გვ. 37-42;
6. მონიავა თ. - „ტყის, როგორც გარემოს გლობალური ეკოლოგიური მნიშვნელობის ელემენტის მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად განხორციელებული ღონისძიებების ეფექტურობის პრობლემა თანამედროვე საქართველოში“; ყოველკვარტალური საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი-ახალი ეკონომისტი; №1-2, 2020 წ.; გვ. 41-45;
7. მონიავა თ. - „ტყის ექსპლუატაციის პროცესში მცენარეული საფარისთვის მიყენებული ეკოლოგიური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი ფორმების გამოყენების თაობაზე დასკვნები და ამ მიმართებით არსებული ვითარების სრულყოფასთან დაკავშირებით წინადადებები“; ყოველკვარტალური

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი-ახალი ეკონომისტი; №1-2; 2020 წ.; გვ. 75-79.

**PROBLEMS IN THE PROCESS OF IDENTIFICATION,
RECORDING AND ASSESSMENT OF ENVIRONMENTAL
DAMAGE CAUSED AS A RESULT OF FOREST
EXPLOITATION AND THE WAYS TO ELIMINATE THEM
USING THE UNMANNED AERIAL VEHICLE "DRONE", AS
WELL AS BY OTHER MEANS**

Temur Moniava

Abstract

The issue of compensation for damage inflicted to forest during its exploitation still remains a problem. One of the reasons is that such technical means as “drone” has not been used for determining environmental damage. The rate of effectiveness of application of the environmental audits and environmental expertise is also low. Therefore, it is suggested in the paper that a person conducting this expertise shall familiarize with the situation on the ground and be able to use a “drone” unmanned aerial vehicle.

**ПРОБЛЕМЫ В ПРОЦЕССЕ ВЫЯВЛЕНИЯ,
ФИКСИРОВАНИЯ И ОЦЕНКИ ЭКОЛОГИЧЕСКОГО
ВРЕДА, ПРИЧИНЁННОГО В ХОДЕ ЭКСПЛУАТАЦИИ
ЛЕСА И СПОСОБЫ ИХ УСТРАНЕНИЯ ПРИ ПОМОЩИ
БЕСПИЛОТНОГО ЛЕТАТЕЛЬНОГО АППАРАТА «ДРОН»,
А ТАКЖЕ ДРУГИХ СРЕДСТВ**

Темур Мониава

Резюме

Вопрос возмещения вреда, причинённого лесу в процессе эксплуатации, все еще остается проблемой. Причина заключается также в том, что для определения экологического вреда не используется техническое средство “дрон”. Также является низким и показатель эффективности использования экологических аудитов и экологической экспертизы. Таким образом, в статье предлагается следующее: лицо, проводящее данную экспертизу, должно ознакомляться с существующим положением на месте и иметь навыки использования беспилотного летательного аппарата ”дрон“.

უაკ 330; 650.

სატრანსპორტო ორგანიზაციების პრაქტიკაში მმართველობითი აღრიცხვის დანერგვის აუცილებლობა და მისი ავტომატიზაციის პრობლემები მარიამ ზუბიაშვილი*, ნინო მღვდელაძე**

**პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

***დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №71, 0175,
თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: სტატია ეძღვნება სატრანსპორტო ორგანიზაციებში მმართველობითი აღრიცხვის დანერგვის აუცილებლობას და მისი ავტომატიზაციის პრობლემებს. მასში ხაზგასმულია ეკონომიკური ინფორმაციის მნიშვნელობა მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებაში. საუბარია კომპიუტერული საინფორმაციო-მმართველობით სისტემებზე, როგორც მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების ხელშემწყობ კომპიუტერულ სისტემაზე, მისი აგების პრობლემატიკაზე სატრანსპორტო საწარმოებში. ჩამოთვლილია ძირითადი ბიზნეს-პროცესები, რომელთა ავტომატიზაცია უნდა უზრუნველყოს ინფორმაციულ მმართველობითმა სისტემამ, წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები, რომლებიც უნდა შექმნას საწარმოს საავტომობილო მეურნეობის მმართველობითი აღრიცხვის ავტომატიზაციის სისტემამ.

საკვანძო სიტყვები: სატრანსპორტო ორგანიზაცია, ავტომატიზაცია, კომპიუტერული სისტემა, საწარმო.

შესავალი

ნებისმიერი ორგანიზაციის, მათ შორის სატრანსპორტო ორგანიზაციების საქმიანობის მართვა შეუძლებელია სამართავი ობიექტის მდგომარეობის, მისი გარე სფეროსთან ურთიერთობის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის გარეშე. ამ გაგებით ეკონომიკური ინფორმაცია არის მმართველობითი გადაწყვეტილების მომზადების, მიღების და რეალიზაციის პროცესების საფუძველი.

ოპერატიული ინფორმაცია მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველია, იგი ნებისმიერი სამეურნეო სუბიექტისათვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური რესურსია. ჩვეულებრივ, მართვა გულისხმობს კონტროლს, ამიტომ აუცილებელია მმართველ სუბიექტს მართვის ობიექტის შესახებ გააჩნდეს სწორი, ოპერატიული და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია გაზომვადი ინფორმაცია.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე საწარმოში აღრიცხვის სისტემა, როგორც წესი, იყოფა ორ ქვესისტემად - ფინანსური (გარე) და მმართველობითი (შიდა). ასეთი დაყოფა განაპირობა გარე და შიდა აღრიცხვაში მიზნებისა და ამოცანების განსხვავებამ. ფინანსურ და მმართველობით აღრიცხვას შორის განსხვავება განისაზღვრა 1972 წელს აშშ ბუღალტერთა ეროვნული ასოციაციის მიერ დიპლომირებულ მმართველობითი ბუღალტრებისათვის პროგრამის შემუშავების პროცესში. ფინანსური ანგარიშგება ძირითადად განკუთვნილია გარე მომხმარებლებისათვის, იგი არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას, მოიცავს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ სტანდარტულ ინფორმაციას, იგი არ მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რანაირად იყო მიღწეული ასეთი მდგომარეობა [2]. კვალიფიციურად შედგენილი ანგარიშგება მომხმარებელს, როგორებიცაა: ბანკები, ინვესტორები, სახელმწიფო საგადასახადო ორგანოები, ეხმარება გადაწყვეტილების მიღებაში, თუმცა ვერ ეხმარება მაღალი რგოლის მენეჯერებს სწორი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებაში. ამისათვის გამოიყენება მმართველობითი აღრიცხვა, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვისაგან განსხვავებით, ყოველთვის წარმოადგენს საწარმოს როგორც ერთ მთლიანობას და გამოიყენებს ეკონომიკური სუბიექტის სამეურნეო საქმიანობის ფაქტიურად განხორციელებული მოვლენების შესახებ მონაცემებს. მმართველობითი აღრიცხვა ორიენტირებულია უზრუნველყოს ფირმის ხელმძღვანელობა აუცილებელი და სწორი ინფორმაციით გადაწყვეტილების მისაღებად. ამგვარად, იგი არის იდენტიფიკაციის, გაზომვის, შეკრების, სისტემატიზაციის, ანალიზის, ინტერპრეტაციის და მართვისათვის აუცილებელი ინფორმაციის

ხელმძღვანელობაზე გადაცემის სისტემა [2]. მმართველობითი აღრიცხვის კომპიუტერული საინფორმაციო-მმართველობითი სისტემა (სმს) სხვა არაფერია, თუ არა როგორც მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების ხელშემწყობი კომპიუტერული სისტემა. მაგრამ, იმისათვის, რომ შევქმნათ ასეთი სისტემა აუცილებელია, ჯერ ერთი, სწორად მოვაწყოთ მმართველობითი აღრიცხვა, და მეორე, სწორად შევარჩიოთ პროგრამული პროდუქტი, რომელიც შეძლებს მის ავტომატიზირებას. ვერც ერთი პროგრამული გადაწყვეტა ვერ შეძლებს საწარმოში შექმნას მმართველობითი აღრიცხვის სისტემა, თუ არ არის მეთოდика, ხელმძღვანელის ნება მის რეალიზაციაზე. მაგრამ, ისიც სწორეა, რომ პროგრამული პროდუქტის არასწორად შეჩვენას შეუძლია „წყალში ჩაყაროს“ მენეჯერების ძალისხმევა და უფრო მეტიც, ხელმძღვანელის თვალში მოახდინოს მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების ხელშემწყობი პროგრამული სისტემის დისკრედიტაცია. სწორედ ამ ფაქტორების სწორად შეთანაწყობა - მმართველობითი აღრიცხვის სისტემა და პროგრამული გადაწყვეტა - გვაძლევს იმას, რომ კომპანიის ტოპ-მენეჯმენტი იწყებს სწორი და სრული ინფორმაციის დროულად მიღებას, რომელიც აუცილებელია ორგანიზაციის საქმიანობაში პრიორიტეტების განლაგებისათვის და მისი შემდგომი საქმიანობის დაგეგმვისათვის. ასეთი სისტემა იძლევა ბაზას ცალკეული ქვედანაყოფების საქმიანობის ეფექტურობის შეფასებისათვის, ახალი შესაძლებლობების ანალიზისათვის, ამარაგებს ხელმძღვანელობას მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე კონტროლის ქმედითი მექანიზმებით [6].

განვიხილოთ მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების ხელშემწყობი სისტემის აგების პრობლემატიკა საწარმოსათვის, რომელსაც გააჩნია საკუთარი საავტომობილო მეურნეობა. ავტომეურნეობა - საკმაოდ რთული ეკონომიკური ორგანიზმია, იგი მოიცავს იურიდიული პირის სატრანსპორტო საშუალებათა პარკს, რომლის ქვეშაც იგულისხმება როგორც მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები, ასევე ძრავებით და საბურავებით მომარაგებული სპეციალური მოწყობილობა - სატვირთავი, შტაბელერები, რეფრიჟერატორები, გაზონსათიბარები [3]. ამასთან, სატრანსპორტო საშუალების ძრავი სულაც არ არის ვალდებული იყოს შიდა წვის

ძრავი, ეს შეიძლება იყოს ელექტროძრავი ან მისაბმელი - რეფრიჟერატორი. ავტომეურნეობის ტერმინოლოგიაში სატრანსპორტო საშუალებებს შეიძლება მივაკუთვნოთ ლოკომოტივები, მსუბუქძრავიანი თვითმფრინავები, დირიჟაბლები და ცხენიც კი, ისინი არ არიან მომარაგებულები ძრავით. მაგრამ, უფრო ხშირად სატრანსპორტო საშუალებების სახით გამოდიან ავტომობილები, საწარმოს სატრანსპორტო სამსახურისათვის აუცილებელია მძღოლთა მთელი შტატი და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის რეგულარული სამედიცინო კონროლის სისტემა. აუცილებელია ასევე სატრანსპორტო მუშაობის მოწესრიგებული აღრიცხვა: საგზაო ფურცლების გაფორმება, საწვავის და საწვავ-საცხები მასალების (სსმ) ხარჯვის, სათადარიგო და სხვა სახის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების (სმფ), რომლებიც შესაძლებელია საჭირო გახდეს სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და ექსპლუატაციის პროცესში, მათი აღრიცხვა და დაგეგმვა [3]. სსმ და სმფ შენახვისათვის საჭიროა საწყობები. შესაბამისად საჭიროა სასაწყობო სისტემის მოწესრიგება, საჭირო იქნება მეკუჭნავე. რაც შეეხება საწყობების მართვის ავტომატიზირებულ სისტემებს, ბაზარზე პროგრამული გადაწყვეტა არსებობს. დღეისათვის ცნობილია დროის რეალურ რეჟიმში საწყობის მართვის სისტემა Solvo WMS, ასევე სააღრიცხვო სასაწყობო სისტემა, მაგრამ ისინი განკუთვნილია დიდი ორგანიზაციებისათვის, რომლებიც სპეციალიზირებულები არიან სასაწყობო ბიზნესზე, და მათი დანერგვა ავტომეურნეობის საწყობის მართვისათვის არამიზანშეწონილს წარმოადგენს.


მძღოლების, მეკუჭნავეების და ტექნიკური სპეციალისტების გარდა ავტომეურნეობას ესაჭიროვება დისპეჩერები, სამედიცინო მუშაკები, ანალიტიკოსები, ბუღალტრები, ექსპლუატაციის ინჟინრები, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ინჟინრები და სხვა სპეციალისტები [3]. ავტოპარკის თანამშრომელთა, ასევე სატრანსპორტო საშუალებათა ერთობლიობა წარმოადგენს ორგანიზაციის ავტომეურნეობას, და მასში აუცილებელია მმართველობითი აღრიცხვის სისტემის აგება. მმართველობითი აღრიცხვის სისტემის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ არა უბრალოდ შიდა აღრიცხვის წესების ნაკრებს, არამედ პირველადი დაკვირვების წესების ერთობლიობას (ბიზნეს-პროცესებს,

პროცედურებს), აღრიცხვის ობიექტის ღირებულებით და ნატურალური გაზომვის, ავტომეურნეობის საწარმოო საქმიანობის ფაქტორების მიმდინარე დაჯგუფების, განზოგადების და ამ ბიზნეს-პროცესების ხელშემწყობი პროგრამული კომპლექსის ერთობლიობას. ისმის კითხვა, რა ძირითადი დანიშნულება აქვს ასეთ სისტემას? მისი ორი ძირითადი ფუნქციაა - ავტომეურნეობის ბიზნეს-პროცესების ხელშემწყობა და საწარმოს ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა დროული, სწორი, ობიექტური და საკმარისი ინფორმაციით დასაბუთებული მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად. ბიზნეს-პროცესების ხელშემწყობა მიეკუთვნება ოპერატიულ მართვას, ხოლო ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა ოპერატიული მონაცემებით - ინფორმაციულ უზრუნველყოფას, ამიტომ ძალზე ლოგიკური იქნება ასეთ კომპლექს ეწოდოს ინფორმაციულ-მმართველობითი სისტემა (იმს) [6].

ავტომეურნეობის მმართველობითი აღრიცხვის ავტომატიზირებული სისტემის აგების ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა იმს ურთიერთმოქმედება მის მიმართ გარე საინფორმაციო სისტემასთან. ამ პრობლემის გადაწყვეტა დამოკიდებულია განსახილველი საწარმოს სპეციფიკაზე და მათ შორის იმაზე, არის თუ არა იგი დამოუკიდებელი სატრანსპორტო საწარმო, თუ იგი ძირითადი საწარმოს შემადგენლობაში ფუნქციონირებადი სამსახურია და ასრულებს მხოლოდ უზრუნველყოფის ფუნქციას. მაგალითად, დიდ სამშენებლო კომპანიას ესაჭიროება საკუთარი ავტოპარკი, რათა სამშენებლო მოედანი შეუფერხებლად მოამარაგოს სამშენებლო მასალებით, კვების მრეწველობის მსხვილი საწარმოები ასევე უპირატესობას ანიჭებენ გამოიყენონ სატრანსპორტო საშუალებების საკუთარი პარკი თავიანთი პროდუქციის გადასატვირთავად სავაჭო წერტილებში და დისტრიბუციაში. ერთ შემთხვევაში ავტომეურნეობის იმს იქნება დომინირებული ინფორმაციული სისტემა, და მეორეში იგი იქნება საწარმოს კორპორაციული ინფორმაციული სისტემის ქვესისტემა (ERP - სისტემის). ნებისმიერ შემთხვევაში იმს მიმართ გარე სისტემები ასევე იქნებიან ERP - სისტემები [6]. საჭირო გახდება ავტომეურნეობის იმს მონაცემების გაცვლის ორგანიზაციული გადაწყვეტა, როგორც მინიმუმ, საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციულ სისტემასთან (საგადასახადო აღრიცხვა, ძირითადი საშუალებების

აღრიცხვა), პერსონალის მართვის ინფორმაციულ სისტემასთან, რამდენადაც სატრანსპორტო სამსახურის თანამშრომლები არიან საწარმოს თანამშრომლები და მონაცემთა კორპორატიული საცავები. ამგვარად, სათაო საწარმოს ინფორმაციულ სივრცეში ავტომეურნეობის იმს ადგილის ილუსტრირების სპეციალური სქემა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: (ნახ.1)

ავტომეურნეობის მმართველობითი აღრიცხვის ავტორიზაციის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა საწარმოს სატრანსპორტო საწარმოს ბიზნეს-პროცესების ხელშეწყობა. უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ავტომეურნეობის იმს ეს ფუნქცია (შემდგომში სისტემები), ასევე მისი კავშირი მმართველობით აღრიცხვასთან. კლასიკური განმარტების თანახმად, ბიზნეს-პროცესი (ბპ) ერთ-ერთია იმ რამოდენიმე ურთიერთდაკავშირებული პროცესებიდან ან საქმიანობის სახეებიდან, რომლებიც ორგანიზაციული სტრუქტურის შიგნით ერთობლიობაში განახორციელებენ საქმიან მიზანს [4].



ნახ. 1. ავტომეურნეობის იმს ადგილი კორპორატიულ ინფორმაციულ სივრცეში

არსებობს სხვა განმარტებებიც.

ბიზნეს-პროცესი - არის რეგულარულად განმეორებადი ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებების (ოპერაციების, პროცედურების, მოქმედებების) თანმიმდევრობა, რომელთა შესრულების დროს გამოიყენება გარე სფეროს რესურსები, იქმნება ფასეულობები ბიზნეს-პროცესების მომხმარებლებისათვის [4].

ბიზნეს-პროცესების ხელშეწყობა სპეციალიზირებული პროგრამული კომპლექსის მხრიდან, რომელიც პოზიციონირდება როგორც მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაციული სისტემა, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს სხვადასხვა ბიზნეს-პროცესების შესაბამისი დოკუმენტბრუნვის ავტომატიზაციაში [6].

ამის საფუძველზე იმს უნდა განახორციელოს სატრანსპორტო სამუშაოების და მასთან დაკავშირებული ხარჯების აგრეგირებული მონაცემების ავტომატიზირებული შეკრება და დამუშავება ნაწილობრივ ან მთლიანად საწარმოს ყველა რეგიონალური ქვედანაყოფების (იმ შემთხვევაში, როდესაც მას ასეთი ქვედანაყოფები გააჩნია) მიხედვით, გასაღების ქვედანაყოფების ჩათვლით. სისტემის ფუნქციონალმა უნდა განახორციელოს საწარმოს სატრანსპორტო სამსახურის ეფექტური აღრიცხვა და დაგეგმვა საწვავზე, სათადარიგო ნაწილებზე და სხვა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებზე.

გარდა ამისა, სისტემაში აუცილებლად ინდა იყოს გათვალისწინებული შუალედური შედეგების დაგროვების და შენახვის შესაძლებლობა საანგარიშო დოკუმენტებისათვის, ასევე ძველი მონაცემების არქივიზაციის შესაძლებლობა მიმდინარე დასამუშავებელი მონაცემების მასივებიდან მათი გამორიცხვის მიზნით [6].

ჩამოვთვალოთ საწარმოს სატრანსპორტო სამსახურის ძირითადი ბიზნეს-პროცესები, რომელთა ავტომატიზაცია უნდა უზრუნველყოს ინფორმაციულ-მმართველობითმა სისტემამ [3]:

- ავტომეურნეობის თანამშრომელთა საკადრო აღრიცხვა;

- სატრანსპორტო საშუალებების, მათი მდგომარეობის და მუშაობისათვის მათი მზადყოფნის დონის აღრიცხვა (კომპლექტაცია, ტექნიკური მდგომარეობა, ტექნიკური დახასიათება, ადგილმდებარეობა და ა.შ.);

- სატრანსპორტო სამსახურის მიერ შესრულებული სატრანსპორტო სამუშაოების აღრიცხვა (გარბენა, გადაზიდული ტვირტის რაოდენობა);

სიდიდის, პროფილისა და სპეციალიზაციის წარმონაქმნები, როგორცაა ტექნოპარკები, ბიზნეს-ცენტრები, ინოვაციურ-ტექნოლოგიური ცენტრები, კონსალტინგური, ინჟინირული და ლიზინგური საწარმოები და სხვა სტრუქტურები, რომელთა საქმიანობა განეკუთვნება ინოვაციური ციკლის სხვადასხვა ეტაპს.

სხვადასხვა ქვეყნის ინოვაციურ-სამეწარმეო საქმიანობის ინფრასტრუქტურის – ტექნოპარკების, მეცნიერულ-სამრეწველო პარკების, კოოპერატივებისა და სხვათა გამოცდილებამ დაგვანახა:

- ისინი წარმოადგენენ მეცნიერებისა და წარმოების დაახლოების ეფექტიან ფორმას და რადიკალურად წყვეტენ დანერგვისა და კომერციალიზაციის პრობლემას; მინიმუმადე დაჰყავთ “კვლევა-დამუშავება-წარმოების” ციკლის ხარნგმლივობა;

- მასში კომერციულ საწყისებზე წარმატებით გამოიყენება არსებული მოწყობილობანი და ინტელექტი, რომელსაც განაგებს წარმოება და მეცნიერულ-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები;

- სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებისა და მეცნიერთა გამოკვლევების ორგანიზაციას და მათ მეტად საჭირო კონტაქტებს;

- ისინი წარმოადგენენ ეკონომიკური სტიმულირების თანამედროვე მიმართულებას, რომელიც ხელს უწყობს მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციას, მათ განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას;

- საქართველოს პირობებში ინოვაციური სამუშაოების კომერციალიზაციის ყველაზე ეფექტიანი გზა არის მცირე ინტეგრაციული ინოვაციური ფირმების (“ბიზნეს-სათბურები”, ტექნო-პარკები, ინოვაციური კოოპერატივები და სხვ.) განშტოებულ ქსელზე დაყრდნობა, რომელსაც გააჩნია უნარი მოკლე დროში, მინიმალური დანახარჯებით დაამუშაოს კონკურენტუნარიანი, მეცნიერებატევადი პროდუქცია.

პერსონალის მომზადება და გადამზადება ინოვაციური მენეჯმენტის სფეროში. ინოვაციურ სფეროში საქმიანობის აქტივიზაციის უმთავრეს პირობას

წარმოადგენს ამ სფეროში მომუშავე პერსონალის მომზადებისა და გადამზადების საკითხი.

თანამედროვე ბიზნესმენები და მენეჯერები მოქმედებენ სულ სხვა გარემოში, ვიდრე 10-20 წლის წინ. ბევრი მათგანი მწვავედ გრძნობს ახალი ცოდნისა და გამოცდილების შეძენის აუცილებლობას. ამიტომ, პირველ რიგში, აუცილებელია ქართული გარემოს თავისებურებებიდან გამომდინარე ადგილობრივი კადრების აღზრდასა და განათლებაზე ყურადღების ყოველმხრივი გააქტიურება, მართვის თანამედროვე კულტურის დამკვიდრება. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ მართვის ეფექტიანობა, მისი ფორმები უშუალოდ არის დაკავშირებული ქვეყნის სპეციფიკასთან, მის სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ ტრადიციებთან და სხვ.

ღონისძიებები პირველ რიგში მიმართული უნდა იყოს შემდეგ საკითხებზე:

- ინოვაციური საქმიანობისთვის პერსონალის (ხელმძღვანელობა, მეცნიერულ-ტექნიკური პერსონალი) მრავალსაფეხურიანი მომზადება და გადამზადება;
- რეგიონული საგანმანათლებლო ქსელის მხარდაჭერა; კადრების მომზადებისა და გადამზადების მიზნით მასწავლებლების, კონსულტანტების კვალიფიკაციის ამაღლება;
- სასწავლო პროგრამების რეგიონებზე გავრცელების მიზნით, ინტერაქტიული პროგრამებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების მომზადება ელექტრონული და დისტანციური განათლების სისტემის განვითარებისთვის;
- კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემის, განსაკუთრებით აქტუალური სასწავლო კურსების, სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელოების შექმნა და გამოცემა;
- ინოვაციურ-ტექნოლოგიური საქმიანობისა და ინოვაციური მეწარმოების მხარდაჭერის საკითხებში რეგიონული ადმინისტრაციული კადრების მომზადება.

ინფორმაციულ-კომუნიკაციური უზრუნველყოფა. უნდა შეიქმნას ერთიანი ინფორმაციული ციკლი “მეცნიერება-წარმოება-ბაზარი”. ეფექტიანი

ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ ამ ციკლის ყველა ეტაპზე აუცილებელი ინფორმაციული უზრუნველყოფით. ინოვაციური საქმიანობის ინფორმაციულ უზრუნველყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეცნიერულ-ტექნიკური პროდუქციის პოტენციური მწარმოებლებისა და მომხმარებლების დიდ ტერიტორიაზე დაშორებების პირობებში. აღნიშნული საქმიანობის ჩარჩოებში ინფორმაციული უზრუნველყოფის პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია:

- ინფორმაციული ქსელის პროგრამული და აპარატული მხარდაჭერა, რომელიც უზრუნველყოფს ურთიერთმოქმედ სტრუქტურების საქმიანობას;

- მონაწილეთა ინფორმაციული ურთიერთქმედება, მათ შორის გლობალური ქსელის (ინტერნეტი) მეშვეობით;

- ინოვაციური პროცესის ძირითადი ნაწილების (პროექტები, ფირმები, კადრები, რესურსები, პროდუქცია და ბაზრის კონიუნქტურა და ა.შ.) ინფორმაციულ მონაცემთა ბანკების შექმნა;

- ინფორმაციული რეგლამენტებისა და ფორმატების შემუშავება; მათი ჰარმონიზაცია საერთაშორისო ანალოგებთან;

- გადაწყვეტილების გამომუშავების უზრუნველყოფისა და მიღებისათვის ინოვაციური სფეროს სტატისტიკური და ანალიტიკური კვლევა;

- სარეკლამო და საპრეზენტაციო საქმიანობა.

ინოვაციური საქმიანობის განვითარების ეკონომიკური და ფინანსური საფუძვლები. მკაცრი ფინანსური პოლიტიკის პირობებში საწარმოები იძულებულნი არიან რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოიყენონ მოქმედი წარმოების მიმდინარე საჭიროებების დაფინანსებაზე და იშვიათ შემთხვევაში ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიებისა და მენციერებატევადი კონკურენტუნარიანი პროდუქციის ათვისებისთვის.

აქტიური ინოვაციური პოლიტიკის გატარებისთვის საჭიროა მივიღოთ არაორდინალური ზომები.

ბიუჯეტური სახსრების ხარჯვის ეფექტიანობის ასამაღლებლად აუცილებელ კონკრეტულ ღონისძიებებს უნდა მიეკუთვნოს:

1. მხოლოდ იმ ინოვაციური პროექტების დაფინანსება დაუბრუნებლობის საფუძველზე, რომელთაც გააჩნია ზოგად-ეროვნული ხასიათი და გავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ზრდაზე;

2. ნებისმიერი ფორმის საკუთრების მქონე ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ინოვაციური პროექტების სარეალიზაციოდ ბიუჯეტური სახსრების განთავსების საკონკურსო პრაქტიკის გაფართოება, იმ პირობით თუ წარმოდგენილი პროექტები წინ უსწრებენ მსოფლიო მეცნიერულ-ტექნიკურ დონეს. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო და მოზიდული კერძო ინვესტიციები გამოიყოფიან პარიტეტულ საწყისებზე. პროექტების საკონკურსო შერჩევის სისტემის განვითარება მოხდება საწარმოო ინოვაციების ეროვნული ფონდის მეშვეობით, დაბრუნებადობის საფუძველზე. ინოვაციური პროექტების მხარდამჭერ ეფექტიან საბაზრო საშუალებად უნდა გახდეს კრედიტი გირაოს გამოყენებით. აუცილებელია ინოვაციური საქმიანობის გაააქტიურების, მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოების და ექსპერტის ეროვნული პროგრამის შემუშავება, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს:

1. ინოვაციური საქმიანობის ეკონომიკურ-სამართლებრივი უზრუნველყოფის, ინსტიტუციონალური გარდაქმნების, ინოვაციურ სფეროში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის და სტიმულირების მექანიზმის შემუშავებას;

2. ინოვაციურ სფეროში დაფინანსების სისტემის განვითარების, სახელმწიფო, კერძო და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას;

3. ინოვაციური პროექტების შერჩევისა და ფინანსების დაბრუნებადობის საკონკურსო სისტემის შემუშავებას;

4. რეგიონებში და საზღვარგარეთ ინოვაციური ცენტრების, ასევე ინოვაციური მეწარმეობის განვითარების ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტების ქსელის შექმნას;

5. სრული ინოვაციური ციკლის ერთობლიობის და მემკვიდრეობითობის უზრუნველსაყოფად, ინოვაციური პროექტების მართვის ინსტიტუტის შექმნას.

ინოვაციურ-ტექნოლოგიური უსაფრთხოება. ინოვაციურ-ტექნოლოგიური უსაფრთხოება წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს.

ბოლო წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რთული დინამიკა უკიდურესად ნეგატიურად აისახა საქართველოს ინოვაციურ-ტექნოლოგიურ სფეროზე. ქვეყანაში მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია ინტელექტუალური პოტენციალის ემიგრაციის გააქტიურება, მეცნიერულ-საკონსტრუქტორო კადრების დენადობა, უმუშევრობა. მიმდინარეობს ინტელექტუალური კოლექტივების დაშლა.

დასკვნა

ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სირთულეები, რეფორმების კოორდინაციის არასრულყოფილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების გატარების პირობები და სხვა, განაპირობებენ, უცხოეთში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების, ინოვაციებისა და სამრეწველო ტექნოლოგიების უკონტროლო გადინებას. ამასთან, ექსპორტზე კონტროლისა და მისი რეგულირების შესახებ საქართველოში მიღებული აქტები და გადაწყვეტილებები შემოიფარგლება მხოლოდ სტრატეგიული ნედლეულისა და ტექნიკური საშუალებების ექსპორტზე კონტროლით, სამოქალაქო დანიშნულების მარალეფექტიანი ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ექსპორტი კი საერთოდ არ რეგულირდება. მეცნიერულ-ტექნიკურ და ინოვაციურ-ტექნოლოგიურ სფეროში შეიქმნა რამდენადმე ურთიერთსაწინააღმდეგო სიტუაცია, რომელიც განპირობებულია, ერთი მხრივ, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისა და ინფორმაციათა გაცვლის ობიექტური აუცილებლობით ამ სფეროში, ხოლო, მეორე მხრივ, სათანადო ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის არარსებობით, რომელიც აუცილებელია მაღალეფექტიანი სამამულო ინოვაციებისა და ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის ქვეყნის გარეთ არასანქცირებული გადინების აღსაკვეცად.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ქ. კიწმარიშვილი - ინოვაციური მენეჯმენტი; 2016 წ.;
2. თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ., გეგელია დ., - საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, თბილისი, 2011 წ.;

3. Инновационный менеджмент, под ред. С. Ильенковой, М., 2014;
4. Иновационный менеджмент, под ред. В. Горфинкеля, М., 2007;
5. [http: //www.russba.ru/](http://www.russba.ru/)

MEASURES NEEDED FOR THE DEVELOPMENT OF INNOVATIVE ACTIVITIES

Ketevan Kitsmarishvili

Abstact

Industrialized as well as dynamically developed countries have achieved impressive results in recent years with mostly successful innovative-technological activities. At present, the innovative climate in Georgia is unfavorable for these activities. There is no unified innovative state policy, weak innovation infrastructure, limited innovation market and the means of normal economic stimulation of the management of these processes. Financial difficulties in the industrial sector, lack of proper guarantees and difficulties in creating modern and especially high-tech production, unstable pace of development further reduced the interest in innovative activities and led to its gradual shortening.

НЕОБХОДИМЫЕ ДЛЯ РАЗВИТИЯ ИННОВАЦИОННОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ МЕРОПРИЯТИЯ

Кетеван Кицмаришвили

Резюме

Промышленно развитые, а также динамично развивающиеся страны достигли впечатляющих результатов в последние годы, в основном благодаря успешной инновационно-технологической деятельности. В настоящее время инновационный климат в Грузии неблагоприятен для такой деятельности. Отсутствует единая инновационная государственная политика, слабая инновационная инфраструктура, ограниченный рынок инноваций и нормальные экономические стимулы для управления этими процессами. Финансовые трудности в промышленном секторе, отсутствие надлежащих гарантий и трудности с организацией современного и особенно высокотехнологичного производства, нестабильные темпы развития еще больше снизили интерес к инновационной деятельности и привели к его постепенному снижению.

უაკ 330; 650.

საქალაქო ტრანსპორტის დროში განვითარების ანალიზი, რეალობა და პერსპექტივები ინგა გიგაური

**პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*


(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №71, 0175,
თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: თანამედროვე პირობებში სულ უფრო მეტად იზრდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის სოციალური როლი და დანიშნულება. სწორედ მის გამართულ მუშაობაზე დამოკიდებული ეკონომიკის სხვა სექტორების ეფექტური ფუნქციონირება. განვითარებული ქვეყნების ქალაქებში დაპროექტებისა და მშენებლობის გამოცდილებამ დაადასტურა, რომ სოციალურ-ეკონომიკური, სანიტარულ-ჰიგიენური თუ ეკოლოგიური საკითხები შეიძლება დადებითად გადაწყდეს შიდა საქალაქო ტრანსპორტის, უპირატესად - მეტროპოლიტენის გამტარუნარიანობის გაზრდითა და მიწისქვეშა სივრცის ოპტიმალური ათვისების ღონისძიებათა შემუშავებით. ავტობუსების და მეტროპოლიტენის ინტეგრაციის სტრატეგია უნდა დაეფუძნოს მგზავრთა ვექტორული ნაკადების შესწავლას და მგზავრთა ნაკადის თითოეულ ვექტორზე მეტროპოლიტენისა და მიწისზედა ტრანსპორტის სხვადასხვა მოდალობების არსებული და ზღვრული მგზავრგამტარუნარიანობის ანალიზს თითოეულ მგზავრზე საბიუჯეტო დანახარჯის გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც მოხდება ავტობუსების ქსელის ოპტიმიზაცია და ინტერმოდალური სატრანსპორტო კვანძების ორგანიზება, მათ შორის Park & Ride სისტემის ჩათვლით. თბილისის მეტროპოლიტენის შესაძლებლობების უფრო ეფექტურად გამოყენებისა და ოპერაციული დანახარჯების შემცირების გზით, შევძლებთ შევამციროთ თბილისის შიდასაქალაქო მობილობის სისტემის წინაშე მდგარი გამოწვევები.

საკვანძო სიტყვები: ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემა; ინტერმოდალური სატრანსპორტო კვანძები; მგზავრთა კომფორტის დონის ამაღლების ღონისძიებები; მეტროპოლიტენის გამტარუნარიანობის ზრდის რეზერვები; Park & Ride სისტემების მოწყობა მეტროსადგურებთან; „მომსახურების ხარისხის“ შეფასების მარკეტინგული კვლევის მეთოდი; ტრამვაის - როგორც ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო ტრანსპორტის შესაძლებლობები.

შესავალი

ამერიკის საზოგადოებრივი ტრანსპორტის ასოციაციის (American Public Transportation association-APTA) მონაცემებზე დაყრდნობით, საზოგადოებრივ ტრანსპორტში ინვესტირებული ყოველი დოლარი ახდენს 4 დოლარ ეკონომიკურ უკუგებას. ყოველი 10 მლნ. დოლარის კაპიტალდაბანდება 30 მლნ.დოლარით ზრდის გაყიდვებს. ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის სექტორში ყოველი სამუშაო ადგილი დაკავშირებულია ეკონომიკის სხვა სექტორის 4 სამუშაო ადგილთან. თბილისის მეტროპოლიტენის შესაძლებლობების უფრო ეფექტურად გამოყენებისა და ოპერაციული დანახარჯების შემცირების გზით, შევძლებთ შევამციროთ თბილისის შიდასაქალაქო მობილობის სისტემის წინაშე მდგარი გამოწვევები. ქუჩების გადატვირთულობა საავტომობილო ტრანსპორტით და საცობებით დღეს თბილისში მობილობის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. სატრანსპორტო საშუალების საშუალო დატვირთვისას (მაქსიმალური შესაძლო დატვირთვის 50% პროცენტი), მსუბუქი ავტომობილით გადაადგილებისას, ერთი მგზავრი იყენებს 6.5-ჯერ მეტ, ხოლო სამარშრუტო ტაქსით გადაადგილებისას – 2.1-ჯერ მეტ ფართობს გზაზე, ვიდრე ავტობუსით გადაადგილებისას. იხ სურ. #1 სურათი №1. ერთი მგზავრის მიერ გამოყენებული გზის ფართი, კვ. მ. (სატრანსპორტო საშუალების 50% დატვირთვისას)



დღეისათვის საქალაქო გადაზიდვების 50% მეტი მცირე ტევადობის სამარშრუტო ტაქსებზე მოდის, დანარჩენი კი მცირე და საშუალო ტევადობის ავტობუსებზე და მეტროპოლიტენზე. ცხადია რომ, ტრანსპორტით გადატვირთული ქალაქის მაგისტრალზე არსებული მდგომარეობა მოითხოვს ისეთ რეგულირებას, რომელიც მოგვცემს ჩქაროსნული, ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო ტრანსპორტის – მეტროპოლიტენის ზიდვისუნარიანობის მაქსიმალურად გამოყენების საშუალებას, დღეს მისი ზიდვისუნარიანობა მხოლოდ 20-30%-ით არის გამოყენებული და იგი საჭირომგზავრთნაკადის უკმარისობის გამო დოტაციით სარგებლობს. დაკნინებულია მეტროპოლიტენის, როგორც ჩქაროსნული ტრანსპორტის ფუნქცია. მეტროპოლიტენის ხაზების პარალელურად განთავსებულია სამარშრუტო ტაქსების 100-ზე მეტი მარშრუტი. ანალოგიური მდგომარეობაა საავტობუსო ტრანსპორტზე. ერთი შეხედვით ადგილი აქვს სამარშრუტო ტაქსების მიერ სატრანსპორტო ბაზრის მონოპოლიზებას.

ავტომანქანების გამოყენების საშუალო ვადის გათვალისწინებით ნაკლებად არის მოსალოდნელი, რომ 2040 წლისათვის ახალი ტიპის სატრანსპორტო საშუალებები და სუფთა საწვავი რაიმეს არსებითად შეცვლის. ამიტომ, საზოგადოებრივი ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციას (UITP) მიაჩნია, რომ გარემოსდაცვით პოლიტიკაში საზოგადოებრივი ტრანსპორტისათვის პრიორიტეტის მინიჭება უფრო ეფექტურია, ვიდრე სუფთა ტექნოლოგიების ძიება [1].

ქალაქგეგმარების ნორმები კიდევ უფრო ამყარებენ იმ მოსაზრებებს, რომ მილიონიანი ქალაქებისათვის მცირე ტევადობის ტრანსპორტით გადაზიდვების მოცულობა არ უნდა აჭარბებდეს საერთო მოცულობის 8-14%-ს; წინააღმდეგ შემთხვევაში იზრდება ატმოსფეროს დაბინძურება გამონაბოლქვი აირებით და საგზაო სატრანსპორტო შემთხვევათა ალბათობა. მგზავრობის ხანგრძლივობა და გადავსებული ტრანსპორტი იწვევს ე.წ. „სატრანსპორტო დაღლილობას“ და პირდაპირ მოქმედებს მგზავრთა შრომის ნაყოფიერებაზე. კვლევებით დადგენილია, რომ ყოველდღიური სატრანსპორტო დროითი დანახარჯები არ უნდა აღემატებოდეს 1 საათს და 6 წუთს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია

მგზავრებს გაუჩნდეს სხვადასხვა სახის ფიზიოლოგიური დარღვევები. ქალაქში სამარშრუტო ტაქსების რაოდენობა თითქმის 4-5 ჯერ აღემატება ავტობუსებისას, მარშრუტზე მათი მოძრაობის ინტერვალი 5 წუთის ფარგლებშია, მაშინ როდესაც ავტობუსების მოძრაობის ინტერვალი

10-15 წუთია. ის მოლოდინი, რომ სამარშრუტო ტაქსები კონკურენტუნარო აღმოჩნდებოდა და ახალი კომფორტაბელური ავტობუსების შემოყვანა გამოიწვევდა

სამარშრუტო ტაქსებიდან მგზავრთნაკადების გადანაწილებას საავტობუსო ტრანსპორტზე რეალობას მოკლებული აღმოჩნდა. ქალაქის მუდმივი ურბანიზაცია იწვევს საცობების ზრდას. საზოგადოებრივი ტრანსპორტი პირად ავტოტრანსპორტთან შედარებით უფრო ეფექტურად იყენებს ქალაქის სივრცეს, ვინაიდან ახდენს არა მხოლოდ მოსახლეობის გადაადგილებას, არამედ ათავისუფლებს საგზაო სივრცეს. საცობებთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები განვითარებულ ქვეყნებში აღწევს მთლიანი შიდა პროდუქტის 2%-ს, რაც ყოველწლიურად შეადგენს მილიარდობით ევროს, ხოლო განვითარებად ქვეყნებში 3-4% [1] საზოგადოებრივი ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციის მიერ დადგენილია, რომ ერთ საათში 50,000 ათასი ადამიანის ერთი მიმართულებით გადასაყვანად საჭიროა შემდეგი საგზაო სივრცე (სიგანე):

- პირადი ავტომანქანით _ 175 მეტრი;
- ავტობუსით _ 35 მეტრი;
- ლიანდაგიანი ტრანსპორტით _ 9 მეტრი [1] .

შიდასაქალაქო გადაადგილებებში მეტროპოლიტენის წილის ზრდა ხელს შეუწყობდა დამატებითი ფართობის გამოთავისუფლებას, გზების განტვირთვას და საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესებას. შსს-ს მონაცემებით, 2020 წელს თბილისში დაფიქსირდა 2279 ავტოსაგზაო შემთხვევა, დაშავდა 2727 და გარდაიცვალა 70 ადამიანი. საქართველოს მასშტაბით თბილისი ლიდერია რეგიონებს შორის ავტოსაგზაო შემთხვევათა როგორც აბსოლუტური, ასევე ფარდობითი მაჩვენებლებით თითო მოსახლეზე. მეტრო ტრანსპორტის ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო საშუალებაა. თბილისის მეტროპოლიტენში გამოყენებული მოძრაობის

უსაფრთხოების სისტემა ასს-სარ (ავტომატური სალოკომოტივო სიგნალიზაცია სიჩქარის ავტომატური რეგულირებით) გამორიცხავს მატარებლების ერთმანეთთან სახიფათო მანძილზე მიახლოებას და შეჯახებას. მემანქანის მიერ კონტროლის დაკარგვის შემთხვევაში სისტემა ავტომატურად აჩერებს შემადგენლობას, რაც არ ხდება საავტომობილო ტრანსპორტის შემთხვევაში.

დღეს მეტროპოლიტენში უბედური შემთხვევების მთავარი მიზეზი თავად მგზავრების გაუფრთხილებლობა ან სუიციდია. სტატისტიკური მონაცემებით, 2020 წლამდე მეტროპოლიტენში ადგილი არ ჰქონია უბედურ შემთხვევას მსხვერპლით, მხოლოდ 2016 წელს დაიღუპა ერთი ადამიანი.

რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მოსახლეობამ პირად ავტომანქანებისგან განსხვავებით უპირატესობა მიანიჭოს საზოგადოებრივ ტრანსპორტს? აღიარებულია, რომ ამისათვის უნდა იქნეს ამოქმედებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის უპირატესობები, ანუ იგი იყოს:

• მობილური; • უსაფრთხო; • კომფორტული; • იაფი; • პროგნოზირებადი. თუ საზოგადოებრივი ტრანსპორტი დააკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს, მოსახლეობა გააკეთებს არჩევანს მის სასარგებლოდ. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრიორიტეტებია: • ეკონომიკის განვითარება;


- მოსახლეობის მობილობა _ მგზავრთაბრუნვის ზრდა;
- მოძრაობის უსაფრთხოების ამაღლება _ საგზაო შემთხვევების შემცირება;
- საგზაო სივრცის განთავისუფლება _ საცობების შემცირება;
- მგზავრობის ხარისხისა და სერვისის ამაღლება _ კომფორტული მგზავრობა;
- სატრანსპორტო დანახარჯების შემცირება და მგზავრობის ღირებულების

ოპტიმიზაცია;

მეტროთი გადაყვანილი მგზავრთაბრუნვის დინამიკას თუ გავანალიზებთ წინა წლებთან შედარებით, რა თქმა უნდა მკვეთრი კლებაა, კერძოდ: 2010-2014 საანალიზო პერიოდში მეტროპოლიტენს საშუალოდ წლიურად გადაყავდა 90,569,036 მგზავრი (452,845,179/5წ.). ყველაზე მეტი გადაყვანილია 2012 წელს, აღნიშნულ წელს წინა წელთან შედარებით ზრდამ შეადგინა 110%. შემდგომ წლებში

(2013 და 2014) ზრდის ტემპი პრაქტიკულად ერთნაირად მცირდება და ზრდა შეადგენს მხოლოდ 102,9%. მგზავრთა გადაზიდვების სტატისტიკა 2015 წლიდან 2019 წლის ჩათვლით მზარდი ტემპით ხასიათდება, ვიდრე 2020 წლის მარტში მსოფლიო გლობალური პანდემიის კრიზისით გამოწვეული ეკონომიკური შოკი არ მიიღო ჩვენმა ქვეყანამაც, თითქმის ყველა სექტორში, მათ შორის სატრანსპორტო მიმართულებითაც. მეტროპოლიტენით გადაყვანილი მგზავრების სტატისტიკა ასეთია: 2015 წ-102,879530; 2016წ-105,429216-ზრდა წინა წელთან შედარებით-2,5%; 2017 წ- 113,827714-ზრდა 8%-ით 2016 წელთან შედარებით; 2018 წ- 125,708194-ზრდა-10.5%; 2019 წ-137,670377-ზრდა 9.5%; 2020 წ- 69,779656-მკვეთრი ვარდნა 49,4%-ით. იქიდან გამომდინარე, რომ მეტროპოლიტენს თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანაში 20-დან 30 პროცენტამდე წილი უჭირავს, ემსახურება რა საშუალოდ 289 ათას მგზავრს ყოველდღიურად, გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობით მეტროპოლიტენი იკავებს მესამე ადგილს სამარშრუტო ტაქსებისა და მუნიციპალური ავტობუსების შემდეგ, თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემაში. (იხ.სურათი №2)

სურათი №2. მგზავრობების საშუალო დღიური რაოდენობა - ათასი



ტრანსპორტის მარკეტინგის სპეციალისტების [2] მიერ ტრანსპორტის ხარისხის მაჩვენებლები, მცირეოდენი განსხვავების გარდა, ძირითად ჯგუფდება ტექნიკურ-ეკონომიკური, კომფორტისა და ეკოლოგიურობის მახასიათებლების მიხედვით, ხოლო ყოველი მათგანი შესაბამისი ქვემახასიათებლების მიხედვით

ცხრილი №1. სატრანსპორტო მომსახურების ხარისხის მაჩვენებლები და მათი მახასიათებლები

ხარისხის მაჩვენებელი		მახასიათებლები
ტექნიკურ- ეკონომიკური მახასიათებლები	უსაფრთხოება	ტრანსპორტის ტექნიკური საიმედოობა, გამართულად მუშაობა
	სიჩქარე	მგზავრობის ხანგრძლივობა
		მოძრაობის საშუალო სიჩქარე
		გაჩერებების რაოდენობა
	დროულობა	გამგზავრება განრიგის მიხედვით
		მისვლა განრიგის მიხედვით
		მოძრაობის საშუალო ინტერვალი, რიტმულობა
ეკონომიურობა		მგზავრობის ღირებულება
		მგზავრობის მთლიანი დანახარჯები
კომფორტულობა	სერვისული მომსახურება	ავტობუსის სალონის, ან მატარებლის ერთ ვაგონში მგზავრის ფაქტიური ტევადობა (1 მ2)
		წვდომა უნარშეზღუდულებისათვის
		ტემპერატურა, ჰაერის სისუფთავე, ტენიანობა, ხმაურის დონე, ვიზრაცია, სანიტარული მდგომარეობა
		ტრანსპორტის ლოდინის პირობები
	საინფორმაციო მომსახურება	გზაში ყოფნის დრო
		გამგზავრების და მისვლის დრო
		შეთავაზებული მომსახურება და მისი ღირებულება
ეკოლოგიურობა	გარემოს დაბინძურება	მავნე ემისიის დონე [ნახშიროჟანგის (CO2), აზოტის ოქსიდები (NOx)]

ევროპული სტანდარტით [3] (EN 13816) დადგენილია ხარისხის 8 ატრიბუტი: ვარგისიანობა; მისაწვდომობა; ინფორმაცია; დრო; კლიენტთა მომსახურება;

კომფორტი; უსაფრთხოება; გარემოზე ზემოქმედება. ტრანსპორტის მენეჯმენტის პრაქტიკაში სატრანსპორტო მომსახურების მომხმარებლები ხარისხს აფასებენ ფუნქციურ, სოციალურ-ეკონომიკურ და საორგანიზაციო-ტექნიკურ ასპექტში 6 ძირითადი კატეგორიის მიხედვით. ამიტომ, მგზავრთა გადაყვანის ხარისხის დონის შესაფასებლად სპეციალისტების მიერ შემუშავებულია სხვადასხვა ინტეგრირებული მაჩვენებელი, რომელიც გაითვლება შესაბამისი მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდებით. მაგალითად [4],

ხარისხის ერთ-ერთი ინტეგრირებული მაჩვენებელი გაიანგარიშება შემდეგი

$$S = \frac{S_1 + S_2 + S_3 + S_4 + S_5 + S_6}{6},$$

ფორმულით:

სადაც:

S1 - გადაადგილების საიმედოობა (მგზავრობა ზუსტად განრიგით);

S2 - წვდომა (მოდრაობის სიხშირე);

S3 - ტრანსპორტის უსაფრთხოება;

S4 - კომფორტულობა;

S5 - ღირებულებითი მაჩვენებელი (ტარიფი);

S6 - ინფორმაციული სერვისის დონე.

მაჩვენებლები S1 - S6 განსაზღვრულია მგზავრთა გამოკითხვის საანკეტო მონაცემების პასუხების შეფასების რანჟირებით. იდეალური ინტეგრირებული მაჩვენებელი უნდა უდრიდეს 1-ს.

ბიზნეს-პროცესების მოდელირების IDEF0 პროგრამით ახდენენ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების ხარისხის კვლევას მრავალი მაჩვენებლის საფუძველზე, რომელიც მგზავრთა მოთხოვნებსა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფუნქციონირებას შორის კავშირის დადგენისა და მისი მომსახურების ხარისხის შეფასების საშუალებას იძლევა. ასევე, ხარისხის შესაფასებლად გამოიყენება მარკეტინგული კვლევის მეთოდი SERVQUAL (აბრევიატურა „service quality“- „მომსახურების ხარისხი“), რომელიც იძლევა საშუალებას სატრანსპორტო მომსახურების 6 კრიტერიუმი შეფასდეს 22 მაჩვენებლის გათვალისწინებით. [4]

ძირითადი ნაწილი

იმდენად, რამდენადაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში სატრანსპორტო მომსახურებისას მომხმარებლის მოთხოვნაა მომსახურების დროული და ხარისხიანი მიწოდება, მოცემული მოთხოვნის შესრულების ერთ-ერთი წინაპირობაა ლოჯისტიკის, ანუ მმართველი ალგორითმის გამოყენება, რომელიც სხვადასხვა სახის ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების დახმარებით, სატრანსპორტო პროცესის ცალკეული ელემენტების მუშაობის ოპტიმიზაციის და ამ ელემენტების ერთიან სისტემაში გაერთიანების საშუალებას იძლევა. ავტობუსების ქსელის ოპტიმიზაციის შედეგად, ავტობუსებიდან მეტროპოლიტენზე გადანაწილდება მგზავრნაკადის ნაწილი, რომელიც გრძელ მანძილებზე მგზავრობს. მეტროპოლიტენი შეასრულებს ქალაქის მთავარი სატრანსპორტო არტერიის ფუნქციას, ხოლო ავტობუსების მარშრუტების ფუნქცია იქნება მგზავრების მეტროსადგურებამდე მიყვანა და მოკლე მანძილებზე გადაყვანა, რომლებზეც მეტროპოლიტენის გამოყენება დახარჯული დროის მხრივ არ არის მიზანშეწონილი. შედეგად, შემცირდება საგზაო მოძრაობის ინტენსიურობა მეტროპოლიტენით დაფარულ უბნებში ავტობუსების რაოდენობის შემცირების შედეგად და შემცირდება ბიუჯეტიდან დოტაციური დანახარჯები ტრანსპორტზე, რამდენადაც მეტროპოლიტენით ერთი მგზავრის გადაყვანის თვითღირებულება საშუალოდ 8 თეთრით ნაკლებია ავტობუსით გადაყვანილი ერთი მგზავრის გადაყვანის თვითღირებულებაზე. მეტროპოლიტენს აქვს ტენიკური რეზერვი დამატებითი მგზავრნაკადის მომსახურებისთვის. ინტერვალების შემცირების გზით, არსებული სავაგონო პარკის პირობებში, მეტროპოლიტენს აქვს დღიური მგზავრგამტარუნარიანობის 520 ათასამდე, ხოლო სავაგონო პარკის გაზრდის შემთხვევაში 1.3 მლნ. მგზავრობამდე გაზრდის რეზერვი. ერთ-ერთი ნაკლოვანება ავტობუსების ქსელის მეტროპოლიტენთან ინტეგრაციის საკითხში არის ის რომ, მარშრუტების ნაწილი ადუბლირებს მეტროპოლიტენს, დუბლირებების შემცირება მგზავრების ნაწილის მეტროპოლიტენში გადანაწილების მიზნით, შეამცირებს ავტობუსების რაოდენობას და შესაბამისად, გზების გადატვირთულობას. ასევე

ავტობუსებიდან მეტროპოლიტენის სასარგებლოდ გადანაწილებულ თითოეულ მგზავრზე, შესაძლებელია, საბიუჯეტო სახსრებიდან საშუალოდ 8 თეთრის ეკონომია.

მეტროპოლიტენისა და ავტობუსების უპირატესობების სრულად გამოყენების მიზნით ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემა უნდა იყენებდეს და ინარჩუნებდეს ავტობუსებს იმ მიმართულებებზე, სადაც მათი უპირატესობები მეტროპოლიტენტთან შედარებით სრულად იქნება ათვისებული, ხოლო მიმართულებებზე, სადაც მეტროპოლიტენს აქვს უპირატესობა (მგზავრების დიდი რაოდენობის სწრაფი გადაყვანა დიდ მანძილებზე), ხელს უნდა უწყობდეს მგზავრების გადანაწილებას ავტობუსებიდან მეტროპოლიტენში. მგზავრთა გამტარუნარიანობის დაბალი ხარისხი პირდაპირ კავშირშია მეტროპოლიტენის ხაზების გამტარ და გადაზიდვის უნარიანობასთან. მგზავრთა გადაადგილების სიჩქარის დაბალი მაჩვენებლების მიზეზები შემდეგია: 1) მეტროპოლიტენის ქსელის დაბალი სიმჭიდროვე; 2) სადგურების დაგეგმარების თავისებურებები-საკვანძო სადგურების არასწორი დაგეგმვა-მათზე გრძელი და არახელსაყრელი გადასასვლელები, რასაც იქამდე მივყავართ, რომ მგზავრები უფრო მეტ დროს ანდომებენ ერთი ხაზიდან მეორეზე გადასვლას, ვიდრე მატარებლით მგზავრობას. მგზავრების გადასხდომის დრო გადაადგილების დროის 30-50%-ს შეადგენს

მეტროპოლიტენში მგზავრთა გადაადგილების სიჩქარის გაზრდის რეზერვები დამოკიდებულია არა მხოლოდ მატარებელთა მიმოსვლის სიჩქარეზე, არამედ დიდი ეფექტი შეიძლება მივიღოთ მატარებელთა მოძრაობის ოპტიმალური მარშრუტების ორგანიზაციით და გადასასხდომი კვანძების რაციონალური განლაგებით, აგრეთვე სადგურებზე ორი ან მეტი ვესტიბიულის მოწყობით, სადაც მგზავრნაკადები საგრძნობლად დიდია; ასევე შესაძლებელია ესკალატორების და მატარებელთა მოძრაობის სიჩქარის გაზრდა, მოძრავი ტროტუარების(ტრავოლატორის) მშენებლობა; მატარებელთა მოძრაობის სიხშირისა და ხაზის გამტარუნარიანობის ამაღლება;


Park & Ride სისტემების მოწყობა მეტროსადგურებთან. მაგალითად, ასეთი პარკირების სისტემა უკვე გვაქვს მეტროსადგურ თავისუფლების მოედანთან

თბილისი „გალერიის“ ქვეშ. პერსპექტივაში მეტროპოლიტენში შესაძლებელია კერძო ავტომობილით გადაადგილებული მგზავრების ნაწილის მოზიდვა სწორედ Park & Ride სისტემის ფართომასშტაბიანი განვითარების გზით. ამ მიზნით, პერიფერიულ მეტროსადგურებთან მოეწყობა მიწისზედა, მრავალსართულიანი ან მიწისქვეშა ტევადი პარკინგები, სადაც გარეუბნებიდან ან სატელიტური ქალაქებიდან (რუსთავი, მცხეთა, ნაწილობრივ გორი, მარნეული და გარდაბანი) თბილისში ავტომობილით მოძრავი მგზავრები დატოვებენ ავტომობილს პარკინგზე და გადაადგილდებიან საზოგადოებრივი ტრანსპორტით. შედეგად, შემცირდება შიდასაქალაქო საავტომობილო მოძრაობის ინტენსიურობა, გაუმჯობესდება ეკოლოგიური მდგომარეობა და შემცირდება ავტოსაგზაო შემთხვევების ალბათობა. როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, ამჟამად ავტობუსით მეტი ადამიანი მგზავრობს, ვიდრე მეტროთი. უკეთესი იქნება თუ ქალაქის მთავარ სატრანსპორტო ხერხემლად მეტრო გადაიქცევა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ავტობუსები საჭირო არ არის და ამ სისტემის განვითარებაზე არ უნდა ვიზრუნოთ.

მეტროპოლიტენის ქსელის სივრცითი განვითარების მამტაბი ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში იყო დაგეგმილი 3 ხაზითა და 43 სადგურით, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებდა მეტროპოლიტენის ქსელისგან მოწყვეტილ, მჭიდროდ დასახლებულ საქმიან რაიონებსა და უბნებს როგორცაა: ვაკე, კრწანისი, დიღმის მასივი, დიდი დიღომი, მუხიანი, ვაზისუბანი, მოსკოვის გამზირის მიმდებარე ტერიტორია დიდი ლილო და სხვა. იმის გათვალისწინებით, რომ საშუალო მანძილი თბილისის მეტროპოლიტენში სადგურებს შორის შეადგენს 1.4 კმ-ს, ყოველი ახალი ღრმა ჩაწოლის სადგურის მშენებლობის ღირებულება გადასარბენების ჩათვლით, საორიენტაციოდ 350 მლნ. აშშ დოლარამდე აღწევს. თბილისის სატრანსპორტო სისტემის განვითარებისთვის ახლო მომავალში უფრო პერსპექტიული ჩანს ტრამვაის ხაზის მშენებლობა იმ უბნებში, რომლებიც არ არის მეტროპოლიტენის ქსელით დაფარული. ტრამვაი შესაძლოა გახდეს მეტროპოლიტენის ერთგვარი გაგრძელება და გაყვანილ იქნას ისეთ უბნებში, სადაც მეტრო არ მიდის. ტრამვაის 1 კმ. ორლიანდაგიანი ხაზის მშენებლობის ღირებულება 8-15 მლნ აშშ დოლარს შეადგენს (მეტროპოლიტენის მშენებლობის ღირებულების

დაახლოებით 10-20%), არსებობს კომანია Systra-ს მიერ შედგენილი ტრამვაის ხაზის პროექტი უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსიდან ორთაჭალამდე, რომელიც მაღალი მგზავრგამტარუნარიანობის მქონე სატრანსპორტო სისტემით დააკავშირებდა ვაკისა და კრწანისის რაიონებს (იხ. დანართი. რუკა №1).

რუკა №1. კომპანია “Systras”-ს მიერ მომზადებული ტრამვაის გეგმა ტრამვაის ხაზის „უნივერსიტეტი-ორთაჭალა“ ძირითადი მახასიათებლებით



*წყარო: ტრამვაის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფის ვებ-გვერდი
ბმული: <http://www.tramvai.ge/wp-content/uploads/2012/09/Slide7.jpg>*

ასევე, შესაძლებელია, ტრამვაის ხაზის მეშვეობით დიდმის მასივისა და დიდი დიდმის დაკავშირება მეტროპოლიტენის ქსელთან. ტრამვაის საწყისი ინვესტიცია დიდია, მაგრამ სამაგიეროდ მისი საექსპლუატაციო ხარჯები (საწვავი, მომსახურება) ავტობუსზე გაცილებით ნაკლებია. ასევე ტრამვაის ვაგონის რესურსი (საექსპლუატაციო ვადა) ბევრად აღემატება ავტობუსისას.

ამასთანავე ავტობუსი მოიხმარს იმპორტირებულ საწვავს, რომლის შესყიდვის თანხები მთლიანად საზღვარგარეთ გაედინება, ხოლო ტრამვაი მოიხმარს ადგილობრივი წარმოების ელექტროენერგიას. შესაბამისად ტრამვაის საწვავის ხარჯებზე გაღებული თანხები მთლიანად საქართველოში დარჩება და ტრამვაი ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის გაუმჯობესებას. ამასთან, ტრამვაის ფართის გამოყენების ეფექტურობის კოეფიციენტი საშუალოდ 8-ჯერ

აღმატება ავტომობილის ამავე მაჩვენებელს. ანუ, სამი ავტომობილის ფართის გამოყენებით ტრამვაის გადაყავს 23 ავტომობილის ტევადობის მგზავრი. თუ გავითვალისწინებთ რომ თბილისში პიკის საათებში ავტომობილთა 80 %-ით მგზავრობს მხოლოდ ერთი კაცი, აქედან გამომდინარე ტრამვაის ფართის გამოყენების ეფექტურობის კოეფიციენტი ავტომობილისაზე 27-ჯერ მეტი გამოდის. არსებულ სიტუაციაში, თბილისის მეტროპოლიტენის ქსელის განვითარების მთავარი მიმართულება უნდა იყოს სადგურების: „ახმეტელის თეატრის“, „მარჯანიშვილის“, „თავისუფლების მოედნის“ და „ავლაბრის“ მეორე ამოსასვლელების ამოქმედება. გადმოცემული ობიექტები ნაწილობრივ დაპროექტებულია, ხოლო მათი ნაწილი შესრულებულია კონსტრუქციებში. მათი ამოქმედება შექმნის მიწისზედა და მიწისქვეშა ტრანსპორტის მოსახერხებელ ინტერმოდალურ წერტილებს და მოიზიდავს დამატებით მგზავრებს მეტროპოლიტენში. მეორე ამოსასვლელის ამოქმედება მნიშვნელოვნად განტვირთავდა სადგურ „ახმეტელის თეატრის“ მიმდებარე სატრანსპორტო კვანძს. აღნიშნული სადგური ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული სადგურია თბილისის მეტროპოლიტენში მასზე გამავალი მგზავრნაკადის მხრივ. იგი ემსახურება გლდანის, გლდანულას დასახლების, მუხიანის და ნაწილობრივ თემქის მიკრორაიონების მოსახლეობას. სადგურის ამოსასვლელთან განლაგებულია, როგორც აღნიშნული მიმართულებების მომსახურე ავტობუსებისა და სამარშრუტო ტაქსების გაჩერებები, ასევე სავაჭრო ცენტრები და სხვა კომერციული ობიექტები, რაც იწვევს ავტოტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა მაღალ კონცენტრაციას, ამწელებს მოძრაობას და ზრდის ავტოსაგზაო შემთხვევების რისკს. აღნიშნული ამოსასვლელის დამთავრებას, წინასწარი შეფასებით დასჭირდება არა უმეტეს 15-20 მილიონი ლარისა, რაც შეიძლება ეტაპობრივად გაიწეროს თბილისის ბიუჯეტში მომავალი 3-4 წლის განმავლობაში. ასევე მიზანშეწონილია ტრავოლატორის მონტაჟი სადგურ ვაგზალი 1 სა და 2-ის გადასასვლელ გვირაბში, რადგან აქ განსაკუთრებით პიკის საათებში მგზავრების საკმაოდ მაღალი ნაკადია.

დასკვნა

ამდენად საქალაქო ტრანსპორტში, კერძოდ მეტროპოლიტენში მგზავრთნაკადის მოზიდვის სტრატეგიის ერთ-ერთი ელემენტია კომფორტის ღონის ამალღება,რომელიც ხელს შეუწყოს მეტროპოლიტენში მგზავრების მოზიდვას მიწისზედა ტრანსპორტიდან. კომფორტის ზრდა მეტროპოლიტენში შესაძლებელია შემდეგი ღონისძიებების განხორციელებით:

- მოძრავი შემადგენლობის განახლება სრულად უფრო კომფორტული ვაგონებით;
- მატარებლების მოძრაობის ინტერვალების შემცირება ვაგონებში მგზავრთა სიმჭიდროვის შესამცირებლად;
- ვაგონებში მგზავრების ჩასხდომა-ჩამოსვლის გამარტივება სპეციალური დახაზვის მეშვეობით, როგორც ეს არაერთ განვითარებულ ქვეყანაშია;
- მეტროპოლიტენში მგზავრების ორიენტაციის გამარტივება საინფორმაციო პოსტერების და სტენდების გაუმჯობესებით; ასეთი სტენდები გვაქვს თითქმის უმეტეს მეტროსადგურებში, გარდა დეტალიზებული რუკებისა, აღნიშნული სტენდები შესაძლებელია გამოვიყენოთ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად, მათზე მგზავრთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შინაარსის მქონე ინფოგრაფიკების განთავსებით. მაგალითად, პოსტერებზე შეიძლება იყოს დატანილი ინფორმაცია, როგორ უნდა მოიქცეს მგზავრი, თუ ჩავარდა მატარებლის ლიანდაგზე, ცეცხლი გაჩნდა მატარებლის შემადგენლობაში, ჩანთა დავარდა ლიანდაგზე და ა.შ.;
- მგზავრებისთვის მიმზიდველი დამატებითი სერვისების შეთავაზება, მაგალითად, მობილურების დამტენები სადგურებში;
- ადაპტაცია შშმ პირებზე.

ინტერვალების შემცირება დაკავშირებულია მგზავრგამტარუნარიანობის ზრდასთან და ვაგონებში მგზავრების სიმჭიდროვის შემცირებასთან, ხოლო მოძრავი შემადგენლობის განახლება შედარებით შორი და ძვირადღირებული

პერსპექტივაა და ამ ეტაპზე უფრო მიზანშეწონილია არსებული სავაგონო პარკის მოდერნიზაციის დასრულება.

მობილურის დამტენები. მგზავრის საჭიროებებზე მეტროპოლიტენის უკეთ მორგების კიდეც ერთ საშუალებას წარმოადგენს მობილური ტელეფონის დამტენი USB-პორტების განთავსება. ამჟამად, თბილისის მეტროპოლიტენის ვაგონების მოდერნიზაციისა და კაპიტალური რემონტის დროს გათვალისწინებულია მათში დამტენი პორტების განთავსება და ახალ თანამედროვე ვაგონებშიც არის ასეთი სერვისი, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ მგზავრი ვაგონში შედარებით მცირე დროს ატარებს და თანაც ვაგონების დატვირთვის შემთხვევაში პორტის განთავსების ადგილამდე (ვაგონის კართან) მისვლა ყოველთვის არ იქნება შესაძლებელი, ამიტომ სადგურზე პორტების განთავსების საჭიროება მაინც რჩება. რომლებიც განთავსდება სადგურზე არსებულ საინფორმაციო სტენდებზე. ასეთ შემთხვევაში კაბელის მიყვანა დამტენამდე შესაძლებელი იქნება პლატფორმის ქვეშ არსებული ტექნიკური კოლექტორიდან და სადენები არ დაამახინჯებს სადგურის ინტერიერს.

სატრანსპორტო კომპანიის შემოსავლებს გაზრდიდა დღევანდელთან შედარებით უფრო მოქნილი სატარიფო სისტემა, რაც მრავალ ქვეყანაში მოქმედებს წარმატებით. სისტემა გულისხმობს კლასიფიცირებული სამგზავრო ბარათების შემოღებას, როგორებიცაა: თვიური აბონემენტი; კვირეული აბონემენტი; დღიური აბონემენტი; ერთჯერადი სამგზავრო ბილეთი; გადასაჯდომი ბილეთი; ჯგუფური ბილეთი.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Public transport: the smart green solution! Doubling market share worldwide by 2025. http://growpublictransport.org/wp-content/uploads/2012/11/PTx2_brochure.pdf;
2. Гудков В. А., Миротин Л. Б., Вельможин А. В., Ширяев С. А. Пассажирские автомобильные перевозки: учебник для вузов / Под ред. В. А. Гудкова. _ М.: Горячая линия _ Телеком, 2004, Большаков А. М. Повышение уровня

- обслуживания пассажиров автобусами на основе комплексной системы управления качеством: дис. канд. экон. наук. _ М., 1981.; Варелопуло Г. А. Организация движения и перевозок на городском пассажирском транспорте. _М.: Транспорт, 1990;
3. Measuring and Valuing Convenience and Service Quality. A review of global practices and challenges from the public transport sector. p. 10. <http://www.internationaltransportforum.org/jtrc/DiscussionPapers/DP201316.pdf>;
The methodology of data collection about public transport service quality. Irina Pticina. p.156. http://www.tsi.lv/sites/default/files/editor/science/Publikacii/RelStat_11/sess_3_pticina_e_d.pdf
4. Хизриева З. А. Управление повышением эффективности и качества услуг пассажирского автотранспорта в муниципальном хозяйстве. Автореферат диссертации. 2009. С.21-23;
5. Якушина Н.В. Финансирование городского пассажирского транспорта в условиях современной экономики. <http://www.dissercat.com/content/finansirovanie-gorodskogo>.

ANALYSIS REALITIES AND PERSPECTIVES OF URBAN TRANSPORT DEVELOPMENT IN TIME

Inga Gigauri

Abstract

The social role and purpose of public transport is increasing in modern conditions. The effective functioning of other sectors of the economy depends on its operation. Experience in planning and construction in the cities of developed countries confirm that socio-economic, sanitary-hygienic or environmental issues would be positively solved by increasing the capacity of domestic urban transport - mainly the metropolitan - and developing of actions for optimal application of underground space. A bus and metropolitan integration strategy should be based on the study of passenger vector flows and analysis of the existing and ultimate capacity of different modalities of metropolitan and land transport on each vector of passenger flow, with

taking into account the budget payments, based on that would be optimized the bus network and organization of intermodal transport hubs, including **Park & Ride** system.

АНАЛИЗ, РЕАЛИЙ И ПЕРСПЕКТИВЫ РАЗВИТИЯ ГОРОДСКОГО ТРАНСПОРТА ВО ВРЕМЕНИ

Инга Гигаури

Резюме

Социальная роль и назначение общественного транспорта в современных условиях возрастают. От его работы зависит эффективное функционирование других секторов экономики. Опыт проектирования и строительства в городах развитых стран показал, что социально-экономические, санитарно-гигиенические или экологические вопросы могут быть положительно решены за счет увеличения пропускной способности внутреннего городского транспорта, в основном метрополитена, и разработки мероприятий по оптимальному использованию подземного пространства. Стратегия интеграции автобусов и метрополитена должна быть основана на изучении векторных потоков пассажиров и анализе существующей и предельной пропускной способности различных видов метрополитена и наземного транспорта по каждому вектору пассажира с учётом бюджетных затрат, на основе чего будет оптимизирована автобусная сеть организация интермодальных транспортных узлов, включая **Park & Ride** систему.

სამეცნიერო ნაშრომის რედაქციაში წარმოდგენის წესი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ჟურნალში - “ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა” სამეცნიერო ნაშრომის წარმოდგენა ხდება ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. ნაშრომი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის ქაღალდის 1,5 ინტერვალით ნაბეჭდ გვერდზე ISO სტანდარტის მოთხოვნის მიხედვით:

ა) ნაშრომი უნდა მომზადდეს Microsoft Word-ში ცხრილებისა და ფორმულების რედაქტორების გამოყენებით; შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს Microsoft Excel-ის პროგრამა;

ბ) სამუშაო ქაღალდის მინდვრის ზომები: ზედა - 25 მმ, ქვედა - 25 მმ, მარცხენა - 25 მმ, მარჯვენა - 25 მმ;

გ) ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომი უნდა აიწყოს Sylfaen – ის გარნიტურის შრიფტით, ინგლისურ და რუსულ ენებზე შესრულებული ნაშრომი კი - Times New Roman შრიფტით;

დ) ნაშრომის დასახელება უნდა აიწყოს Sylfaen გარნიტურის შრიფტით (18B); ავტორის სახელი და გვარი - Sylfaen გარნიტურის შრიფტით (14B); დასახელება ორგანიზაციის, სადაც შესრულდა სამუშაო, უნდა მიეთითოს ფრჩხილებში - შრიფტით 12B; ნაშრომის რეზიუმე უნდა შესრულდეს კურსივი შრიფტით 12; საკვანძო სიტყვები - შრიფტით 12; ნაშრომის ტექსტი - 12; რუსულ ენაზე შესრულებული ნაშრომი - შრიფტით 12; ლიტერატურის ჩამონათვალის შემდეგ ერთვის რეზიუმე ინგლისურ და რუსულ ენებზე შემდეგი მითითებით: ნაშრომის დასახელება, ავტორის (ავტორების) სახელი და გვარი. რეზიუმეს მოცულობა უნდა იყოს 5-15 სტრიქონი;

2. ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს კომპაქტ დისკზე (CD-R) და ერთ ეგზემპლარად A4 ფორმატის ქაღალდზე (მკაფიოდ) დაბეჭდილი;

3. ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს მონაცემები ავტორის (ავტორების) შესახებ: აკადემიური ხარისხი/სამეცნიერო ხარისხი, წოდება, თანამდებობა და სამუშაო ადგილი;

4. ჟურნალში ქვეყნდება მხოლოდ რეცენზირებადი ნაშრომები;

5. რედაქცია მხარს დაუჭერს ერთ ჟურნალში ერთი და იგივე ავტორების მიერ შესრულებულ არაუმეტეს სამი სტატიის გამოქვეყნებას;

6. ნაშრომის გვერდების რაოდენობა განისაზღვრება 5-დან 30 გვერდამდე;

7. ავტორი პასუხს აგებს ნაშრომის შინაარსსა და ხარისხზე; იბეჭდება ავტორთა ხარჯით.

К СВЕДЕНИЮ АВТОРОВ

Порядок представления в редакцию научных работ

В журнал “Транспорт и машиностроение” транспортного и машиностроительного факультета Грузинского технического университета научные работы представляются на грузинском, английском и русском языках с соблюдением следующих требований:

1. Работа должна быть выполнена на бумаге форматом А4 с интервалом 1,5 на печатном листе согласно требованиям стандарта ISO:

а) Работа подготавливается в Microsoft Word с использованием редакторов таблиц и формул; возможно использование программы Microsoft Excel.

б) размеры поля рабочего листа: верхнее – 25 мм, нижнее – 25 мм, левое – 25 мм, правое – 25 мм.

в) выполненная на грузинском языке работы должна быть набрана шрифтом Sylfaen, выполненный на английском и русском языках работы – шрифтом Times New Roman.

г) название работы должно быть набрано шрифтом LSylfaen (14B); имя и фамилия автора – шрифтом Sylfaen (13B); название организации, где выполнена работа, указывается в скобках – шрифтом 13B; резюме работы выполняется курсивным шрифтом 12; ключевые слова – шрифтом 12; текст работы – шрифтом 12; выполненная на русском языке работа – шрифтом 12; после литературы прилагается резюме на английском и русском языках со следующим указанием: название работы, имя и фамилия автора (авторов). Объём резюме не должен превышать 5-15 строк;

2. Работа должна быть представлена на компакт-диске (CD-R) и в одном экземпляре (разборчиво) напечатанной на бумаге формата А4;

3. К работе прилагаются данные об авторе (авторах): научная степень, звание и должность;

4. В журнале публикуются только рецензируемые работы;

5. Редакция согласится напечатать в одном журнале не более трёх статей выполненных одним и тем же автором;

6. Количество листов работы определяется от 5 до 30 страниц;

7. Автор несёт ответственность за содержание и качество работы; Печатается на авторский счет.

FOR AUTHIORS

procedure for submission of scientific papers in journal

In the Journal “Transport and Machine Building” of Transport and Mechanical Engineering Faculty of Georgian Technical University manuscripts will be submitted in Georgian, English and Russian languages with satisfying of the following conditions:

1. The paper must be performed on A4 page format with interval 1,5 by requirements of ISO standard:

a) The paper must be prepared in Microsoft Word with using of redactor for the tables and formulae; is possible to use the program Microsoft Excel.

b) Margins: top – 25 mm, bottom – 25 mm, left – 25 mm, right – 25 mm.

c) Performed in Georgian paper must be typed in Sylfaen, performed in English and Russian papers – in Times New Roman.

d) Title of paper must be typed in Sylfaen (14B); name and surname of author – in Sylfaen (13B); affiliation, in parenthesis – in 13B; abstract must be performed in italic 12; keywords – in 12; body-type – in 12; performed in Russian paper – in 12; after references should have the abstracts in English and Russian with following: title of paper, name and surname of author (authors). The abstract should not exceed 5-15 lines;

2. The paper must be submitted on compact-disk (CD-R) and one copy (legible) printed on format A4;

3. The paper should be accompanied with the information about author (authors): scientific degree, rank and position;

4. Only the peer reviewed works are published in the journal;

5. The editorial supports the publishing of no more than three articles published by the same authors in one journal;

6. Size of paper’s sheet is determined in range from 5 up to 30 pages;

7. The author is wholly responsible for the contents and quality of the paper; Printed by authors.

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №1 (50) 2021

TRANSPORT AND MACHINEBUILDING №1 (50) 2021

ТРАНСПОРТ И МАШИНОСТРОЕНИЕ №1 (50) 2021

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი
SCIENTIFIC – TECHNICAL JOURNAL
НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

გამოდის პერიოდულობით წელიწადში სამჯერ

Published periodically for three times a year

Журнал выходит в год три раза

გამომცემლობა „ტრანსპორტი & მანქანათმშენებლობა“
Publishing House „TRANSPORT & MACHINEBUILDING“
Издательство „ ТРАНСПОРТ & МАШИНОСТРОЕНИЕ ”

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2021წ. 25 მარტი;
გამოცემის ფორმატი 60X84 1/8; ფიზიკური ნაბეჭდი
თაბახი 11.25; საბეჭდი ქაღალდი - ოფსეტური №1.
Signed for printing 25: 03: 2021; Editor size 60X84 1/8; printed
sheet 11.25; printing paper - Offset N1.
Подписано к печати 25: 03: 2021г; Формат издания л. 60X84 1/8;
Физичесих печатных листов 11.25; Печатная бумага - офсетная №1.